



USAID
ამერიკელი ხალხისგან



სახელმწიფო
ინსპექტორის
სამსახური

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის
გადაწყვეტილებები

**არასრულწლოვანთა
მონაცემების დამუშავება**



1

**სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის
გადაწყვეტილებები**

**არასრულწლოვანთა მონაცემების
დამუშავება**

1

საქმე №1

მთავარი პროკურატურის მიერ არასრულწლოვნის სამედიცინო დიაგნოზის გასაჯაროება

6

საქმე №2

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების ხელმისაწვდომობა

8

საქმე №3

ბავშვის თავდაპირველი გვარის გამჟღავნების საფრთხე

11

საქმე №4

მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვების დიაგნოზის გამჟღავნება

15

საქმე №5

გამოყენებული დეპერსონალიზაციის მეთოდით მოსწავლეთა მონაცემების გამჟღავნება

18

საქმე №6

სასტუმროში საბავშვო ოთახის საპირფარეოს ვიდეოთვალთვალი

20

საქმე №7

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების შემოწმება

23

საქმე №8

მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მედიასაშუალებებისთვის ხელმისაწვდომობა

28

საქმე №9

დამრიგებლის მიერ თანაკლასელებისთვის ერთ-ერთი მოსწავლის მშობლის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

31

საქმე №10

არასრულწლოვანი მონმის ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის ბავშვის ადვოკატისთვის გადაცემა

35

საქმე №11

ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ადგილსამყოფელის გამჟღავნება

38

საქმე
№12

ბავშვზე სავარაუდო ფიზიკური ძალადობის ფაქტზე სოციალური მომსახურების სააგენტოს რეაგირების შესახებ ბავშვის წარმომადგენლის ინფორმირება

42

საქმე
№13

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ ბავშვზე სავარაუდო ფიზიკური ძალადობის ფაქტზე რეაგირების შესახებ ბავშვის წარმომადგენლის ინფორმირება

46

საქმე
№14

ვიდეოთვალთვალის შედეგად მოპოვებული ბავშვის შესახებ ჩანაწერის სოციალური ქსელით გავრცელება

51

საქმე
№15

არასამსახურებრივი მიზნით სსგს-ს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ბავშვის მონაცემებზე წვდომა

54

საქმე
№16

ბავშვის სხეულზე არსებული დაზიანების შესახებ ინფორმაციის მედიასაშუალებით გავრცელება

57

საქმე
№17

ვიდეოთვალთვალი საჯარო სკოლის საპირფარეშოებში

60

საქმე
№18

ბავშვზე თავდასხმის აუდიო-ვიდეოჩანაწერის სოციალური ქსელით გავრცელება

63

საქმე
№19

კერძო სკოლაში მიმდინარე ვიდეოთვალთვალი და ჩანაწერების სამართალდამცავი ორგანოსთვის გადაცემა

67

საქმე
№20

განრიდების პროცესში არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავება

72

საქმე
№21

პოლიკლინიკის მიერ არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავება

76

საქმე
№22

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მშობელთა კრებაზე განხილვა

80

შესავალი

არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს. აღნიშნული უფლების დარღვევამ შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ბავშვის ფსიქიკას, მის განვითარებას, სოციალურ ურთიერთობებს და მომავალ ცხოვრებას.

ბავშვები ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას ამ სფეროში მათი უფლებების, პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული რისკებისა და ნეგატიური შედეგების შესახებ. ამასთან, საკუთარი უფლებების დასაცავად მათ ხშირად არ შეუძლიათ მონაცემთა დაცვის მექანიზმების დამოუკიდებლად გამოყენება. სწორედ ამიტომ, ბავშვების მონაცემების დამუშავების პროცესში განსაკუთრებული როლი აკისრიათ იმ საჯარო და კერძო დაწესებულებებს, რომლებიც ბავშვების მონაცემებს აგროვებენ, იყენებენ, ინახავენ, ასაჯაროებენ.

ბავშვების მონაცემების დამუშავებელმა პირებმა უპირველეს ყოვლისა უნდა გაითვალისწინონ ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ყველა საჯარო და კერძო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების კანონიერი დამუშავება და ისეთი დარღვევების პრევენცია, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს ბავშვის ღირსების შელახვა, მისი სტიგმატიზაცია, ბულინგი, დისკრიმინაცია ან ნეგატიური გავლენა მის ემოციურ მდგომარეობასა და განვითარებაზე.

ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებამ კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა, რადგან ახალ შესაძლებლობებთან ერთად იზრდება ამ უფლებაში გაუმართლებელი ჩარევის საფრთხეები.

ბავშვთა პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობაზე მიუთითებს ასევე ევროკავშირის პერსონალურ მონაცემთა დაცვის რეგულაცია, რომელიც ბავშვების პერსონალურ მონაცემებს და მათ დამუშავებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს.

ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში არსებული პროგრესული სამართლებრივი რეგულაციების მიუხედავად, პრაქტიკაში ხშირია კანონის მოთხოვნების დარღვევა. 2014-2020 წლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული 55-ზე მეტი საქმე შეისწავლა, მათ შორის განახორციელა რამდენიმე საჯარო თუ კერძო სკოლის კომპლექსური შემოწმება.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ ფიქსირდება ბავშვის მონაცემების უკანონო გამჟღავნების ან გასაჯაროების ფაქტები, ბავშვის/მშობლის თანხმობის გარეშე ან არაპროპორციული მოცულობით მათი დამუშავება, ვიდეოთვალთვალის წესების დარღვევა. ასევე, ხშირ შემთხვევაში ბავშვების მონაცემების უსაფრთხოებისთვის არ არის მიღებული საკმარისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები. აღნიშნული დარღვევები თანაბრად დამახასიათებელია როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორისთვის.

საქმეთა შესწავლის პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და საერთაშორისო სტანდარტების მხედველობაში მიღებით, 2018 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა გამოსცა სპეციალური რეკომენდაციები როგორც სკოლებისთვის, ასევე მოსწავლეებისა და მშობლებისთვის სკოლებში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ.

განხილული საქმეების ანალიზით ნათელია, რომ გადასადგმელია ნაბიჯები საჯარო და კერძო სექტორში არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესის მიმართ პასუხისმგებლობის გაზრდისა და დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა ცნობიერების ამაღლების მიზნით. მნიშვნელოვანია თითოეული დაწესებულება, თუ პირი აცნობიერებდეს იმ შედეგებს, რაც არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების არაკანონიერ დამუშავებასა და მათი უსაფრთხოებისთვის არასაკმარისი ზომების მიღებას შეიძლება მოჰყვეს.

ამ სფეროში არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ, სახელმწიფო ინსპექტორის ღონდა თოლორაიას ინიციატივით მომზადდა კრებული, რომლის მიზანია საქართველოში არასრულწლოვანთა მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრების ხელშეწყობა, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით მონაცემთა დამუშავებელი ორგანიზაციებისა და დაინტერესებული პირებისთვის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიდგომების გაცნობა და მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის მათთვის რეკომენდაციების შეთავაზება.

კრებული აერთიანებს სამსახურის მიერ 2014 წლიდან 2020 წლის აპრილის ჩათვლით შესწავლილ 22 რეალურ საქმეს. თითოეული საქმე შედგება რამდენიმე ნაწილისაგან - ფაქტობრივი გარემოებები, სამართლებრივი შეფასება, ინსპექტორის გადაწყვეტილება, რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის. ასევე, თითოეულ საქმეზე მითითებულია წყაროები, მათ შორის კანონმდებლობა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციები, რომელთა გათვალისწინებაც ორგანიზაციებს დაეხმარება არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების მართვის პროცესის უკეთ ადმინისტრირებაში.

ბავშვებისა და მათი ოჯახის წევრების, ასევე, ცალკეული მონაცემთა დამუშავებელი იურიდიული ან ფიზიკური პირების იდენტიფიცირების შესაძლებლობის გამორიცხვის მიზნით, საქმეებში მითითებული ინიციალები, გარკვეული ფაქტობრივი გარემოებები და თარიღები შეცვლილია, ხოლო მითითებული სამართლებრივი ნორმები მოცემულია საქმის განხილვის დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლს 2013 წლიდან ახორციელებდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი აპარატი, რომელიც 2019 წლის 10 მაისიდან გარდაიქმნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურად. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2019 წლის 10 მაისამდე განხილულ საქმეებში სამსახურის სახელწოდებად მითითებულია - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი), ხოლო 2019 წლის 10 მაისიდან განხილულ საქმეებში - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური (სახელმწიფო ინსპექტორი).

მთავარი პროკურატურის მიერ არასრულწლოვნის სამედიცინო დიაგნოზის გასაჭაროება



ფაქტობრივი გარემოებები

2014 წლის 19 აგვისტოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს საქართველოს პარლამენტის წევრმა აცნობა, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის (შემდგომში - პროკურატურა) ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმის მასალა შეიცავდა არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ მონაცემებს.

შემომების ფარგლებში დადგინდა, რომ მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, პროკურატურამ საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის ამსახველი განსაიდუმლოებული მტკიცებულებები ვებგვერდზე გამოაქვეყნა. სხვა დოკუმენტებთან ერთად, ვებგვერდზე განთავსებულ მასალაში მოცემული იყო თანამდებობის პირის არასრულწლოვანი შვილისთვის საზღვარგარეთ, ერთ-ერთ კლინიკაში სამედიცინო პროცედურის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ასევე შეიცავდა ბავშვის დიაგნოზს.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს, რომლის დასამუშავებლად აუცილებელია ამავე კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი სამართლებრივი საფუძვლის არსებობა.

ინსპექტორმა არ გაიზიარა პროკურატურის პოზიცია, რომ არასრულწლოვნის სამედიცინო პროცედურის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტისა და დიაგნოზის გასაჭაროება გამოძიების მიზნებს ემსახურებოდა. ინსპექტორის შეფასებით, დანაშაულის გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მონაცემების ვებგვერდზე გამჟღავნება სცილდებოდა მონაცემთა დამუშავების თავდაპირველ მიზანს - დანაშაულის გამოძიებას. შესაბამისად, არასრულწლოვნის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის გამჟღავნებისთვის პროკურატურას ეკისრებოდა მონაცემთა დამუშავების კანონით განსაზღვრული რომელიმე საფუძვლის არსებობის მტკიცების ტვირთი. ამასთან, პროკურატურამ დაადასტურა, რომ უშუალოდ არასრულწლოვნის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების გამჟღავნების მიზანი მას არ ჰქონია და შემომების დასრულებამდე თავადვე უზრუნველყო ვებგვერდიდან მონაცემების წაშლა.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მონაცემთა დამუშავების გამო საქართველოს

მთავარი პროკურატურა ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად ამავე კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და პასუხისმგებლობის სახით შეეფარდა ჯარიმა.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის


ინტერნეტ სივრცეში ინფორმაციის გავრცელების მასშტაბისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო არასრულწლოვნის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების ყველასთვის ხელმისაწვდომი ფორმით გავრცელების დროს. მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა დამუშავებელი შეიძლება კანონიერად ფლობდეს მონაცემებს, მათი ფართო და საჯარო ხელმისაწვდომობისთვის აუცილებელია არსებობდეს კონკრეტული კანონიერი მიზანი და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრული შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, მონაცემთა გასაჯაროება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად.

გასათვალისწინებელია, რომ სამართალდარღვევა შეიძლება დადგინდეს არა მხოლოდ განზრახ, არამედ გაუფრთხილებლობით მონაცემთა დამუშავების, მათ შორის გავრცელების, შემთხვევაშიც.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 და მე-6 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2018)7 რეკომენდაცია ციფრულ ეპოქაში ბავშვთა უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფის შესახებ - <https://rm.coe.int/guidelines-to-respect-protect-and-fulfil-the-rights-of-the-child-in-th/16808d881a>.
3. ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტის პრაქტიკული სახელმძღვანელო პოლიციის სექტორში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე - <https://rm.coe.int/t-pd-201-01-practical-guide-on-the-use-of-personal-data-in-the-police-/16807927d5>.
4. ევროკავშირის 2016 წლის დირექტივა საპოლიციო სექტორში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/legislation>.



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების ხელმისაწვდომობა



ფაქტობრივი გარემოებები

2015 წლის 7 მაისს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ერთ-ერთმა არაკომერციულმა ორგანიზაციამ (შემდგომში - ორგანიზაცია) აცნობა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში - შშმ) პირთა საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასების მიზნით, 2015 წლის 25 აპრილს ერთ-ერთი საჯარო სკოლისგან საჯარო ინფორმაციის სახით მოითხოვა მოცულობითი ინფორმაცია. ორგანიზაციამ სხვა დოკუმენტებთან ერთად სკოლისგან მიიღო სამი შშმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც შეიცავდა მოსწავლეთა მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს, მათ სამედიცინო დიაგნოზს, მშობელთა ვინაობასა და საკონტაქტო ინფორმაციას. ორგანიზაცია მიუთითებდა, რომ პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია მას არ მოუთხოვია და მაიდენტიფიცირებელი მონაცემების აღმოჩენისთანავე მოსთხოვა სკოლას საჯარო ინფორმაციის გაცემის შეწყვეტა. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 8 მაისს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა ორგანიზაციას მოსთხოვა მის ხელთ არსებული პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტების დაუყოვნებლივ წაშლა/განადგურება და 15 მაისს მიიღო ორგანიზაციის მიერ მონაცემთა განადგურების დამადასტურებელი ცნობა.

შემონებების მიმდინარეობისას სკოლაში ირიცხებოდა სამი შშმ მოსწავლე. სკოლაში, კანონმდებლობის შესაბამისად, ინახებოდა მათი მონაცემების შემცველი დოკუმენტები, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც, დამტკიცებული ფორმის თანახმად, შეიცავდა მოსწავლეების მაიდენტიფიცირებელ და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ მონაცემებს. სკოლის განმარტებით, ეს იყო მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გაცემის პირველი შემთხვევა და სკოლამ მოსწავლეთა მშობლებისგან მიიღო წერილობითი თანხმობა მონაცემების გადაცემის თაობაზე. მოსწავლეთა ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას სკოლა ინახავდა შშმ მოსწავლის სტატუსის ვადით. მოსწავლის პირადი საქმე კი სკოლაში ინახება 75 წლის განმავლობაში, „მოსწავლის პირადი საქმის ფორმისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს №113/ნ ბრძანების №2 დანართით დამტკიცებული „მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესის“ თანახმად და 75-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ საქართველოს ეროვნულ არქივს გადაეცემა შესაბამისად.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა ან ამავე მუხლით გათვალისწინებული სხვა საფუძველი. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დასამუშავებლად, მათ შორის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის

შემთხვევაში კი, კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თანხმობა აუცილებლად უნდა იყოს წერილობითი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის თანახმად, მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში. მოცემულ შემთხვევაში, მშობლების, როგორც არასრულწლოვანთა კანონიერი წარმომადგენლების, თანხმობა წარმომადგენდა ინფორმირებულ, მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე თავისუფლად გამოხატულ ნებას, რომელიც დასტურდებოდა ხელმოწერით. ამდენად, სკოლის მიერ შშმ მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების, მათ შორის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის, გაცემა შეესაბამებოდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-6 მუხლებით დადგენილ საფუძვლებს.

მიუხედავად აღნიშნულისა, ინსპექტორმა მიიჩნია, რომ სკოლამ საკმარისად არ გამოიკვლია მონაცემთა დამუშავების კანონიერი მიზნები. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზანს წარმოადგენდა გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობა და შშმ პირთა საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასების ღონისძიებების განსაზღვრა, რისთვისაც საკმარისი იქნებოდა შშმ მოსწავლეთა შესახებ იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით ინფორმაციის მიწოდებაც. შესაბამისად, ინსპექტორის შეფასებით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სკოლას ინფორმაცია უნდა გაეცა მხოლოდ კანონიერი მიზნის შესაბამისი მოცულობით, მოსწავლეთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, დეპერსონალიზებული სახით.

ინსპექტორმა ასევე იმსჯელა სკოლის მიერ შშმ მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვის საკითხზე და მიიჩნია, რომ მონაცემთა შენახვა ემსახურებოდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ინკლუზიური განათლებისა და მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნებს, რაც თანხვედრაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძვლთან.

რაც შეეხება ინფორმაციის შენახვის ვადას, რამდენადაც „მოსწავლის პირადი საქმის ფორმისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს №113/ნ ბრძანების №2 დანართით დამტკიცებული წესი ცალკე არ განსაზღვრავს მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის შენახვის ვადას, ხოლო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად, ინსპექტორმა მიიჩნია, რომ სკოლამ მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემები უნდა შეინახოს მხოლოდ სწავლის განმავლობაში. მონაცემთა დამუშავების მიზნის მიღწევის შემდეგ კი, ინდივიდუალურად უნდა უზრუნველყოს შშმ მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის განადგურება ან მათი იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით შენახვა.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით

გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების პრინციპის დარღვევის გამო, სკოლა ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად ამავე კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და მიეცა გაფრთხილება. ამასთან, სკოლას დაევალა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მონაცემთა დამუშავების უზრუნველყოფა მხოლოდ კანონიერი მიზნისა და სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, იმ მოცულობით, რაც აუცილებელია შესაბამისი მიზნის მისაღწევად; ასევე, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების შენახვის ვადების განსაზღვრა, ვადის გასვლის შემდეგ კი მონაცემთა განადგურება ან იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით შენახვა.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

არასრულწლოვანთა მონაცემები საჭიროებენ უფრო მეტ დაცვას, ამ მიზნით კი თითოეული მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უპირველესად მოქმედებდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე.

არასრულწლოვანთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების გაცემის შემთხვევაში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ინფორმაციის შემდგომი გამოყენების რისკების შეფასებას. მშობლების თანხმობის მიუხედავად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საჯარო ინფორმაციის სახით მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ან სხვა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა მესამე პირისთვის გამჟღავნება დაუშვებელია და განიხილება არაპროპორციულ და მონაცემთა დამუშავების მიზნის შეუსაბამო მოქმედებად. საჯარო ინფორმაციის სახით რეკომენდირებულია დეპერსონალიზებული (დაშტრიხული ან სტატისტიკური) ინფორმაციის გაცემა.

ამასთან, აუცილებელია კანონიერი მიზნის შესაბამისად განისაზღვროს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა შენახვის ვადები, რომელთა გასვლის შემდეგ მონაცემები უნდა განადგურდეს ან შენახულ იქნას იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით (მაგალითად, დაშტრიხული სახით).

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-4, მე-5 და მე-6 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
3. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციები მოსწავლეებისა და მშობლებისთვის - სკოლებში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.
4. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციები სკოლებისთვის - სკოლებში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.
5. 29-ე სამუშაო ჯგუფის მოსაზრება 2/2009 ბავშვთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ - <https://www.garanteprivacy.it/documents/10160/10704/1619292.pdf/1ab4d295-c2b9-405f-a2df-1e0f7ec9cfd1?version=1.0>.
6. მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (EU) 2016/679 მე-6, მე-9 და 57-ე მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.

ბავშვის თავდაპირველი გვარის გამჟღავნების საფრთხე



ფაქტობრივი გარემოებები

2016 წლის დასაწყისში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განცხადებით მიმართა არასრულწლოვნის მშობელმა, რომელმაც მიუთითა, რომ სადაზღვევო კომპანიის პოლისით მედიკამენტების შეძენის დროს, ერთ-ერთი სააფთიაქო ქსელის ელექტრონულ ბაზაში, მისი შვილის პირადი ნომრის შეყვანისას დაფიქსირდა ბავშვის თავდაპირველი გვარი. მან ასევე აღნიშნა, რომ 2015 წელს მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მოთხოვნით, მესამე პირებისთვის ხელმისაწვდომი არ ყოფილიყო ინფორმაცია ბავშვის მონაცემების ცვლილების თაობაზე.

განცხადების განხილვის ფარგლებში სააგენტომ განმარტა, რომ მის მონაცემთა ელექტრონულ ბაზასთან არც სადაზღვევო კომპანიას და არც სააფთიაქო ქსელს წვდომა არ ჰქონიათ. სააგენტომ მიუთითა, რომ მშობლის საჩივრის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს წარედგინა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდა სააგენტოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცულობას, შესაბამისად, დავის საგნის არარსებობის გამო სასამართლო წარმოება შეწყდა.

სადაზღვევო კომპანიამ მიუთითა, რომ არ სარგებლობდა სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზით. ბავშვის მონაცემები მიიღო ერთ-ერთ დამზღვევთან მისი თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების (მათ შორის ბავშვის მშობლისა და მისი ოჯახის წევრების) ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. დაზღვეულთა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია განისაზღვრებოდა ხელშეკრულების დანართით, რომელშიც ფიქსირდებოდა მხოლოდ ბავშვის არსებული გვარი.

სააფთიაქო ქსელმა უარყო სააგენტოსა და სადაზღვევო კომპანიის მონაცემთა ბაზაზე წვდომა, ისევე როგორც ბავშვის მონაცემების დამუშავების ფაქტი. განმცხადებლისა და სააფთიაქო ქსელის ურთიერთსაინააღმდეგო განმარტებების გამო დაიწყო სადაზღვევო კომპანიის შემოწმება. დადგინდა, რომ სააფთიაქო ქსელის ელექტრონულ ბაზაში ფიქსირდებოდა ბავშვის სახელი, პირადი ნომერი, თავდაპირველი გვარი, მის გასწვრივ კომენტარის სახით მიწერილი არსებული გვარი, დაბადების თარიღი - 23.02.1981 და სადაზღვევო პოლისის ფარგლებში გაცემული მედიკამენტები. სააფთიაქო ქსელმა მიუთითა, რომ სადაზღვევო პირობებით მოსარგებლე მომხმარებლის იდენტიფიცირება და მომსახურების განწევა ხორციელდებოდა საგარანტიო ფურცლისა და სადაზღვევო პოლისის საფუძველზე. მის ელექტრონულ ბაზაში აისახებოდა მხოლოდ წარდგენილ საგარანტიო წერილში/მიმართვაში მითითებული მონაცემები. სააფთიაქო ქსელმა განმარტა, რომ მას არ გააჩნდა მონაცემთა შეგროვების სხვა წყარო, თუმცა მონაცემების ელექტრონულ ბაზაში ასახვის დროს, მექანიკური შეცდომის თავიდან აცილების მიზნით, პირადი ნომრის გადამოწმება ხდებოდა

სსიპ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე, გადამხდელთა რეესტრში. სააფთიაქო ქსელმა ვერ მიუთითა ბავშვის თავდაპირველი გვარი, ისევე როგორც კომენტარის სახით მოცემული გვარი როდის, რა მიზნით, რა საფუძვლით და ვის მიერ აისახა მონაცემთა ბაზაში. არასწორ დაბადების თარიღთან (23.02.1981) დაკავშირებით კი სააფთიაქო ქსელმა გამოთქვა ვარაუდი, რომ შეცდომის წყაროს წარმოადგენდა აფთიაქში წარდგენილი საგარანტიო მიმართვა. ინსპექტორის მოთხოვნის მიუხედავად, სააფთიაქო ქსელმა დროულად არ წარუდგინა იმ დოკუმენტაციის ასლები, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ბავშვის მონაცემების ელექტრონულ ბაზაში ასახვა. მან ასევე დაგვიანებით მიაწოდა ინსპექტორს ინფორმაცია მესამე პირებისთვის ბავშვის მონაცემების გადაცემის ფაქტის არარსებობის შესახებ.

სააფთიაქო ქსელის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, ინსპექტორის აპარატმა შეამოწმა სადაზღვევო კომპანიასა და სსიპ შემოსავლების სამსახურში დაცული ინფორმაცია. დადგინდა, რომ სადაზღვევო კომპანიაში ფიქსირდებოდა მხოლოდ ბავშვის არსებული გვარი. თავდაპირველი გვარი და დაბადების თარიღი არცერთ საგარანტიო მიმართვაში არ იყო მითითებული. დაბადების მონაცემებში, სადაზღვევო კომპანიასა და დამზღვევს შორის დადებული ხელშეკრულების დანართში ბავშვის დაბადების თარიღად ფიქსირდებოდა 2012 წელი. შემოსავლების სამსახურის ერთიან ელექტრონულ ბაზაში კი ბავშვის პირადი ნომრით არცერთი გადამხდელი არ იყო აღრიცხული და შესაბამისად, მასზე ინფორმაცია არ ფიქსირდებოდა.

სამართლებრივი შეფასება

რამდენადაც მტკიცებულებებით სააგენტოსა და სადაზღვევო კომპანიის მიერ ბავშვის მონაცემთა უკანონო დამუშავების ფაქტი არ დადასტურდა, ხოლო სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ ბავშვის მონაცემების დამუშავებას საერთოდ არ ჰქონია ადგილი, სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელი აქტებისა და დაზღვევის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე ინსპექტორმა სააგენტოსა და სადაზღვევო კომპანიის მიერ ბავშვის მონაცემთა დამუშავება მიიჩნია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისად.

რაც შეეხება სააფთიაქო ქსელს, მან ვერ წარმოადგინა სათანადო ინფორმაცია, თუ რა გზით და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რომელი საფუძვლით განახორციელა ბავშვის თავდაპირველი გვარისა და დაბადების თარიღად არასწორი მონაცემის ელექტრონულ ბაზაში ასახვა და შენახვა. განცხადების განხილვის ფარგლებში არ გამოვლენილა აღნიშნული მონაცემების დამუშავების ამავე კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრული სხვა სამართლებრივი საფუძველი.

გარდა ამისა, ინსპექტორის შეფასებით, სააფთიაქო ქსელის ელექტრონულ ბაზაში ბავშვის დაბადების თარიღთან დაკავშირებული არაზუსტი მონაცემის ასახვით დაირღვა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მონაცემთა სიზუსტისა და ნამდვილობის პრინციპი. კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, მონაცემები ნამდვილი და ზუსტი უნდა იყოს და საჭიროების შემთხვევაში, უნდა განახლდეს. კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს.

ინსპექტორმა ასევე მიიჩნია, რომ სააფთიაქო ქსელმა შემოწმების ფარგლებში მოთხოვნილი

ინფორმაციის არასაპატიო მიზეზით დაგვიანებით წარმოდგენით დაარღვია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლი. კერძოდ, სააფთიაქო ქსელმა ინფორმაცია წარმოადგინა 25 დღის შემდეგ, მაშინ როცა ზემოაღნიშნული მუხლის თანახმად, მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია ინსპექტორს ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტი მიაწოდოს დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 დღისა.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

სააფთიაქო ქსელი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-5 მუხლების დარღვევით ბავშვის მონაცემების დამუშავებისა და 35-ე მუხლის დარღვევის გამო ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად ამავე კანონის 43-ე, 44-ე და 53-ე მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენაში და სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა. მას ასევე დაევალა ბავშვის შესახებ კანონიერი საფუძვლის გარეშე დამუშავებული პერსონალური მონაცემის წაშლა/განადგურება და ელექტრონულ სისტემაში არაზუსტი მონაცემის გასწორება.

აღსანიშნავია, რომ ინსპექტორის გადაწყვეტილება სააფთიაქო ქსელმა გაასაჩივრა სასამართლოში. 2017 წელს თბილისის საქალაქო სასამართლომ გააუქმა ინსპექტორის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განხილვისთვის დააბრუნა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სრულყოფილად არ იყო გამოკვლეული ყველა გარემოება და ინსპექტორს უნდა დაედგინა პირი, რომელიც მონაცემთა სუბიექტის პერსონალურ მონაცემებს ამუშავებდა კანონდარღვევით და რომლის მეშვეობითაც სააფთიაქო ქსელისთვის ხელმისაწვდომი გახდა ბავშვის თავდაპირველი გვარი. ამასთან, სასამართლოს სადავო არ გაუხდია სააფთიაქო ქსელის მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლით განსაზღვრული ვადის დარღვევა.

განცხადების ხელახალი განხილვის ფარგლებში ვერც სააფთიაქო ქსელმა და ვერც ბავშვის მშობელმა ვერ წარმოადგინეს დამატებითი ინფორმაცია, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ბავშვის თავდაპირველი გვარის სააფთიაქო ქსელის მონაცემთა ბაზაში ასახვის წყაროს დადგენა. დამატებით, ინსპექტორმა ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსგან და იმ სამედიცინო ცენტრისგან, რომელმაც, სააგენტოს განმარტებით, ახალშობილ ბავშვს გაუწია ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება. არაერთი ორგანიზაციიდან ინფორმაციის გამოთხოვის მიუხედავად, საქმის ხელახალი განხილვის ფარგლებშიც ვერ დადგინდა ის პირი/ორგანიზაცია, რომელმაც სააფთიაქო ქსელს მიაწოდა ბავშვის თავდაპირველი გვარი.

ინსპექტორმა ხელახლა იმსჯელა სააფთიაქო ქსელის მიერ ბავშვის მონაცემების დამუშავების კანონიერებაზე და კვლავ მიიჩნია, რომ მონაცემთა დამუშავება განხორციელდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-5 მუხლების დარღვევით. სააფთიაქო ქსელმა ვერ დაასაბუთა რა კანონიერ მიზანს ემსახურებოდა ბავშვის თავდაპირველი (შეცვლილი) გვარის შესახებ ინფორმაციის შენახვა, მაშინ როდესაც მას ჰქონდა ინფორმაცია არსებული გვარის თაობაზე. ამასთან, საქმის განმეორებით განხილვის დროს დადასტურდა, რომ სააფთიაქო ქსელი აღარ ამუშავებდა ბავშვის თავდაპირველი გვარისა და დაბადების თარიღის შესახებ არასწორ მონაცემებს.

რამდენადაც განცხადების ხელახლა განხილვის დასრულების დროისთვის, 2018 წლის აპრილში, უკვე გასული იყო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-5 და 35-ე მუხლების დარღვევისთვის სააფთიაქო ქსელს არ დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.


რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება და მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების, ღირსების, კეთილდღეობის, განვითარების, უსაფრთხოებისა და სხვა უფლებების დაცვა აუცილებელია მისი მონაცემების დამუშავების ნებისმიერ პროცესში. ბავშვის მონაცემების უზუსტობის ან სხვა საეჭვო გარემოების გამოვლენისას, ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ მონაცემების დაზუსტება და განახლება. ბავშვის მონაცემების მოპოვების წყარო უნდა იყოს დოკუმენტირებული, ელექტრონულ სისტემებში კი უნდა აღირიცხებოდეს და კონტროლდებოდეს არასრულწლოვნის მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-5 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
3. საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
4. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2018)7 რეკომენდაცია ციფრულ ეპოქაში ბავშვთა უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფის შესახებ - <https://rm.coe.int/guidelines-to-respect-protect-and-fulfil-the-rights-of-the-child-in-th/16808d881a>.



მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვების დიაგნოზის გამჟღავნება



ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2016 წლის ივლისში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს აცნობა არასრულწლოვანი და-ძმის (შემდგომში - ბავშვები) ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნების შესახებ.

ინსპექტორის მიერ ჩატარებული შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ ბავშვები ტუბერკულოზის დიაგნოზით სტაციონარულ მკურნალობას გადიოდნენ ქ. თბილისის ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში, საიდანაც 2015 წლის დეკემბერში განერეს დაავადების დახურული ფორმის დიაგნოზით, რომელიც გარშემომყოფთათვის საფრთხეს არ წარმოადგენდა და საჭიროებდა მკურნალობის სახლის პირობებში გაგრძელებას. რადგან ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახში ინტეგრაცია ვერ მოხდა, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ (შემდგომში - სააგენტო), როგორც კანონიერმა წარმომადგენელმა, ბავშვები საკურორტო ზონაში განათავსა მინდობით აღსაზრდელად. 2016 წლის იანვრიდან ბავშვებმა დაიწყეს სკოლაში სიარული და ადგილობრივ საავადმყოფოში მკურნალი ექიმის კონსულტაციასაც იღებდნენ.

2016 წლის იანვრის ბოლოს გაკვეთილზე ერთ-ერთი ბავშვი ახველებდა. მასწავლებელმა ჰკითხა მიზეზი, რაზეც ბავშვმა უპასუხა, რომ ადრე მკურნალობდა ტუბერკულოზის ცენტრში. აღნიშნული ინფორმაცია სწრაფად გავრცელდა სკოლის მასწავლებლებსა და თანაკლასელების მშობლებში. მალევე, მიმღებ მშობელს სკოლის დირექტორმა სთხოვა გამოჯანმრთელებამდე ბავშვები სკოლაში არ მიეყვანა.

სკოლის დირექტორი სააგენტოს სოციალური მუშაკისგან დაჟინებით ითხოვდა მოსწავლეების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობებს. სოციალური მუშაკისთვის ცნობილი გახდა სკოლაში არსებული პანიკისა და ბავშვების დისკრიმინაციის შესახებ. სოციალურ მუშაკს ჰქონდა დაზუსტებული ინფორმაცია, რომ ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა გარშემომყოფებს საფრთხეს არ უქმნიდა და სკოლის დირექტორს გადასცა 2015 წლის ბოლოს ბავშვებზე გაცემული სამედიცინო ცნობების (ფორმა №IV-100/ა) ასლები.

2016 წლის იანვრის ბოლოს სკოლის დირექტორს მოსწავლეთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვებით მიმართა ერთ-ერთმა მასწავლებელმა. დირექტორმა მას აუხსნა, რომ ბავშვებისგან მომდინარე საფრთხის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სიმართლეს და დასტურად ცნობები დროებით გადასცა მას, ბავშვების მკურნალ ექიმთან ფორმა №IV-100/ა-ში მოცემული ჩანაწერის დაზუსტების მიზნით, ისე რომ არც სოციალური მუშაკის და არც მიმღები მშობლის ინფორმირება არ მოუხდენია.

ამასთან, 2016 წლის თებერვლის დასაწყისში ერთ-ერთი ბავშვის კლასის მშობელთა კრებაზე დირექტორმა აღელვებულ მშობლებს გააცნო ინფორმაცია, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობებით დასტურდებოდა, რომ კლინიკური და რენტგენოლოგიური გამოკვლევებით ბავშვები ამჟამად ეპიდემიოლოგიურ საშიშროებას არ წარმოადგენდნენ და შესაძლებელი იყო მათი სასწავლო პროცესში დაშვება.

სამართლებრივი შეფასება

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, სკოლა ვალდებულია შექმნას ჯანმრთელობისთვის, სიცოცხლისა და საკუთრებისთვის უსაფრთხო გარემო. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სკოლის დირექტორი პერსონალურად აგებს პასუხს სკოლაში მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. სკოლის მიერ ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ცნობების მოთხოვნის მომენტისთვის ერთ-ერთი ბავშვის განმარტება ტუბერკულოზის ცენტრში მკურნალობის შესახებ მიუთითებდა დაავადების იმ სავარაუდო ფორმაზე, რომელსაც შესაძლოა საფრთხე შეექმნა გარემომყოფებისთვის. ამდენად, ინსპექტორმა მიიჩნია, რომ სკოლის დირექტორის მცდელობა დაედგინა დაავადების არსებობა, ფორმა და საჭიროების შემთხვევაში, დაეცვა სკოლაში მყოფ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, წარმოადგენდა მის საკანონმდებლო ვალდებულებას და ცნობების სააგენტოსგან მოპოვებისთვის არსებობდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი.

თუმცა, სკოლამ ბავშვების კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობები გადასცა ერთ-ერთ მასწავლებელს და ასევე, ცნობებში დაფიქსირებული მონაცემები გაამჟღავნა მშობელთა კრებაზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის *(მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირისათვის გამჟღავნება)* და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევით *(მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ, მიიღონ სკოლაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციისა)*. აქვე აღსანიშნავია, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის თანახმად, მასწავლებლის ძირითადი ვალდებულებაა მოსწავლის ხარისხიან განათლებასა და პიროვნულ განვითარებაზე ზრუნვა, რაც არ მოიცავს სკოლაში მყოფ პირთა უსაფრთხოების მიზნით მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გადამონმებას.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

სკოლის მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევით მონაცემთა გამჟღავნების ფაქტი დადგინდა, თუმცა, რამდენადაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციული სახდელი პირს შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, სკოლას ვერ დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

ბავშვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დაცვა, მათ შორის შემთხვევითი ან უკანონო გამჟღავნებისგან, სკოლის პირდაპირი მოვალეობაა. დაუშვებელია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გასაჯაროება ან მესამე პირებისთვის გამჟღავნება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების, კანონიერი წარმომადგენლის თანხმობისა და სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-17 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
3. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და მე-17 მუხლები - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=83>.
4. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციები სკოლებისთვის - სკოლებში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.

გამოყენებული დეკლარაციის მეთოდით მოსწავლეთა მონაცემების გამჟღავნება



ფაქტობრივი გარემოებები

2016 წლის 10 ოქტომბერს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ერთ-ერთმა არაკომერციულმა ორგანიზაციამ (შემდგომში - ორგანიზაცია) აცნობა, რომ ერთ-ერთი საჯარო სკოლისგან პირთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმითა და საჯარო ინფორმაციის სახით გამოითხოვა სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები და სხვა მასალები. საპასუხოდ, 2016 წლის 6 ოქტომბერს მიიღო მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტები.

სკოლის შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის თაობაზე სკოლის დირექტორის ბრძანებების (სულ 31 ბრძანება) დასკანირებულ დოკუმენტებში ასახული მოსწავლეთა სახელები და გვარები პროგრამა „Nitro“-ს საშუალებით ყვითლად იყო დაფარული, თუმცა, ფერის მოხსნა და დოკუმენტისთვის მისი პირველადი სახის დაბრუნება მარტივად იყო შესაძლებელი. სკოლამ განმარტა, რომ მოცულობითი საჯარო ინფორმაციის გაცემის შეზღუდული ვადების გათვალისწინებით, დასკანირებულ დოკუმენტებში „Nitro“-ს მეშვეობით დაფარა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემები და 6 ოქტომბერს ელექტრონული ფოსტით გაუგზავნა ორგანიზაციას. მას შემდეგ, რაც ორგანიზაციამ სკოლას აცნობა, რომ მოსწავლეთა სახელები და გვარები გარჩევადი იყო, სკოლამ შეცვალა დოკუმენტების დამუშავების მეთოდი, კერძოდ, პროგრამა „Nitro“-ს მეშვეობით დამუშავებული დოკუმენტები ამოიბეჭდა, ხელახლა მოხდა მათი სკანირება და ისე გაეგზავნა ორგანიზაციას 2016 წლის 10 ოქტომბრიდან 28 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში. სკოლის განმარტებით, მოსწავლეების ან/და მათი კანონიერი წარმომადგენლების თანხმობების მოპოვება არ მომხდარა, რადგან „Nitro“-ს გამოყენებით ტექსტის ცალკეული ნაწილის დაფარვა სკოლამ მონაცემთა გამჟღავნების პრევენციის საკმარის ზომად მიიჩნია.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. ამავე მუხლის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, მონაცემთა დეპერსონალიზაცია არის მონაცემთა იმგვარი მოდიფიკაცია, რომ შეუძლებელი იყოს მათი დაკავშირება მონაცემთა სუბიექტთან ან ასეთი კავშირის დადგენა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, ხარჯებსა და დროს საჭიროებდეს.

პერსონალურ მონაცემად ინფორმაციის მისაჩვენად აუცილებელი არ არის იგი იძლეოდეს მონაცემთა სუბიექტის პირდაპირი და ზუსტი იდენტიფიცირების საშუალებას, საკმარისია ინფორმაცია უკავშირდებოდეს იდენტიფიცირებულ ფიზიკურ პირს ან/და მისი მეშვეობით არაპროპორციულად დიდი ძალისხმევის გარეშე იყოს შესაძლებელი პირის იდენტიფიცირება. შესაბამისად, სკოლის მიერ პროგრამა „Nitro“-ს გამოყენებით დასკანირებულ დოკუმენტში პერსონალური მონაცემების დაფარვა, იმ ვითარებაში, როდესაც მონაცემთა მიმღებს მარტივად, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე შეეძლო ამავე პროგრამის საშუალებით დოკუმენტის თავდაპირველი სახის აღდგენა და დაფარული მონაცემების გაცნობა, არ იქნა შეფასებული მონაცემთა დეპერსონალიზაციად.

ინსპექტორმა მიიჩნია, რომ სკოლამ მოსწავლეთა მონაცემები გაამჟღავნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრული თანხმობისა და სხვა სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის პირობებში. ამასთან, მიუხედავად მონაცემთა დეპერსონალიზაციის განზრახვისა, სკოლამ ვერ უზრუნველყო მონაცემთა შემთხვევითი გამჟღავნებისგან დასაცავად ამავე კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღება.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მონაცემთა დამუშავების და მე-17 მუხლით დადგენილი უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის გამო, სკოლა ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე და 46-ე მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენაში და სახდელის სახით შეეფარდა გაფრთხილება.


რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

ტექნოლოგიური საშუალებებით მონაცემთა დეპერსონალიზაციის შემთხვევაში, ორგანიზაციამ წინასწარ უნდა შეაფასოს რისკები და უნდა დარწმუნდეს, რომ მის მიერ გამოყენებული საშუალება და მეთოდი ნამდვილად უზრუნველყოფს მონაცემთა იმგვარ ცვლილებას, რომ შეუძლებელი იყოს კონკრეტული პირების, განსაკუთრებით არასრულწლოვანთა იდენტიფიცირება და მათი მონაცემების თუნდაც შემთხვევითი გამჟღავნება.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-5 და მე-17 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციები სკოლებისთვის - სკოლებში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.



სასტუმროში საბავშვო ოთახის საკირფარეშოს ვიდეოთვალთვალი



ფაქტობრივი გარემოებები

2017 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინიციატივით ერთ-ერთი სასტუმროს შემონმების დროს დადგინდა, რომ სასტუმროს გარე და შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებული 117 ვიდეოსათვალთვალო კამერის ხედვის არეალში სხვა სივრცეებთან ერთად ექცეოდა საბავშვო ოთახი და ამავე ოთახის ჰიგიენისთვის განკუთვნილი ადგილები - 2 საკირფარეშო. სასტუმროს განმარტებით, ვიდეოთვალთვალი მიმდინარეობდა პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნით. ვინაიდან, საბავშვო ოთახი განკუთვნილი იყო 7 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის, მათ უსაფრთხოებას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა.

ვიდეოთვალთვალის შედეგად მოპოვებული ჩანაწერები 1 თვემდე ვადით ინახებოდა საკეტიტ დაცულ ოთახში განთავსებულ და კომპლექსური პაროლით დაცულ სერვერზე. ვიდეოთვალთვალის სისტემაზე როგორც პირდაპირ რეჟიმში, ასევე ჩანერის შემდგომ პერიოდში წვდომა ჰქონდა სასტუმროს უსაფრთხოების სამსახურის 16 თანამშრომელს, ინდივიდუალური მომხმარებლის სახელითა და პაროლით. მათვე შეეძლოთ ჩანაწერის დათვალიერება, ამოღება (ექსპორტი) და სხვა. სისტემაში 1 თვის ვადით ინახებოდა ე.წ. ლოგები - სისტემაში შესრულებული მოქმედებების შესახებ ინფორმაცია.

შემონმებისას ასევე დადგინდა, რომ სასტუმროს შიდა და გარე პერიმეტრზე არ იყო განთავსებული ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნები და არც სასტუმროს თანამშრომლები იყვნენ წერილობითი ფორმით ინფორმირებულნი სამუშაო ადგილზე მიმდინარე ვიდეოთვალთვალის და მათი უფლებების თაობაზე.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი ადგენს საჯარო და კერძო დაწესებულებათა შენობების ვიდეოთვალთვალის სპეციალურ წესს. აღნიშნული მუხლის თანახმად, საჯარო და კერძო დაწესებულებებს შესაბამისი მონიტორინგის განხორციელების მიზნით შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი შენობების ვიდეოთვალთვალი, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისაგან დაცვისა და საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის. ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით შესაძლებელია მხოლოდ შენობის გარე პერიმეტრის და შესასვლელის მონიტორინგის განხორციელება და მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია თვალსაჩინო ადგილას განათავსოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი. სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის სისტემის დაყენება შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, ასევე საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის და თუ ამ მიზნების სხვა

საშუალებით მიღწევა შეუძლებელია. აღნიშნულ შემთხვევაში აუცილებელია ყველა დასაქმებული წერილობითი ფორმით იყოს ინფორმირებული ვიდუოთვალთვალის განხორციელებისა და მისი უფლებების შესახებ. ვიდუოთვალთვალის განხორციელება დაუშვებელია ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში.

ინსპექტორმა კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნია არასრულწლოვანთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით საბავშვო ოთახის საპირფარეშოებში მიმდინარე ვიდუოთვალთვალი და აღნიშნა, რომ მონაცემთა სუბიექტებს, მათ შორის მცირეწლოვან პირებსაც, აქვთ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. სწორედ ამიტომ კრძალავს კანონი ვიდუოთვალთვალის განხორციელებას ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში. ინსპექტორმა ასევე დარღვევად შეაფასა გამაფრთხილებელი ნიშნებისა და თანამშრომელთა წერილობითი ინფორმირების გარეშე ვიდუოთვალთვალის განხორციელება.

დამატებით, შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სასტუმროს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ინსპექტორისთვის წარდგენილი არ ჰქონდა ფაილური სისტემის კატალოგი, კერძოდ, ვიდუოთვალთვალის სისტემით მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაცია. ასევე, სასტუმრო ამავე კანონის მე-17 და მე-18 მუხლებით დადგენილი წესით არ აღრიცხავდა სამართალდამცავი ორგანოებისთვის ვიდუოჩანაწერების გადაცემის ფაქტებს, ხოლო ჩანაწერის გადაცემას ახდენდა სამართალდამცავი ორგანოს წერილობითი მიმართვის, და არა მოსამართლის განჩინებისა თუ გადაუდებელი აუცილებლობისას პროკურორის დადგენილების საფუძველზე, როგორც ამას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლი ითვალისწინებს. ამასთან, ცალკეული ვიდუოჩანაწერის ასლებს ინახავდა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის, მიზნის გარეშე და უკადოდ.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-5, მე-12, მე-17 და მე-20 მუხლების დარღვევით მონაცემთა დამუშავების გამო სასტუმრო ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად ამავე კანონის 43-ე, 44-ე, 46-ე, 48-ე და 53-ე მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენაში და სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა. სხვა დავალებებთან ერთად, სასტუმროს ასევე დაევალა შეეწყვიტა ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში ვიდუოთვალთვალი და წაეშალა/გაენადგურებინა შესაბამისი ჩანაწერები, ვიდუოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ თვალსაჩინო ადგილას განეთავსებინა გამაფრთხილებელი ნიშნები და წერილობითი ფორმით მოეხდინა ყველა დასაქმებულის ინფორმირება.


რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

დაუშვებელია ვიდუოთვალთვალი გამოსაცვლელ ოთახში და ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილას, მათ შორის საპირფარეშოში, ან სხვა ისეთ სივრცეში, სადაც ადამიანს აქვს პირადი ცხოვრების დაცულობის გონივრული მოლოდინი და თვალთვალი ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს. მცირეწლოვანთა უსაფრთხოების დაცვის მოტივი არ შეიძლება გახდეს ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში ვიდუოთვალთვალის საფუძველი. ამასთან, არასრულწლოვანებთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედება უნდა გამომდინარეობდეს მათი ღირსებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემის, ასევე ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-5, მე-12, მე-17, მე-18 და მე-20 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. სახელმწიფო ინსპექტორის რეკომენდაციები ვიდეოთვალთვალის განხორციელების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.
3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე შოდერმანი შვედეთის წინააღმდეგ (Söderman v. Sweden), დიდი პალატის 2013 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება - [https://hudoc.echr.coe.int/eng#{"itemid":\["001-144577"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{).



არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების შემოწმება



ფაქტობრივი გარემოებები

2017 წლის ბოლოს დასრულდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) №11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში (შემდგომში - დაწესებულება) განთავსებული მსჯავრდებულების პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შემოწმება. შემოწმება მოიცავდა მსჯავრდებულთა პირადი საქმეების, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის, ფოტოგადაღების, დაქტილოსკოპიური ბარათების, მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას წარმოებული დოკუმენტების, მსჯავრდებულთა რეესტრების, მათ შორის ჟურნალების (მაგალითად, ფოსტის, ამანათებისა და პაემნების აღრიცხვის), ბარათების, სამედიცინო და სხვა სახის დოკუმენტების წარმოების გზით არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლას.

სამართლებრივი შეფასება

შემოწმების შედეგად გამოვლინდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომში - კანონი) დადგენილი მოთხოვნების დარღვევით მონაცემთა დამუშავების რამდენიმე ფაქტი.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება

კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პირის ეთნიკურ კუთვნილებასთან და მსჯავრდებულთან დაკავშირებული მონაცემები წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს. ამავე კანონის მე-6 მუხლი დასაშვებად მიიჩნევს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებას ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეებისა და რეესტრების წარმოების, მსჯავრდებულის მიმართ მის მიერ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ან/და მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის №180 ბრძანებით დამტკიცებული „არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრისა და პირადი საქმის წარმოების წესის“ (შემდგომში - მინისტრის №180 ბრძანება) №7 დანართის თანახმად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ანკეტაში აისახება მსჯავრდებულის გვარი, სახელი და მამის სახელი; დაბადების წელი, თვე, რიცხვი; მოქალაქეობა; მუდმივი საცხოვრებელი ადგილი დაკავებამდე; ნასამართლობა; ფოტოსურათი და სხვა მონაცემები. შემოწმების შედეგად კი დადგინდა, რომ პირად საქმეში არსებული 7 ანკეტა შეიცავდა მსჯავრდებულის ეროვნების შესახებ მონაცემს, ხოლო ერთ ანკეტაში მითითებული იყო არასრულწლოვანის მამის მსჯავრდების შესახებ ინფორმაცია. ეროვნების შესახებ მონაცემთა დამუშავების მიზნად დაწესებულებამ მიუთითა, მინისტრის №180 ბრძანების ამოქმედებიდან

გარკვეული ვადის განმავლობაში ანკეტების ძველი ფორმების გამოყენება, რომლებიც ითვალისწინებდა აღნიშნული მონაცემის ასახვას. შემონმების მიმდინარეობისას აღმოიფხვრა ხარვეზი და დაიფარა ანკეტებში მითითებული ეროვნების შესახებ ინფორმაცია.

დანესებულების მიერ მსჯავრდებულთა ეროვნებისა და ერთ-ერთი მსჯავრდებულის მამის მსჯავრდების შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება შეფასდა კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის გარეშე დამუშავებად.

მონაცემთა გამჟღავნება

კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით წარმოადგენს მონაცემთა დამუშავებას. ამავე კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი.

მსჯავრდებულთა პირადი საქმეების შემონმების შედეგად, ერთ პირად საქმეში აღმოჩენილ იქნა ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პირველი განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებლის წერილობითი მოთხოვნა ერთ-ერთი არასრულწლოვნის დანესებულებაში ყოფნის, პასუხისგებაში მიცემის საფუძვლის, სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის შესახებ ინფორმაციისა და დაკავების ოქმის ასლის გადაცემის თაობაზე. აღნიშნულის საპასუხოდ, დანესებულებამ გარდა მოთხოვნილი ინფორმაციისა, ინსპექტორ-გამომძიებელს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია არასრულწლოვნის გასამართლების, მისთვის სასჯელის შეფარდებისა და შეფარდებული სასჯელის შეცვლის, სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის მიმდინარეობისა და სხდომის თარიღის შესახებ.

ინსპექტორმა მიიჩნია, რომ დანესებულებამ მოთხოვნილზე მეტი მოცულობით მონაცემების გადაცემის გზით მსჯავრდებულის პერსონალური მონაცემები დაამუშავა კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევით.

მონაცემთა უსაფრთხოება

კანონის მე-17 მუხლი განსაზღვრავს მონაცემთა დამმუშავებლის ვალდებულებას მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. არაელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა დამმუშავებისას მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს მონაცემთა გამჟღავნებასთან ან/და ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების აღრიცხვა.

შემონმების შედეგად დადგინდა, რომ სამართლებრივად არ იყო დარეგულირებული ინდივიდუალური დაგეგმვის საქმისწარმოების შეწყვეტამდე მესამე პირების მიერ საქმეში მატერიალური

დოკუმენტაციის გაცნობის და გამოთხოვის საკითხი და იმ პირთა წრე, რომელთაც ენიჭებოდათ აღნიშნული ინფორმაციის მიღების უფლება. მიუხედავად ასეთი ჟურნალების/ბარათების საჭიროებისა, სამართლებრივად ასევე არ იყო რეგულირებული „მოშიშვლეთა აღრიცხვის ჟურნალის“, „ქრონიკული პაციენტის რეგისტრაციის ჟურნალის“, „ხანმოკლე პაემნის აღრიცხვის ბარათების“ და სხვა ჟურნალების წარმოების წესი.

ინსპექტორის განმარტებით, საკითხის სამართლებრივი მოუწესრიგებლობა ხელს უწყობდა არაერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვას, რაც თავის მხრივ წარმოშობდა მონაცემების არამართლზომიერად, კანონით დადგენილი პრინციპების დარღვევით დამუშავების, მონაცემთა შემთხვევითი ან უკანონო გამჟღავნების, მოპოვების, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვის საფრთხეს.

შემონებების შედეგად ასევე დადგინდა, რომ რამდენიმე პირად საქმეში არ იყო ჩაკერებული მსჯავრდებულის ბადრაგირებასთან, ასევე, სხვა დაწესებულებაში გადაყვანა/დაბრუნებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, როგორც ამას მინისტრის №180 ბრძანებით დამტკიცებული წესის დანართი №1 ითვალისწინებდა.

მონაცემთა შენახვის ვადა

კანონის მე-4 მუხლის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

რეესტრში არსებული სააღრიცხვო დოკუმენტებისა და პირადი საქმის დაარქივებისა და განადგურების წესი განისაზღვრება მინისტრის №180 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლით, რომლის თანახმადაც, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის გათავისუფლების შემდეგ მისი პირადი საქმე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცემა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის არქივის სამმართველოს. ეს მუხლი ასევე განსაზღვრავს დანაშაულების კატეგორიების მიხედვით არასრულწლოვნის გათავისუფლების შემდეგ დაწესებულებაში არსებული დოკუმენტების განადგურების ვადებს. მაგალითად, ნაკლებად მძიმე დანაშაულებისთვის მსჯავრდებული არასრულწლოვნის რეესტრში არსებული სააღრიცხვო დოკუმენტები და პირადი საქმე ნადგურდება გათავისუფლებიდან 7 წლის ვადაში (*ნასამართლობის მქონე არასრულწლოვანთან მიმართებით - მისი გათავისუფლებიდან 10 წლის ვადაში*), ხოლო, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულის შემთხვევაში - 10 წლის ვადაში. სრულწლოვანების მიღწევის გამო, მსჯავრდებულის არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადაყვანისას, შესაბამის დაწესებულებაში იგზავნება მსჯავრდებულის პირადი საქმე, რომელსაც უნდა გაუკეთდეს განმასხვავებელი ნიშანი.

შემონებების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში ინახებოდა 1996-2001 წლებში ე.წ. ზა-ჰესის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებიდან გათავისუფლებული არასრულწლოვანი მსჯავრდებულების და 2002 წლის მაისიდან დაწესებულებიდან გათავისუფლებული მსჯავრდე-

ბულების პირადი საქმეები, ასევე, ხონის პენიტენციური დაწესებულებიდან დაწესებულებაში გადაგზავნილი პირადი საქმეები (სადაც 2002 წლამდე არასრულწლოვნები დაახლოებით ერთი წლისა და სამი თვის განმავლობაში იყვნენ განთავსებულნი), რაც შეფასდა კანონის მე-4 მუხლის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პრინციპების დარღვევად. აღსანიშნავია, რომ შემონმების პროცესში დაწესებულებამ სამინისტროს გადასცა დაარქივებას დაქვემდებარებული 1996 წლიდან 2017 წლის სექტემბრამდე პერიოდში გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა 742 პირადი საქმე.

შემონმების შედეგად ასევე დადგინდა, რომ დაწესებულებაში ინახებოდა 2002 წლიდან ნაწარმოები გადაადგილებისა და პირადი საქმეების აღრიცხვის ჟურნალები, 1993-2002 წლებში ე.წ. ზაპისის ტერიტორიაზე არსებულ დაწესებულებაში ნაწარმოები ჟურნალები. დაწესებულება ასევე უვადოდ ინახავდა მსჯავრდებულთა საკნებში/სპეციალურ საცხოვრებელში განთავსების ყოველდღიურ მონაცემებს და ხანმოკლე პაემნის აღრიცხვის ბარათებს. გათავისუფლების შესახებ ცნობის ყუები კი დაწესებულებაში ინახებოდა მინისტრის №180 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული 1 წლიანი ვადის დარღვევით და 2002 წლიდან მათი განადგურება არ მომხდარა. სამინისტრომ და დაწესებულებამ ვერ მიუთითეს აღნიშნული დოკუმენტების და მონაცემების უვადოდ შენახვის მიზანი და საჭიროება. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტების განუსაზღვრელი ვადით შენახვა შეფასდა კანონის მე-4 მუხლის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევად.

სამინისტროს სისტემაში დოკუმენტების ორგანიზების წესსა და პირობებს, მათი შენახვისა და დაარქივების ვადებს განსაზღვრავს „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების საქმეთა ნაერთი ნომენკლატურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №8735 ბრძანებით დამტკიცებული წესი. აღნიშნული წესის თანახმად, პატიმართა შიდა მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალები დაწესებულებაში, ხოლო გრძელვადიანი პაემნის რეგისტრაციის ჟურნალები სამინისტროში ინახება 3 წლის ვადით, მოკლევადიანი პაემნის აღრიცხვისა და ამანათების რეგისტრაციის ჟურნალები დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილებაში ინახება 3 წლით, ხოლო არქივის სამმართველოში მომდევნო 3 წლის ვადით.

შემონმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების დაარსებიდან, ასევე 2013 წლიდან ნაწარმოები ჟურნალები *(მსჯავრდებულთა მოძრაობის, საკნის, საცხოვრებელი სადგომის შეცვლის აღრიცხვის ჟურნალი, მოკლევადიანი პაემნის აღრიცხვის, ასევე, გრძელვადიანი პაემნის რეგისტრაციის ჟურნალი და ამანათების რეგისტრაციის ჟურნალი)* კვლავ დაწესებულებაში ინახებოდა და წესის შესაბამისად განადგურება არ მომხდარა, რაც შეფასდა კანონის მე-4 მუხლის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პრინციპების დარღვევად.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

მიუხედავად იმისა, რომ შემონმებისას გამოვლინდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-6 და მე-17 მუხლების დარღვევით არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მონაცემების დამუშავების ფაქტები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული ორთვიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო

სამინისტროსთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება ვერ მოხდა. სამინისტროს დაევალა კანონის მე-4 მუხლის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პრინციპების დარღვევით შენახული პირადი საქმეების, მსჯავრდებულთა გათავისუფლების ცნობის ყუების, ჟურნალების განადგურება ან შენახვა პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით; ხანმოკლე პაემნის აღრიცხვის ბარათების, ასევე მსჯავრდებულთა საკნებში/სპეციალურ საცხოვრებელში განთავსების მონაცემების შენახვის ვადების განსაზღვრა მონაცემთა დამუშავების კანონიერი მიზნის შესაბამისად, პირად საქმეში დოკუმენტების ჩაკერება კანონმდებლობით დადგენილი წესით. დამატებით, სამინისტროს მიეცა რეკომენდაცია, შეეფასებინა ინდივიდუალური დაგეგმვის საქმის წარმოების შეწყვეტამდე მესამე პირების მიერ საქმეში არსებული მატერიალური დოკუმენტაციის გაცნობისა და გამოთხოვის, ასევე სამართლებრივი აქტით დაურეგულირებელი ჟურნალებისა და სააღრიცხვო ბარათების წარმოების საჭიროება და განესაზღვრა სპეციალური წესი.


რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

ყველა უწყება, რომელიც მონაწილეობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, ვალდებულია, მათ შორის კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის პერსონალური მონაცემების დამუშავების დროს, უზრუნველყოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა და მისი პირადი ცხოვრების დაცულობა. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ხელშეწყობისა და სტიგმატიზაციის საფრთხეების შემცირების მიზნით, აუცილებელია, დაწესებულებაში მისი პერსონალური მონაცემების დამუშავება განხორციელდეს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების ჯეროვანი დაცვით, ვინაიდან, მისი მონაცემების უკანონო დამუშავება, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილზე მეტი ვადით შენახვის ან გამჟღავნების გზით, უარყოფით გავლენას ახდენს არასრულწლოვნის რესოციალიზაციასა და განვითარებაზე.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-4, მე-6 და მე-17 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მე-13 მუხლი - <https://stateinspector.ge/ka/page/sakanonmdeblo-aqtebi>.



მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მედიასაშუალებებისთვის ხელმისაწვდომობა



ფაქტობრივი გარემოებები

2017 წლის 25 დეკემბერს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს მიმართა არასრულწლოვნის მშობელმა მისი შვილის შესახებ ინფორმაციის მესამე პირისთვის ხელმისაწვდომობასა და ინტერნეტ გამოცემაში გავრცელებაზე რეაგირების მოთხოვნით. განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ 2017 წლის დეკემბერში, განმცხადებლის შვილის მონაწილეობით სკოლაში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებით, სხვა მოსწავლეთა ხუთმა მშობელმა განცხადებით მიმართა სკოლის დირექტორს და გამოხატეს გარკვეული პრეტენზიები განმცხადებლის შვილის მიმართ. აღნიშნულ ფაქტზე ერთ-ერთმა ინტერნეტ გამოცემამ ამავე წლის 18 დეკემბერს გამოაქვეყნა სტატია და გაასაჯაროვა სკოლის მშობლების განცხადების ფოტო. გამოცემის და სტატიის ავტორის (შემდგომში - ჟურნალისტი) მითითებით, სკოლაში შესაძლო ბულინგის ფაქტზე სტატიის მომზადებისას ჟურნალისტი 17 ან 18 დეკემბერს შეხვდა სკოლის დირექტორს, რომელმაც მას გააცნო მშობლების განცხადება. ჟურნალისტმა განცხადებას ფოტო გადაუღო დირექტორის თანხმობით და სტატიასთან ერთად მისი გამოქვეყნებაც სკოლის თხოვნით განახორციელა.

სკოლამ დაადასტურა მშობელთა განცხადების მიღებისა და დირექტორის ჟურნალისტთან საუბრის ფაქტი, რომელიც, სკოლის მითითებით, უკვე ინფორმირებული იყო სკოლაში მომხდარი კონფლიქტისა და სკოლაში შესული განცხადების შესახებ. სკოლამ უარყო განცხადებისა და მასში მითითებული მონაცემების ჟურნალისტისთვის გამჟღავნება და მიუთითა, რომ მათთვის უცნობი იყო საიდან მოხვდა განცხადება ჟურნალისტის ხელში. სკოლის განმარტებით, მშობელთა განცხადება თავდაპირველად ინახებოდა სკოლის დირექტორის კაბინეტში, სტატიის გამოქვეყნების შემდგომ კი რეაგირების მიზნით განცხადება გადაეცა სკოლის დისციპლინურ კომიტეტს.

ინსპექტორის აპარატის წარმომადგენლები დაუკავშირდნენ განცხადების ხელმომწერ ხუთივე მშობელს, რომლებმაც განმარტეს, რომ სკოლის გარდა არცერთი სხვა მესამე პირისთვის, მათ შორის არც ჟურნალისტისთვის, განცხადების არც ფოტო და არც ასლი არ გადაუციათ.

სამართლებრივი შეფასება

არასრულწლოვანი პირის საუკეთესო ინტერესების და მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების განუხრელი დაცვა. სკოლა ვალდებულია მოსწავლეების პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტების ნებისმიერი მესამე პირისთვის, მათ შორის, მედიასაშუალებებისთვის გამჟღავნება მოახდინოს მხოლოდ ამავე კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას, კონკრეტული კანონიერი მიზნით და საჭირო მოცუ-

ლობით. ამასთან, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 და მე-17 მუხლების თანახმად, მოსწავლეებს უფლება აქვთ სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლონ ამ თავით დაკული და სკოლის მიერ აღიარებული ყველა უფლებითა და თავისუფლებით. მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია. მათ არ შეიძლება მოეთხოვოთ გაამჟღავნონ ინფორმაცია თავიანთ პირად ცხოვრებაზე.

მართალია სკოლა უარყოფდა ჟურნალისტიკის არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების შემცველი განცხადების ხელმისაწვდომად გახდომის ფაქტს, მაგრამ განცხადების განხილვის ფარგლებში შესწავლილი მტკიცებულებების საფუძველზე ინსპექტორმა გაიზიარა ჟურნალისტიკა და გამოცემის ზემოაღნიშნული პოზიცია, რამდენადაც ისინი, სკოლისგან განსხვავებით, არ წარმოადგენდნენ საქმით დაინტერესებულ პირებს და არ არსებობდა მათი ახსნა-განმარტების სანდოობაში ეჭვის შეტანის საფუძველი. ამასთან, დადასტურდა, რომ განცხადება გამჟღავნების დროისთვის ოფიციალურად ინახებოდა სკოლაში, განცხადებაზე ხელმოწერილი მშობლები კი უარყოფდნენ სკოლის გარდა სხვა მესამე პირებისთვის განცხადების გამჟღავნებას.

ინსპექტორის შეფასებით, ის ფაქტი რომ ჟურნალისტს შესაძლებელია ჰქონოდა გარკვეული ინფორმაცია სკოლაში არსებული კონფლიქტის, თუ სკოლისთვის განცხადებით მიმართვის შესახებ, სკოლას არათავისუფლებდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით დადგენილი ვალდებულებისაგან. სკოლას საზოგადოებისთვის საინტერესო ინფორმაციის ჟურნალისტიკისთვის მიწოდება შეეძლო კონკრეტული პირების ვინაობის გამჟღავნების გარეშეც. ნაცვლად ამისა, სკოლამ ხელმისაწვდომი გახადა განცხადების სრული შინაარსი და არა მარტო განმცხადებლის არასრულწლოვანი შვილის ვინაობა და თანაკლასელებთან კონფლიქტის შესახებ ინფორმაცია, არამედ განცხადებაზე ხელმოწერილი მშობლებისა და სხვა არასრულწლოვნების მონაცემებიც. ინსპექტორმა აღნიშნა, რომ ბავშვის პირადი ცხოვრებისა და ინტერესების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ინფორმაციის ადრესატი მედიასაშუალებაა, რადგან ინფორმაცია შესაძლებელია გასაჯაროვდეს და მარტივად ხელმისაწვდომი გახდეს პირთა განუსაზღვრელი წრისთვის, როგორც ამას მოცემულ საქმეში ჰქონდა ადგილი. ამასთან, თანაკლასელებთან კონფლიქტის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას შეეძლო მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოეხდინა არასრულწლოვნის სამომავლო განვითარებაზე.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მონაცემთა გამჟღავნებისთვის სკოლა ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად ამავე კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის


ნებისმიერი მონაცემთა დამმუშავებელი, განსაკუთრებით სკოლა ვალდებულია პატივის სცეს და დაიცვას ბავშვის პირადი ცხოვრებისა და ღირსების ხელშეუხებლობა, და მისი საუკეთესო ინტერესები. სკოლა ჯეროვანი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ბავშვის პერსონალური მონაცემების გამჟღავნებას, განსაკუთრებით თუ არსებობს ინფორმაციის მედიისა და ინტერნეტ საშუალებებით გავრცელების ალბათობა. ბავშვის ან მისი ქცევის მიმართ საჯარო ინტერესის არსებობის დროსაც კი, სკოლამ უნდა უზრუნველყოს ბავშვის მონაცემების გამჟღავნება მხოლოდ კანონით გათვალისწინებული

საფუძვლით (მაგალითად, კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით), მინიმალური მოცულობით და ბავშვის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, რამდენადაც ბავშვები განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან მათი მონაცემების გასაჯაროებასთან დაკავშირებით და გამჟღავნების ფაქტმა შესაძლოა წარუშლელი კვალი დაატყოს არასრულწლოვნის ემოციურ მდგომარეობასა და განვითარებას.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციები მოსწავლეებისა და მშობლებისთვის - სკოლებში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.
3. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციები სკოლებისთვის - სკოლებში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.
4. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2018)7 რეკომენდაცია ციფრულ ეპოქაში ბავშვთა უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფის შესახებ - <https://rm.coe.int/guidelines-to-respect-protect-and-fulfil-the-rights-of-the-child-in-th/16808d881a>.



დამრიგებლის მიერ თანაკლასელებისთვის ერთ-ერთი მოსწავლის მშობლის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება



ფაქტობრივი გარემოებები

2018 წლის მარტში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს აცნობა ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლის მშობელთან დაკავშირებული ინფორმაციის სკოლაში გამჟღავნების ფაქტის შესახებ. კერძოდ, კლასის დამრიგებელმა მე-10 კლასის მოსწავლის - თ.დ.-ს მშობლის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებული სასამართლო განხილვის შესახებ ინფორმაცია გაუმჟღავნა ამავე კლასის მოსწავლეებს.

სკოლის შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ 2018 წლის მარტში თ.დ.-ს მშობლის მიერ სკოლის დირექტორისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების სავარაუდო ფაქტზე იმსჯელა სასამართლომ, მშობელი ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახით შეეფარდა გაფრთხილება. სასამართლო სხდომის მომდევნო დღეს თ.დ.-სა და მის თანაკლასელს შორის წარმოიშვა კონფლიქტი. დამრიგებლის მითითებით, რამდენადაც მოსწავლეების დაპირისპირების მიზეზი სასამართლოს გადაწყვეტილების განსხვავებული ინტერპრეტაცია იყო და მოსწავლეთა დიდი ნაწილი ფლობდა გარკვეულ ინფორმაციას თ.დ.-ს მშობელსა და დირექტორს შორის არსებული კონფლიქტის შესახებ, მან მიიჩნია, რომ მოსწავლეებს უნდა სცოდნოდათ სიმართლე და მიაწოდა დაზუსტებული ინფორმაცია. დამრიგებელმა მე-10 კლასის მოსწავლეებს განუმარტა, რომ სასამართლო სხდომის შედეგად თ.დ.-ს მშობელი სასამართლომ სცნო სამართალდამრღვევად და ნამდვილად შეეფარდა გაფრთხილება, ხოლო დირექტორს არანაირი პასუხისმგებლობა არ დაკისრებია. დამრიგებლის განმარტებით, სკოლის დირექციის მხრიდან მისთვის არავის მიუწოდებია ინფორმაცია თ.დ.-ს მშობლის მიერ სკოლის დირექტორის შეურაცხყოფის შესახებ, ის უშუალოდ შეესწრო მშობლისა და დირექტორის დაპირისპირებას და დაესწრო ღია სასამართლო სხდომასაც. მან ასევე მიუთითა, რომ სკოლის მხრიდან სასამართლო პროცესის შესახებ ინფორმაციის მოსწავლეებისთვის მიწოდებასთან დაკავშირებით მითითებას ადგილი არ ჰქონია და პირადად მიიღო აღნიშნული გადაწყვეტილება. თავის მხრივ, სკოლამაც უარყო დამრიგებლისთვის ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით მითითების მიცემის ფაქტი.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელს წარმოადგენს საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან

უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას, ხოლო, კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ფიზიკური პირის მიერ მონაცემთა აშკარად პირადი მიზნებისათვის დამუშავებაზე, როდესაც მათი დამუშავება დაკავშირებული არ არის მის სამეწარმეო ან პროფესიულ საქმიანობასთან.

ინსპექტორმა განმარტა, რომ რამდენადაც გამჟღავნებული ინფორმაცია შეეხებოდა სკოლაში მომხდარ ფაქტზე სასამართლო განხილვის შედეგებს და ინფორმაცია პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, სასწავლო პროცესში გაამჟღავნა დამრიგებელმა, მის მიერ ინდივიდუალურად განსაზღვრული მიზნით, სკოლის მითითების გარეშე, აღნიშნული სცდებოდა მხოლოდ პირადი მიზნებით ინფორმაციის დამუშავების ფარგლებს. ამდენად, დამრიგებელი წარმოადგენდა მონაცემთა დამმუშავებელს.

კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მონაცემთა სუბიექტის თანხმობით, ასევე, თუ მონაცემთა დამუშავება საქიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად ან/და აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი და ა.შ. კანონის მე-4 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად კი, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევაც მუშავდება ისინი.

მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესაფასებლად გასათვალისწინებელია ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებიც. კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 და 21-ე მუხლების თანახმად, მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია. მასწავლებელი ვალდებულია დაიცვას მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი. ამასთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 ივლისის №57/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად, მასწავლებელი, თავისი პროფესიული საქმიანობისას, სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის, ადამიანის უფლებათა დაცვის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და გარემოს დაცვის მაგალითს აძლევს მოსწავლეებს. მასწავლებელი იცავს მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებსა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებელი არ იყენებს პროფესიულ ან ინსტიტუციურ პრივილეგიებს პირადი მიზნებისათვის.

ინსპექტორის შეფასებით, ის ფაქტი რომ მოსწავლეებს შეიძლებოდა ჰქონოდათ გარკვეული ინფორმაცია სასამართლოში მიმდინარე საქმისა და სავარაუდო სამართალდარღვევის თაობაზე, არ ათავისუფლებდა დამრიგებელს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით დადგენილი ვალდებულებისაგან. ამასთან, შემოწმების ფარგლებში წარმოდგენილი მე-10 კლასის მოსწავლეების ახსნა-განმარტებებით დადგინდა, რომ 13 მოსწავლე ფლობდა ზოგად

და დაუზუსტებელ ინფორმაციას სასამართლოში მიმდინარე საქმის შესახებ, 2 მოსწავლისთვის კი საერთოდ უცნობი იყო აღნიშნული გარემოებები. დამრიგებელმა ვერ დაასაბუთა თ.დ.-ს მშობლის სამართალდამრღვევად ცნობის და მისთვის გაფრთხილების შეფარდების შესახებ ინფორმაციის მოსწავლეებისთვის გამჟღავნების კანონიერი მიზანი და კონკრეტული საჭიროება.

ინსპექტორმა გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ მონაცემთა დამმუშავებელი პირების მიერ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. მოცემულ შემთხვევაში, მონაცემების გამჟღავნება განსაკუთრებით სენსიტიური შეიძლება ყოფილიყო თ.დ.-სთვის, გავლენა მოეხდინა მის ფსიქიკურ/ემოციურ მდგომარეობასა და თანაკლასელებთან ურთიერთობაზე, ვინაიდან ინფორმაცია შეეხებოდა მისი მშობლის მიერ სკოლის დირექტორთან კონფლიქტს და სასამართლოს მიერ მის სამართალდამრღვევად ცნობას, ინფორმაციის ადრესატები კი იყვნენ მისი თანაკლასელები.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

შემონების შედეგად დადგინდა, რომ დამრიგებელმა მონაცემები გაამჟღავნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე, თუმცა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების ორთვიანი ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით, დამრიგებელს არ დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეემუშავებინა და დაენერგა დასაქმებული პირების (მათ შორის, მასწავლებლების) მხრიდან, მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, პერსონალური მონაცემების შემთხვევითი/უკანონო გამჟღავნების პრევენციის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

ბულინგისა და სტიგმატიზაციის საფრთხეების გათვალისწინებით, სკოლა და პედაგოგები განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოექიდონ არა მხოლოდ მოსწავლეთა, არამედ მათი მშობლების შესახებ ინფორმაციის სხვა არასრულწლოვნებისთვის გამჟღავნებას. ბავშვები განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან მათი და მათი ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასთან მიმართებით, შესაბამისად, გარკვეული სახის ინფორმაციის გავრცელებამ შესაძლოა ნეგატიური გავლენა მოახდინოს მათ ემოციურ მდგომარეობაზე, ისევე როგორც თანატოლებთან ურთიერთობაზე.

მიზანშეწონილია სკოლამ უზრუნველყოს მასწავლებელთა რეგულარული ინფორმირება მოსწავლეთათვის სენსიტიური ინფორმაციის გამჟღავნების საფრთხეებისა და მათი თავიდან აცილების თაობაზე, დანერგოს კონფლიქტურ სიტუაციებში მოქმედების ისეთი მეთოდები, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მონაცემთა შემთხვევითი ან უკანონო გამჟღავნების, ასევე ბულინგის რისკების აღმოფხვრას.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 და 21-ე მუხლები - <https://matsne.gov.ge/document/view/29248?publication=85>.
3. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციები სკოლებისთვის - სკოლებში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.



არასრულწლოვანი მოწმის ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის ბავშვის ადვოკატისთვის გადაცემა



ფაქტობრივი გარემოებები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს 2018 წლის მარტში განცხადებით მიმართა ბავშვის წარმომადგენელმა (შემდგომში - ადვოკატი). ადვოკატის მითითებით, ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე ქ. თბილისის ერთ-ერთი რაიონული პროკურატურის წარმომბაში იყო სისხლის სამართლის საქმე, რომლის ფარგლებშიც ბავშვი გამოიკითხა მოწმის სახით და ჩაუტარდა ექსპერტიზა ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული შეფასების მიზნით. 2018 წლის 30 იანვარს ადვოკატმა პროკურატურისგან გამოითხოვა ექსპერტიზის დასკვნის ასლი. 2018 წლის 9 მარტს მას ეცნობა, რომ მოთხოვნა - საქმის მასალის ასლის გადაცემის შესახებ ვერ დაკმაყოფილდებოდა, ვინაიდან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, ბავშვი არ წარმოადგენდა მხარეს.

განმცხადებელი მიუთითებდა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ კრძალავდა მოწმისთვის მისი პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის მიწოდებას და არ არსებობდა უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი, ვინაიდან საქმეში სავარაუდო დაზარალებულს სწორედ ბავშვი წარმოადგენდა და ექსპერტიზის დასკვნის მიწოდებით დანაშაულის გამოვლენის, გამოძიებისა და აღკვეთის მიზანი საფრთხის ქვეშ არ დადგებოდა. ამასთან, მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობით ბავშვს ეზღუდებოდა დასკვნის გასაჩივრების უფლება.

განცხადების განხილვის ფარგლებში საქართველოს მთავარმა პროკურატურამ (შემდგომში - პროკურატურა) განმარტა, რომ ბავშვის ამბულატორიული ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (შემდგომში - ექსპერტიზის დასკვნა) წარმოადგენდა სისხლის სამართლის საქმის მასალას. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კი, სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების მიღების უფლება გააჩნდათ მხოლოდ მხარეებს - ბრალდებულს, მსჯავრდებულს, გამართლებულს, მათ ადვოკატს, გამომძიებელს, პროკურორს. ვინაიდან ბავშვს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად მინიჭებული ჰქონდა მოწმის სტატუსი და არ წარმოადგენდა მხარეს, კანონმდებლობა მას არ ანიჭებდა საქმის მასალების ასლების მიღების უფლებას. პროკურატურამ ასევე მიუთითა, რომ ექსპერტიზის დასკვნა, როგორც საქმის მასალა, შეიცავდა კონკრეტული საგამომძიებო მოქმედების შედეგების შესახებ ინფორმაციას, რომელიც გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე მოწმისთვის ან/და გამოსაკითხი პირისთვის არ უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა სუბიექტი არის ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მუშავდება მონაცემები. ამავე კანონის 21-ე მუხლი ადგენს მონაცემთა სუბიექტის უფლებას, მოითხოვოს მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და მიიღოს მათი ასლები. ამავე კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, ეს უფლება საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება შეიზღუდოს, თუ ამ უფლების რეალიზაციამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას, მათ შორის დანაშაულის გამოვლენას, გამოძიებასა და აღკვეთას, მონაცემთა სუბიექტისა და სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს.

ინსპექტორმა იმსჯელა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მოწმისთვის მინიჭებულ უფლებებზე. რამდენადაც არცერთი კოდექსი არ ითვალისწინებდა მოწმის მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების მიღების უფლებას, ინსპექტორმა შესაძლებლად მიიჩნია ამ საფუძვლით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვა. თუმცა, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აღნიშნული მუხლის თანახმად, უფლების შეზღუდვის ზომის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შეზღუდვის მიზნის მისაღწევად.

განცხადების განხილვის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად ინსპექტორმა მიიჩნია, რომ პროკურატურის მიერ ბავშვის უფლების შეზღუდვა განხორციელდა ზოგადი წესის შესაბამისად, ისე რომ სათანადოდ არ იქნა შეფასებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-4 მუხლით დადგენილი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა და მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის ნაწილობრივ ან სხვა ფორმით დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

რამდენადაც ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგენდა სისხლის სამართლის საქმის მასალას, რომელზეც გამოძიება კვლავ მიმდინარეობდა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ფუნქციებიდან გამომდინარე, სწორედ პროკურატურა იყო უფლებამოსილი შეეფასებინა რამდენად შესაძლებელი იყო მოწმისთვის საქმის მასალების გადაცემას საფრთხე შეექმნა დანაშაულის გამოვლენის, გამოძიებისა და აღკვეთისთვის, ინსპექტორი მოკლებული იყო სამართლებრივ და ფაქტობრივ შესაძლებლობას დაედგინა მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების უფლების შეზღუდვის პროპორციულობა. თუმცა, ინსპექტორმა მიზანშეწონილად მიიჩნია, საქმის ინდივიდუალური გარემოებებისა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, თავად პროკურატურას შეეფასებინა განმცხადებლისთვის ექსპერტიზის დასკვნის ნაწილობრივ გადაცემის ან სხვა ფორმით განმცხადებლის ინფორმირების შესაძლებლობა.

ინსპექტორმა ასევე იმსჯელა მონაცემთა სუბიექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლების - *გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და მიიღოს მათი ასლები* რეალიზების ვადაზე და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ განსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადასცეს მონაცემთა სუბიექტს

მოთხოვნილი დოკუმენტების ასლები, მნიშვნელოვანია, მონაცემთა სუბიექტის აღნიშნული უფლების რეალიზება მოხდეს მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში. განმცხადებლისთვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ პროკურატურის წერილობითი პასუხი მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნიდან ერთი თვისა და 9 დღის შემდეგ არ იქნა მიჩნეული გონივრულ ვადად.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

მიუხედავად იმისა, რომ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი არ დადგინდა, პროკურატურას მიეცა რეკომენდაცია: საქმის ინდივიდუალური გარემოებებისა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით შეეფასებინა ბავშვისთვის მისი ექსპერტიზის დასკვნის ნაწილობრივ გადაცემის ან სხვა ფორმით განმცხადებლის ინფორმირების შესაძლებლობა და კანონით განსაზღვრული შეზღუდვის საფუძვლის არარსებობის შემთხვევაში უზრუნველყო მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის დაკმაყოფილება; უზრუნველყო მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება გონივრულ ვადაში, მათ შორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაშიც, რათა დაცული იყოს მონაცემთა სუბიექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით გარანტირებული უფლებები.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

კანონით გარანტირებული მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძვლის არსებობისას, მონაცემთა დამმუშავებელმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსის დაცვა მონაცემთა სუბიექტის ინტერესსა და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ინტერესს შორის, განსაკუთრებით თუ მონაცემთა სუბიექტი არასრულწლოვანია. უფლების შეზღუდვის აუცილებლობა და შეზღუდვის ზომის პროპორციულობა ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით (მაგალითად, შეიძლება მონაცემთა სუბიექტს გადაეცეს დოკუმენტების ან ინფორმაციის ის ნაწილი, რომლის გაცნობა საფრთხეს არ შეუქმნის აღმატებულ ინტერესს). ამასთან, მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება უნდა მოხდეს გონივრულ ვადაში, მათ შორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაშიც.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, 21-ე და 24-ე მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მე-3 და მე-4 მუხლები - <https://stateinspector.ge/ka/page/sakanonmdeblo-aqtebi>.
3. ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტის პრაქტიკული სახელმძღვანელო პოლიციის სექტორში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე - <https://rm.coe.int/t-pd-201-01-practical-guide-on-the-use-of-personal-data-in-the-police-/16807927d5>.
4. ევროკავშირის 2016 წლის დირექტივა საპოლიციო სექტორში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/legislation>.

ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ადგილსამყოფელის გამჟღავნება



ფაქტობრივი გარემოებები

2018 წლის აპრილში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა (შემდგომში - აუდიტის დეპარტამენტი) ერთ-ერთი სოფლის საჯარო სკოლის (შემდგომში - სოფლის სკოლა) აუდიტის დასკვნა შემდგომი რეაგირებისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს გაუგზავნა. აუდიტის დეპარტამენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და დასკვნის თანახმად, სოფლის სკოლაში სწავლის პერიოდში ბავშვი იყო ოჯახის, მათ შორის დედის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი. 2017 წელს ბავშვი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ საცხოვრებლად გადაიყვანა სხვა მუნიციპალიტეტში მდებარე თავშესაფარში და მას წარმომადგენლობას უწევდა სოციალური მუშაკი. ბავშვი უნდა ჩარიცხულიყო სხვა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში (შემდგომში - ახალი სკოლა), რომელმაც მობილობის თაობაზე მიმართა სოფლის სკოლას. ახალ სკოლაში ჩარიცხვიდან რამდენიმე დღეში მოსწავლის დედა ბავშვის სანახავად მივიდა ახალ სკოლაში. მოსწავლეს გაუჩნდა ეჭვი, რომ დედამ მისი მობილობის შესახებ ინფორმაცია შეიტყო სოფლის სკოლის დირექტორისგან, რომელთანაც ის კარგ ურთიერთობაში იმყოფებოდა. ინსპექტორის მიერ ჩატარებული შემოწმების ფარგლებში ახალმა სკოლამ განმარტა, რომ დედამ ახალი სკოლის დირექტორთან საუბარში აღნიშნა, რომ შვილის მობილობის შესახებ შეიტყო სოფლის სკოლიდან.

შემოწმებისას დადგინდა, რომ მოსწავლის მობილობის პროცედურა ელექტრონული ფორმით წარმართა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემა - „eSchool“-ის (შემდგომში - „eSchool“) მეშვეობით. აღნიშნულ პროცესში ორივე სკოლის მხრიდან მონაწილეობდნენ სკოლის საქმისმწარმოებლები, რაც დადასტურდა „eSchool“-ის სისტემაში განხორციელებული მოქმედებების აღრიცხვის (ე.წ. ლოგები) ჟურნალით. „eSchool“-ში ელექტრონული ფორმით ასახული იყო მოსწავლის მობილობის შესახებ მოთხოვნა, სოფლის სკოლის დირექტორის ბრძანება მოსწავლის ამორიცხვის შესახებ და ახალი სკოლის დირექტორის ბრძანება მოსწავლის ამავე სკოლაში ჩარიცხვის შესახებ. ასევე დადგინდა, რომ „eSchool“-ის გარდა მოსწავლის მობილობის შესახებ ინფორმაცია სოფლის სკოლაში დაცული იყო მატერიალური ფორმით, მოსწავლის პირად საქმეში, ასევე, ე.წ. „მობილობის რეგისტრაციის ჟურნალსა“ და „მოსწავლეთა ანბანურ ჩანაწერში“, სადაც მითითებული იყო ბავშვის სკოლიდან ამორიცხვის შესახებ ბრძანების რეკვიზიტები და მიზეზი - „სხვა სკოლაში გადასვლა“, მიმღები სკოლის დასახელებისა და მისამართის მითითების გარეშე. სოფლის სკოლის განმარტებით, აღნიშნულ დოკუმენტაციაზე წვდომა ჰქონდათ მხოლოდ დირექტორსა და საქმისმწარმოებელს და ჟურნალები ინახებოდა საქმისმწარმოებლის სამუშაო ოთახში განთავსებულ სეიფში. სოფლის სკოლის დირექტორმა უარყო მისი მხრიდან მოსწავლის მშობლისთვის ან სხვა პირებისთვის (რომლებიც არ იყვნენ ჩართული მობილობის პროცესში) მოსწავლის კონკრეტულ სკოლაში გადასვლის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება.

ინსპექტორის აპარატისა და აუდიტის დეპარტამენტის მცდელობის მიუხედავად, მშობლისგან ახსნა-განმარტებების მიღება ვერ მოხდა, ვინაიდან ის არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს. აუდიტის დასკვნის თანახმად, სოფლის სკოლის რამდენიმე მასწავლებელი ფლობდა ინფორმაციას ბავშვის სხვა მუნიციპალიტეტში სასწავლებლად გადასვლის შესახებ. ამასთან, დირექტორის მოადგილე და მოსწავლის ყოფილი დამრიგებელი აცხადებდნენ, რომ ბავშვის ახალი სკოლის დასახელება მათ დირექტორისგან შეიტყვეს. შემონმების ფარგლებში აღნიშნულმა პირებმა შეცვალეს ახსნა-განმარტებები და განაცხადეს, რომ ფლობდნენ ინფორმაციას მხოლოდ სხვა მუნიციპალიტეტში ბავშვის გადასვლის და არა კონკრეტული სკოლის დასახელების თაობაზე. მათ აღნიშნეს, რომ პატარა სოფელში ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება და შესაძლოა ეს ინფორმაცია მეზობლებისგან ან ბავშვის დედისგან გაეგოთ.

შემონმების ფარგლებში დადგინდა, რომ მობილობისთვის მოსწავლის პირადი საქმის მასალები ახალ სკოლას გაეგზავნა შპს „საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით. სკოლის განმარტებით, საკურიერო მომსახურება არ მოიცავდა სკოლიდან კორესპონდენციის გატანას, ამიტომ სკოლა თავად უზრუნველყოფდა კორესპონდენციის ფოსტის სერვისცენტრისთვის ჩაბარებას. ფოსტის უახლოესი სერვისცენტრები მდებარეობდა სხვა დაბაში. გზავნილების ფოსტის სერვისცენტრებში მიტანას, როგორც წესი, ახდენდა სკოლის საქმისმწარმოებელი, თუმცა მოცემულ შემთხვევაში მას დააგვიანდა დაბისკენ მიმავალ ტრანსპორტზე და ბავშვის მობილობის პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის, დირექტორის ზეპირსიტყვიერი თანხმობით, გამჭვირვალე ფაილში ჩადებული სახით გზავნილი გაატანა დაბაში მიმავალ სკოლის ერთ-ერთ მასწავლებელს, რადგან კორესპონდენციის სპეციალურ კონვერტში მოთავსებას თავად ფოსტა ახდენდა. საქმისმწარმოებელმა განმარტა, რომ გამჭვირვალე ფაილში მოთავსებული დოკუმენტის თავფურცელზე მითითებული იყო ახალი სკოლის დასახელება და მისამართი, თუმცა მოსწავლის პირადი მონაცემები არ ფიქსირდებოდა. მასწავლებელმა, რომელმაც განახორციელა გზავნილის ფოსტის სერვისცენტრში მიტანა, აღნიშნა, რომ ის არ გაცნობია გზავნილის შინაარსს და მისთვის უცნობი იყო კონკრეტულ სკოლაში მოსწავლის მობილობის შესახებ ინფორმაცია. მანვე დაადასტურა, რომ მის კომპუტერშია ზოგადად არ შედიოდა კორესპონდენციის ფოსტის სერვისცენტრში მიტანა და ეს შემთხვევა ატარებდა საგამონაკლისო ხასიათს.

სამართლებრივი შეფასება

მოსწავლის მობილობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ურთიერთსაწინააღმდეგო და შეცვლილი ახსნა-განმარტებების, მშობლის გამოკითხვის შესაძლებლობის არარსებობისა და „eSchool“-ის ჩანაწერების საფუძველზე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ შემთხვევიდან გასული იყო დაახლოებით ერთი წელი, რაც პროცესების სრული სიზუსტით გამოკვლევას ართულებდა, უტყუარი მტკიცებულების არარსებობის გამო, ცალსახად ვერ დადგინდა მოსწავლის მობილობის შესახებ ინფორმაციის სოფლის სკოლის მიერ მისი მშობლისთვის გამჟღავნების ფაქტი.

მიუხედავად ამისა, ინსპექტორმა მიიჩნია, რომ სკოლამ არ მიიღო ბავშვის მონაცემთა შემთხვევითი ან უკანონო გამჟღავნებისგან დასაცავად აუცილებელი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები და არასათანადო ფორმით და არაუფლებამოსილი პირისთვის ბავშვის პირადი საქმის გადაცემით დაარღვია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით დადგენილი პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების წესები. სკოლამ ვერც

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 და მე-17 მუხლებით განსაზღვრული მოსწავლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა და არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება უზრუნველყო. ინსპექტორმა მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს №113/ნ ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესზე, რომლის თანახმადაც, „მოსწავლის პირადი საქმის დედნის გატანა დასაშვებია მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსწავლის მობილობისას, მიმღები სკოლიდან წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის შემთხვევაში. გასაგზავნად გამზადებული მოსწავლის პირადი საქმე თავსდება კონვერტში, ფორმდება საფოსტო გზავნილად და მიმღებ სკოლას ეგზავნება დალუქულ მდგომარეობაში“.

ინსპექტორმა ასევე შენიშნა, რომ სკოლას არ ჩაუტარებია შიდა მოკვლევა, მიუხედავად იმისა, რომ არსებულ ვითარებაში მოსწავლის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებამ მნიშვნელოვნად დააზიანა ბავშვის ინტერესები. ინსპექტორის განმარტებით, სკოლაში დასაქმებულთა მიერ მონაცემთა დამუშავებისას უფლებამოსილების ჯეროვანი განხორციელების სისტემატური მონიტორინგი და გამოვლენილ დარღვევებზე ადეკვატური რეაგირება მნიშვნელოვანია მონაცემთა კანონშეუსაბამო დამუშავების რისკების შემცირების, დარღვევათა პრევენციისა და სკოლაში დაცული მონაცემების უსაფრთხოებისთვის.

პერსონალური მონაცემების შემცველ მატერიალური ფორმით არსებულ ჟურნალებთან დაკავშირებით, მონაცემების გამჟღავნების და მათზე არასანქცირებული წვდომის პრევენციის უზრუნველსაყოფად, ინსპექტორმა მნიშვნელოვნად მიიჩნია განსაზღვრულიყო სპეციალური წესები და პირობები მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილების მქონე პირთა წრის, შენახვის პირობების და სხვა საკითხების დარეგულირების მიზნით.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის დარღვევა დადგინდა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, დარღვევის ხანდაზმულობიდან გამომდინარე სკოლას ვერ დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. სკოლას დაევალა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების შემთხვევითი/უკანონო გამჟღავნების პრევენციის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების დანერგვა.


რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მონაცემთა, მათ შორის ადგილსამყოფელის გამჟღავნება, პირდაპირ საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, ფსიქიკურ და ფიზიკურ კეთილდღეობას და განვითარებას. სკოლა და ნებისმიერი ორგანიზაცია ვალდებულია განსაკუთრებული ზომები მიიღოს ბავშვის მონაცემების კონფიდენციალურობის დასაცავად, გამორიცხოს ინფორმაციის თუნდაც შემთხვევითი გამჟღავნების საფრთხე და სათანადო კონტროლი გაუწიოს მათ შორის დასაქმებულთა მხრიდან მონაცემთა დამუშავების პროცესს. დაუშვებელია დალუქვის გარეშე ბავშვთან დაკავშირებული დოკუმენტების გადაცემა, ისევე როგორც არაუფლებამოსილი პირების ჩართვა მონაცემთა გადაცემის პროცესში.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციები სკოლებისთვის - სკოლებში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.



ბავშვზე სავარაუდო ფიზიკური ძალადობის ფაქტზე სოციალური მომსახურების სააგენტოს რეაგირების შესახებ ბავშვის წარმომადგენლის ინფორმირება



ფაქტობრივი გარემოებები

2018 წლის 1-ელ აგვისტოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განცხადებით მიმართა ბავშვის წარმომადგენელმა, რომელიც მიუთითებდა, რომ 2017 წლის იანვარში საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელის მიერ ბავშვზე სავარაუდო ფიზიკური ძალადობის ფაქტზე ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიეწოდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო). 2018 წლის მაის-ივნისში ბავშვის წარმომადგენელმა 3-ჯერ მიმართა სააგენტოს აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის, მათ შორის სოციალური მუშაკის მიერ შედგენილი დასკვნის და საქმესთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების ასლების გადაცემის მოთხოვნით. ბავშვის წარმომადგენელი მიუთითებდა, რომ საპასუხო წერილებით მას ინფორმაცია მიეწოდა არასრულად და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული 10 დღიანი ვადის დარღვევით, რის გამოც მნიშვნელოვანი ზიანი ადგებოდა არასრულწლოვნის კანონიერ ინტერესს და შესაბამისი ინფორმაციის არ ქონის გამო, ის ვერ უზრუნველყოფდა ბავშვის ინტერესების სათანადო დაცვას.

განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ ბავშვის წარმომადგენელმა სააგენტოს მიმართა 2018 წლის 8 მაისს, 16 და 22 ივნისს, სააგენტოსგან საპასუხო წერილები კი მიიღო 2018 წლის 9 ივნისს, 20 ივნისს და 20 ივლისს.

სააგენტოს განმარტებით, ბავშვთან დაკავშირებით სააგენტოში ინახებოდა მხოლოდ 2017 წლის იანვრის გადაუდებელი რეაგირების ოქმი, 2018 წლის 7 ივნისის დასკვნა და ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გაგზავნილი წერილი, გადაუდებელი რეაგირების ოქმის საფუძველზე შედგენილი სოციალური მუშაკის 2018 წლის 7 ივნისის დასკვნა კი ბავშვის წარმომადგენელს მიეწოდა 20 ივნისს. სააგენტომ მიუთითა, რომ გადაუდებელი რეაგირების ოქმი იყო შიდაუწყებრივი დოკუმენტი, არ განეკუთვნებოდა საჯარო ინფორმაციას და მისი გაუცემლობით სააგენტოს არ შეუზღუდავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებები. 10 დღიანი ვადის გადაცილების მიზეზად სააგენტომ დაასახელა სოციალური მუშაკის გადატვირთული გრაფიკი.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მონაცემთა დამმუშავებელს მოსთხოვოს ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამმუშავების თაობაზე. მონაცემთა დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს უნდა

მიანოდოს შემდეგი ინფორმაცია: ა) მის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება; ბ) მონაცემთა დამუშავების მიზანი; გ) მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი; დ) რა გზით შეგროვდა მონაცემები; ე) ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები, მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი. მონაცემთა სუბიექტს აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ, ან მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა. პირს უფლება აქვს, გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა იმ მონაცემებისა, რომლის გაცემისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სააგენტოს დებულების 1-ლი მუხლის თანახმად, სააგენტო არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ამდენად, სააგენტო წარმოადგენს საჯარო დაწესებულებას და ის ვალდებული იყო მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტისთვის ან/და მისი წარმომადგენლისთვის გადაეცა მისი პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის ასლები.

განცხადების განხილვის შედეგად კი დადგინდა, რომ ბავშვის წარმომადგენლის 2018 წლის 8 მაისის წერილობით მიმართვაზე სააგენტომ პასუხი გასცა 2018 წლის 9 ივნისს და მოთხოვნის მიუხედავად, წარმომადგენელს არ მიანოდა არც სოციალური მუშაკის 2018 წლის 7 ივნისის დასკვნა და არც რაიმე სახის განმარტება დასკვნის გაცემის შეფერხების თაობაზე. 2018 წლის 16 ივნისს განმეორებით მოთხოვნის შემდეგ კი, სამინისტრომ აღნიშნული დასკვნა გასცა ამავე წლის 20 ივნისს. 2018 წლის 22 ივნისს განმცხადებლის წარმომადგენელმა გამოითხოვა მასალები, რომელიც საფუძვლად დაედო სოციალური მუშაკის დასკვნას, ასევე ინფორმაცია, განხორციელდა თუ არა გასაუბრება უშუალოდ არასრულწლოვანთან, როდის, ვისი თანდასწრებით და ითხოვა აღნიშნულის ამსახველი მასალები. ამ წერილს პასუხი გაეცა 2018 წლის 20 ივლისს, თუმცა წერილს არ ერთოდა დოკუმენტები, მათ შორის არც გადაუდებელი რეაგირების ოქმი.

გადაუდებელი რეაგირების ოქმის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ინსპექტორმა განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, გარდა იმ მასალებისა, რომლებიც წარმოადგენს უშუალოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებასთან დაკავშირებულ, შიდაუწყებრივი ხასიათის დოკუმენტაციას. ამასთან, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილებით დამტკიცებული პროცედურების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სააგენტო რეფერირების პროცესში უზრუნველყოფს სხვადასხვა სუბიექტებიდან ბავშვზე ძალადობის ფაქტების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და დამუშავებას, გამოვლენილი ძალადობის მსხვერპლი ან სავარაუდო მსხვერპლი ბავშვის შეფასებას. პროცედურების მე-19 მუხლის შესაბამისად კი, ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ვინაობის, მისი ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება შესაძლებელია მხოლოდ რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტების შესაბამის უფლებამოსილ თანამშრომლებს შორის სამსახურებრივი საქმიანობის შესრულების მიზნით. ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია ბავშვის მშობლისთვის/მშობლებისთვის და

კანონიერი წარმომადგენლისთვის, თუ არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი და ბავშვის მშობლებს ან შესაბამის მშობელს არ აქვთ/აქვს შეზღუდული ან ჩამორთმეული მშობლის უფლება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინსპექტორმა არ გაიზიარა სააგენტოს არგუმენტი გადაუდებელი რეაგირების ოქმთან დაკავშირებით, ვინაიდან, გადაუდებელი რეაგირების ოქმი თავისი შინაარსით შეიცავდა სავარაუდო ძალადობის გამოვლენასა და გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებულ ინფორმაციას. ინსპექტორმა აღნიშნა, რომ ოქმის შინაარსის და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, აღნიშნული დოკუმენტის მიმართ პირდაპირი და უშუალო ინტერესი ჰქონდა არასრულწლოვნის წარმომადგენელს, რამდენადაც სწორედ გადაუდებელი რეაგირების ოქმში ფიქსირდება სააგენტოს მიერ მყისიერად განხორციელებული ქმედებები. ხაზგასასმელია, რომ უფლების შეზღუდვის საფუძვლად სააგენტოს არ მიუთითებია ისეთ გარემოებებზე, როგორცაა შეზღუდული/ჩამორთმეული მშობლის უფლება ან/და ინტერესთა კონფლიქტი. ამასთან, სააგენტოს მიერ წარმოდგენილი გადაუდებელი რეაგირების ოქმი არ შეიცავდა სხვა პირების პერსონალურ მონაცემებს, გარდა უშუალოდ ინციდენტში მონაწილე პირებისა და სოციალური მუშაკის სახელისა და გვარისა. სოციალური მუშაკის გვარი ასევე ფიქსირდებოდა 2018 წლის 7 ივნისის დასკვნაზე, რომელიც სააგენტომ 2018 წლის 20 ივნისს გადასცა განმცხადებელს.

ინსპექტორის გადანყვეტილება

მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოს მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის დარღვევის ფაქტი დადგინდა როგორც 10 დღიანი ვადის გადაცილების, ასევე მოთხოვნილი დოკუმენტების გაუცემლობის ნაწილში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლით განსაზღვრული ორთვიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, სააგენტოს ვერ დაეკისრა პასუხისმგებლობა. შემდგომში მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის, სააგენტოს დაევალა ისეთი ღონისძიებების გატარება და მექანიზმების დანერგვა, რომლითაც უზრუნველყოფდა ზემოაღნიშნული 21-ე მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის/დოკუმენტაციის მონაცემთა სუბიექტისთვის/მისი წარმომადგენლისთვის კანონით განსაზღვრულ ვადებში მიწოდებას.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

მონაცემთა სუბიექტის მიერ მონაცემთა დამუშავებლისთვის მიმართვის და მის შესახებ დამუშავებული მონაცემების თაობაზე ინფორმაციის გამოთხოვის უფლება წარმოადგენს მონაცემთა სუბიექტის უფლების რეალიზების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით დადგენილი რეგულაცია მონაცემთა სუბიექტს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს დეტალური ინფორმაცია, მისი რომელი მონაცემები, რა სამართლებრივი საფუძვლით, რა მიზნით და ვის მიერ მუშავდება, რაც მონაცემთა სუბიექტს უქმნის ნათელ წარმოდგენას მისი მონაცემების დამუშავების კანონიერების შესახებ. ამასთან, ხშირად მონაცემთა სუბიექტის უფლების რეალიზებისთვის მნიშვნელოვანი და არსებითი მასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და მისი მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის ასლების მყისიერად მიღება. ამიტომ, საჯარო დაწესებულებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ინფორმაციის მიწოდების ვადებს, განსაკუთრებით თუ მონაცემთა სუბიექტი ბავშვია და ინფორმაციის დროულად მიუწოდებლობამ შესაძლოა არსებითად დააზიანოს მისი ინტერესები და სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობა.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ კონვენციის მე-8 მუხლი - <https://personaldata.ge/ka/legislation>.

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ ბავშვზე სავარაუდო ფიზიკური ძალადობის ფაქტზე რეაგირების შესახებ ბავშვის წარმომადგენლის ინფორმირება



ფაქტობრივი გარემოებები

2018 წლის 27 აგვისტოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განცხადებით მიმართა ბავშვის წარმომადგენელმა და მიუთითა, რომ 2017 წლის დასაწყისში საბავშვო ბაგა-ბაღში ბავშვზე სავარაუდოდ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიენოდა ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ (შემდგომში - სააგენტო). 2018 წლის 16 ივნისს ბავშვის წარმომადგენელმა სააგენტოსგან გამოითხოვა ინციდენტთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ განხორციელებული რეაგირებისა და მის ხელთ არსებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია სრულად. 3 ივლისს სააგენტომ ბავშვის წარმომადგენელს მიაწოდა გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, თუმცა არ გადაუცია საქმისწარმოების ფარგლებში შედგენილი დოკუმენტაციის ასლები. 2018 წლის 6 ივლისს ბავშვის წარმომადგენელმა განმეორებით მიმართა სააგენტოს დოკუმენტების გადაცემის (მათ შორის, საპასუხო წერილში მითითებულ ინციდენტთან დაკავშირებული პირების გამოკითხვის ოქმების, ახსნა-განმარტებების) მოთხოვნით, რაზეც 2018 წლის 12 ივლისს მიიღო პასუხი, რომ საქმისწარმოების ფარგლებში შედგენილი დოკუმენტაცია შეიცავდა სხვა პირების პერსონალურ მონაცემებსაც და აღნიშნული ინფორმაციის გაცემისთვის საჭირო იყო შესაბამისი პირების თანხმობის ან/და სასამართლოს გადაწყვეტილების წარმოდგენა.

განცხადების განხილვის ფარგლებში სააგენტომ განმარტა, რომ ბავშვის წარმომადგენლისთვის ინფორმაციის დაგვიანებით მიწოდება გამოიწვია ბაგა-ბაღიდან მოთხოვნილი ინფორმაციის და დოკუმენტაციის ნაწილის გამოთხოვის საჭიროებამ. დოკუმენტების გადაცემაზე უარის თქმის მოტივად კი სააგენტომ მიუთითა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვის საფუძვლებზე. კერძოდ, სააგენტოს მიაჩნდა, რომ ახსნა-განმარტებების გამჟღავნება დაარღვევდა ბაგა-ბაღის თანამშრომელთა უფლებებსა და თავისუფლებებს.

ინსპექტორის აპარატმა შეისწავლა ბავშვის საქმესთან დაკავშირებით სააგენტოში დაცული ახსნა-განმარტებები და სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები. დადგინდა, რომ ბავშვზე სავარაუდოდ ძალადობის ინციდენტზე მოკვლევას სააგენტო, როგორც საზედამხედველო ორგანო და ბაგა-ბაღი, როგორც დამოუკიდებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი, ერთობლივად ახორციელებდნენ. ბაგა-ბაღის თანამშრომელთა

ახსნა-განმარტებების ნაწილი (3 ახსნა-განმარტება) დაწერილი იყო სააგენტოს ხელმძღვანელის სახელზე და ინახებოდა სააგენტოში, ხოლო ნაწილი (3 ახსნა-განმარტება) დაწერილი იყო ბაგა-ბაღის დირექტორის მოადგილის სახელზე და ინახებოდა ბაგა-ბაღში. სააგენტოს განმარტებით, ბავშვის წარმომადგენლის 2018 წლის 16 ივნისის წერილზე რეაგირების მიზნით სააგენტომ ბაგა-ბაღისგან გამოითხოვა დოკუმენტაცია. ამ დროს მისთვის ცნობილი გახდა, რომ ანალოგიური მოთხოვნით ბავშვის წარმომადგენელს მიმართული ჰქონდა ბაგა-ბაღისთვისაც. სააგენტო ასევე ფლობდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ 2017 წლის დასაწყისში მომხდარი ინციდენტის შემდეგ ბაგა-ბაღმა სამსახურიდან გაათავისუფლა ერთ-ერთი მასწავლებელი, რომელმაც სასამართლოში გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება. როგორც სასამართლო დავის მხარე, ბაგა-ბაღს ჰქონდა სრული ინფორმაცია, მათ შორის სააგენტოს დირექტორის სახელზე დაწერილი ახსნა-განმარტებები. შესაბამისად, სააგენტომ რეკომენდაცია მისცა ბაგა-ბაღს მოეპოვებინა დასაქმებული პირების თანხმობები და მათ საფუძველზე სრულად გადაეცა დოკუმენტაცია ბავშვის წარმომადგენლისთვის. ამავდროულად, სააგენტომ 2018 წლის 12 ივლისის წერილით ბავშვის წარმომადგენელს აცნობა, რომ მოთხოვნილ დოკუმენტაციას გადასცემდა ბაგა-ბაღი, თანამშრომლებისგან შესაბამისი თანხმობების მოპოვებისთანავე.

ბავშვის წარმომადგენელმა ინსპექტორის აპარატს დაუდასტურა, რომ მან ბაგა-ბაღისგან 2018 წლის 12 ივლისს მიიღო ექვსივე ახსნა-განმარტება, თუმცა ვინაიდან სააგენტო წარმოადგენს ბაგა-ბაღების სახედასრულო ორგანოს, ბავშვის წარმომადგენელს ჰქონდა მოლოდინი, რომ სააგენტომ ჩაატარა დამატებითი მოკვლევა და მას ჰქონდა დამატებითი დოკუმენტაცია. არც სააგენტოს და არც ბაგა-ბაღს არ უცნობებია წარმომადგენლისთვის, რომ ორივე დაწესებულება იდენტურ დოკუმენტაციას ფლობდა.

სამართლებრივი შეფასება

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27¹ მუხლით დადგენილია, რომ „პერსონალური მონაცემების ცნება, მათ დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით.“ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის თანახმად კი, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მონაცემთა დამუშავებელს მოსთხოვოს ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. მონაცემთა დამუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, თუ მის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება; მონაცემთა დამუშავების მიზანი; მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი; რა გზით შეგროვდა მონაცემები; ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები, მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი. მონაცემთა სუბიექტს აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ, ან მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა, ხოლო, ინფორმაციის მიწოდების ფორმას ირჩევს მონაცემთა სუბიექტი. პირს უფლება აქვს, გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა იმ მონაცემებისა, რომელთა გაცემისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური.

საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში. შესაბამისად, სააგენტო წარმოადგენს საჯარო დაწესებულებას და ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს ან/და მის წარმომადგენელს გადასცეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია და მონაცემთა ასლები.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა სუბიექტის ამ კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება შეიზღუდოს, თუ ამ უფლებების რეალიზაციამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას მონაცემთა სუბიექტისა და სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად კი, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შეზღუდვის მიზნის მისაღწევად. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას მონაცემთა დამმუშავებლის გადაწყვეტილება მონაცემთა სუბიექტს უნდა ეცნობოს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს უფლების შეზღუდვის მიზანს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემების დამუშავება, მათ შორის პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტის მესამე პირისთვის გადაცემა დასაშვებია, თუ მონაცემთა გადაცემა აუცილებელია მესამე პირის კანონიერი ინტერესის დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი. გასათვალისწინებელია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამუშაო ჯგუფის (ARTICLE 29 DATA PROTECTION WORKING PARTY) 2009 წლის 11 თებერვლის №2/2009 მოსაზრების თანახმად, თითოეული მონაცემთა დამმუშავებელი და კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია უპირველესად მოქმედებდეს არასრულწლოვნის ინტერესიდან გამომდინარე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინსპექტორის შეფასებით, ბავშვის წარმომადგენლის მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე სააგენტოს უნდა შეეფასებინა, სახეზე იყო თუ არა ბავშვის აღმატებული კანონიერი ინტერესი და მისი უფლებების რეალიზება საფრთხეს შეუქმნიდა თუ არა სხვა პირების პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებას. განსახილველ შემთხვევაში, ინფორმაციის გამოთხოვის მომენტისთვის, სააგენტოში არსებული 3 ახსნა-განმარტება შეეხებოდა უშუალოდ ბავშვის მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტს და შეიცავდა ბავშვის მონაცემებს. გამოთხოვილი ახსნა-განმარტებები თავისი შინაარსით წარმოადგენდა 2017 წლის დასაწყისში განვითარებული მოვლენების აღწერას ბაგა-ბაღის თანამშრომლების მხრიდან. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტები პირდაპირ კავშირში იყო არასრულწლოვნის ინტერესებთან. ამასთან, ბაგა-ბაღის თანამშრომლების შესახებ ახსნა-განმარტებებში მოცემული იყო მხოლოდ მათი მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (სახელი და გვარი) და მათ მიერ სამსახურეობრივი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული გარემოებები. ინსპექტორმა არ გაიზიარა სააგენტოს არგუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად სახეზე იყო ბავშვის, როგორც მონაცემთა სუბიექტის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით დადგენილი უფლების შეზღუდვის საფუძველი, ვინაიდან ბავშვის წარმომადგენელს ჰქონდა სააგენტოს ხელთ არსებული დოკუმენტაციის მიღების აღმატებული ინტერესი არასრულწლოვნის უფლებების

დაცვის მიზნით. ინსპექტორმა სააგენტოსთვის კანონით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამამართლებელ არგუმენტად არ მიიჩნია ბაგა-ბაღის მიერ ბავშვის წარმომადგენლისთვის დოკუმენტების გადაცემა, რადგან სააგენტო წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, დამოუკიდებელ მონაცემთა დამმუშავებელს. გარდა ამისა, წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდებოდა, რომ სააგენტომ ბავშვის წარმომადგენელს უარი უთხრა მის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის გაცემაზე და მითითება, რომ დოკუმენტაციას გასცემდა ბაგა-ბაღი, არ გულისხმობდა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რადგან დამოკიდებული იყო შესაბამისი პირებისგან თანხმობის მოპოვებაზე.

ამასთან, ბავშვის წარმომადგენლის პირველ მიმართვას სააგენტომ უპასუხა მე-17 დღეს და საპასუხო წერილი არ შეიცავდა რაიმე სახის განმარტებას დოკუმენტაციის მიუწოდებლობის მიზეზების თაობაზე, მაშინ როდესაც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი მონაცემთა დამმუშავებელს ავალდებულებს უფლების შეზღუდვის შემთხვევაშიც კი მონაცემთა სუბიექტს აცნობოს უფლების შეზღუდვის შესახებ იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს უფლების შეზღუდვის მიზანს.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოს მხრიდან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის დარღვევა დადგინდა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის საფუძველზე, სამართალდარღვევის ჩადენის ხანდაზმულობიდან გამომდინარე, სააგენტოს ვერ დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. თუმცა, სააგენტოს მიეცა დავალება გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით დადგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მონაცემთა სუბიექტისთვის/მისი წარმომადგენლისთვის კანონით განსაზღვრულ ვადებში მიწოდების უზრუნველყოფისთვის.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

მშობელი, როგორც ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი, განსაკუთრებული რწმუნებულების გარეშე გამოდის მისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირთან ურთიერთობაში. შესაბამისად, მშობელს უფლება აქვს მოითხოვოს ინფორმაცია მისი შვილის, როგორც მონაცემთა სუბიექტის, პერსონალური მონაცემების დამმუშავების შესახებ, გაეცნოს ბავშვის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და მიიღოს ამ მონაცემების ასლები. მონაცემთა სუბიექტის უფლება - მიიღოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში დაცული დოკუმენტების ასლები აბსოლუტური არ არის და შეიძლება შეიზღუდოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, თუმცა შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ პროპორციული მოცულობით და სათანადო სამართლებრივი დასაბუთებით, ისე რომ არსებითი ზიანი არ მიადგეს არც შეზღუდვის მიზანს და არც მონაცემთა სუბიექტის კანონიერ ინტერესებს.

სხვა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მონაცემთა სუბიექტისთვის მოთხოვნილი დოკუმენტების გადაცემა არ შეიძლება გახდეს მეორე (მიმართვის ადრესატი) მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის საფუძველი. თითოეული მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უშუალოდ უზრუნველყოს კანონით მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება და ამასთან, იხელმძღვანელოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებით.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე და 24-ე მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (EU) 2016/679 მე-14 და მე-15 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
3. 29-ე სამუშაო ჯგუფის მოსაზრება 2/2009 ბავშვთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ - <https://www.garanteprivacy.it/documents/10160/10704/1619292.pdf/1ab4d295-c2b9-405f-a2df-1e0f7ec9cfd1?version=1.0>.



ვიდეოთვალთვალის შედეგად მოკოვებული ბავშვის შესახებ ჩანაწერის სოციალური ქსელით გავრცელება



ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - შსს) მიმართვის საფუძველზე 2018 ივლის-სექტემბერში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა შეისწავლა ფიზიკური პირის ლ.ბ.-ს მიერ საცხოვრებელ შენობაზე განთავსებული ვიდეოსათვალთვალო კამერებით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერება. ლ.ბ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-13 და მე-17 მუხლებით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების პრინციპების, მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობის და ვიდეოთვალთვალის წესების დარღვევის გამო ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად 44-ე, 46-ე და 48-ე მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენაში და სახდელის სახით შეეფარდა გაფრთხილება.

2018 წლის ნოემბერში კი შსს-მ კვლავ შეატყობინა ინსპექტორის აპარატს, რომ მეზობლების ცნობით, მათი ნების საწინააღმდეგოდ, ლ.ბ.-მ განაახლა ვიდეოთვალთვალი და კამერების ხედვის არეალში ექცეოდა რამდენიმე მეზობლის საცხოვრებელი შენობა და ეზო, მათ შორის სახლის შესასვლელი, აივანი და არასრულწლოვნის საძინებლის ფანჯრები.

შემონმების ფარგლებში დადგინდა, რომ ლ.ბ.-ს საცხოვრებელი შენობის გარე პერიმეტრზე განთავსებული 7 ვიდეოსათვალთვალო კამერა არ იყო დაკავშირებული ვიდეოჩამწერ მოწყობილობასთან და აღნიშნული სისტემის მეშვეობით ვიდეოთვალთვალი არ ხორციელდებოდა. ლ.ბ.-ს განმარტებით, მან ვიდეოთვალთვალი შეწყვიტა 2018 წლის ოქტომბრიდან, თუმცა კამერების და ვიდეოთვალთვალის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნების დემონტაჟი არ მოუხდენია მეზობლებთან არსებული კონფლიქტისა და საკუთარი უსაფრთხოების დაცვის გამო. მას სურდა მეზობლებს ჰქონოდათ განცდა, რომ ტერიტორიაზე ხორციელდებოდა ვიდეოთვალთვალი.

შემონმების ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ ლ.ბ.-ს სოციალური ქსელ „Facebook“-ის საკუთარ გვერდზე საჯაროდ განთავსებული ჰქონდა 2018 წლის ოქტომბერ-დეკემბერში გადაღებული 6 ვიდეოჩანაწერი, რომლებიც მოიცავდა მეზობლების საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე პირთა გადაადგილებას, მათ შორის აივანზე მყოფი არასრულწლოვნის ვიდეოგამოსახულებას. ლ.ბ.-ს მითითებით, სოციალურ ქსელში განთავსებული ვიდეომასალა გადაღებული იყო მობილური ტელეფონით და ე.წ. პორტაბელური მინი კამერებით, რომლებსაც ის და მისი ოჯახის წევრები მეზობლების მხრიდან თავდასხმის ფაქტების ასახვის მიზნით თან ატარებდნენ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დროებით ამაგრებდნენ შენობის კედელზე.

მეზობლებმა მიუთითეს, რომ ლ.ხ.-მ რამდენიმე თვის წინ მართლა შეუცვალა კამერებს ხედვის არეალი და კამერები აღარ იყო მიმართული მათი საკუთრებისკენ, თუმცა მალევე ლ.ხ.-მ კვლავ დაუბრუნა კამერებს ძველი პოზიცია და მუდმივ რეჟიმში ახორციელებდა მეზობლების საკუთრებაში არსებული ტერიტორიის, მათ შორის აივანსა და ეზოში მყოფი ბავშვების ვიდეოთვალთვალს. შემონების ფარგლებში შსს-მ წარმოადგინა ლ.ხ.-ს მიერ, მეზობლების მხრიდან მასზე თავდასხმის დასადასტურებლად, შსს-ში წარდგენილი განცხადება, რომელშიც მითითებული იყო, რომ თანდართული, ნომბრითა და დეკემბრით დათარიღებული ჩანაწერები გადაღებული იყო მის საცხოვრებელ შენობაზე განთავსებული ვიდეოსათვალთვალო კამერებით.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მიზანია, პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა. პირის უფლება, რომ გარეშე პირთა დაკვირვების გარეშე, თავისუფლად ისარგებლოს საკუთარი საცხოვრებელი სივრცით, ისე, რომ არ მოხდეს მის საცხოვრებელ შენობაში მისი გადაადგილების, შემსვლელ და გამომსვლელ პირთა იდენტიფიცირება, წარმოადგენს მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტს. კანონის მე-13 მუხლით დადგენილია სპეციალური წესები საცხოვრებელი შენობის ვიდეოთვალთვალთან დაკავშირებით, მათ შორის, საცხოვრებელ შენობაში ვიდეოთვალთვალის სისტემის დაყენება დასაშვებია მხოლოდ პირისა და ქონების უსაფრთხოების მიზნებისთვის; ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით ბინის შესასვლელის მონიტორინგის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ ამ ბინის მესაკუთრის გადაწყვეტილებით ან მისი წერილობითი თანხმობით. ამასთან, მონაცემების დამუშავებისთვის საჭიროა კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი სამართლებრივი საფუძვლის არსებობა (როგორცაა, მონაცემთა სუბიექტის თანხმობა, მონაცემთა დამუშავებლის ან მესამე პირის აღმატებული კანონიერი ინტერესი და ა.შ.) და მე-4 მუხლით დადგენილი პრინციპების დაცვა, კერძოდ, კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად; მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევაც მუშავდება ისინი.

ინსპექტორის შეფასებით, ლ.ხ.-ს მიერ უსაფრთხოების დაცვის მიზნების მიღწევა შესაძლებელი იყო მეზობლების მიერ მათი საკუთრებით თავისუფლად სარგებლობის შეზღუდვის გარეშე და მათი საცხოვრებელი შენობის შესასვლელის (კიბის), ფანჯრების, ეზოს და აივნის ვიდეომონიტორინგი არ წარმოადგენდა კანონიერი მიზნის მიღწევის ადეკვატურ და პროპორციულ საშუალებას. გარდა ამისა, დადგინდა რომ ერთ-ერთი მეზობლის საცხოვრებელი სახლის და მის თანასაკუთრებაში არსებული ეზოს შესასვლელების მონიტორინგზე არ არსებობდა მესაკუთრის თანხმობა, მაშინ როცა ბინის შესასვლელის ვიდეოთვალთვალის დროს კანონი ცალსახად მოითხოვს ამ ბინის მესაკუთრის წერილობითი თანხმობის არსებობას. ლ.ხ.-მ ასევე ვერ მიუთითა სოციალური ქსელით ვიდეოჩანაწერების, მათ შორის არასრულწლოვნის გამოსახულების, გასაჯაროების სამართლებრივი საფუძველიც.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, ასევე მე-4 და მე-13 მუხლების განმეორებით დარღვევის გამო ლ.ხ. ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად

ამავე კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით, 44-ე და 48-ე მუხლების მეორე პუნქტებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენაში და სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა. მას ასევე დაევალა მეზობლების საცხოვრებელი შენობის ფანჯრების, აივნის, ეზოებისა და საცხოვრებელი სახლების შესასვლელების ვიდეოთვალთვალის შეწყვეტა ან/და კამერების იმგვარად განთავსება, რომ მეზობლების საცხოვრებელი სივრცე არ მოქცეულიყო მონიტორინგის არეალში.


რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

ვიდეოთვალთვალის მიჩნეულია პირად ცხოვრებაში ჩარევის ერთ-ერთ ფორმად, ამიტომ აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებელმა, მათ შორის ფიზიკურმა პირმა დაასაბუთოს ამ სისტემის გამოყენების აუცილებლობა, რეალური საჭიროება და მიზანი. საცხოვრებელ შენობაში ვიდეოთვალთვალის სისტემის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ პირისა და ქონების უსაფრთხოების მიზნებისთვის. შესაბამისად, დაუშვებელია მისი სხვა მიზნით გამოყენება. თუ სისტემის ხედვის არეალში ექცევა სხვა პირთა საკუთრება, აუცილებელია მათი თანხმობა. დაუშვებელია ვიდეოჩანაწერების შესაბამისი საფუძვლის გარეშე საჯაროდ, მათ შორის სოციალური ქსელის საშუალებით გავრცელება, განსაკუთრებით თუ ისინი შეიცავს არასრულწლოვანთა გამოსახულებას.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-5 და მე-13 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციები ვიდეოთვალთვალის განხორციელების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.



არასამსახურებრივი მიზნით სსგს-ს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ბავშვის მონაცემებზე წვდომა



ფაქტობრივი გარემოებები

2018 წლის დეკემბერში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ბავშვის კანონიერმა წარმომადგენელმა - დედამ აცნობა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) სამოქალაქო რეესტრში დაცულ ბავშვის პერსონალურ მონაცემებზე კანონდარღვევით შესაძლო წვდომის შესახებ. დედის განმარტებით, 2018 წლის სექტემბერში მან სსიპ იუსტიციის სახლში შეცვალა ბავშვის რეგისტრაციის მისამართი, რის შესახებაც ინფორმაცია არავისთვის მიუწოდებია, მათ შორის, არც ბავშვის მამისა და მისი ოჯახის წევრებისთვის, რომლებსაც ბავშვთან ურთიერთობა არ ჰქონდათ. თუმცა, 2018 წლის ოქტომბერში ბავშვის მამიდამ სოციალური ქსელის - „Facebook“ მეშვეობით დედას გაუგზავნა სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში დაცული და იუსტიციის სახლში გადაღებული ბავშვის ფოტოსურათი. განმცხადებლის კანონიერი წარმომადგენელი მიუთითებდა, რომ მისი ვარაუდით, მამიდამ ფოტო მოიპოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ერთ-ერთ დაწესებულებაში დასაქმებული ნათესავის მ.ს.-ს დახმარებით.

განცხადების განხილვის ფარგლებში ჩატარდა სააგენტოს შემოწმება. აღნიშნული შემოწმებისას, შესწავლილი სააგენტოს ელექტრონული ჟურნალის - „ლოგების“ საშუალებით, სააგენტოს თანამშრომლების მხრიდან მონაცემებზე არასანქცირებული წვდომის ფაქტი არ დადგინდა, თუმცა გამოიკვეთა გარე მომხმარებლების მხრიდან სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცული ბავშვის მონაცემებზე საეჭვო წვდომის რამდენიმე შემთხვევა, კერძოდ, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - საჯარო რეესტრი) მხრიდან ბავშვის მონაცემებზე წვდომას ადგილი ჰქონდა 2018 წლის სექტემბერში ორჯერ, ხოლო, 2018 წლის ოქტომბერში - ხუთჯერ.

საჯარო რეესტრმა დაადასტურა, რომ მ.ს. წარმომადგენდა მის დასაქმებულს და რომ სწორედ მ.ს.-მ განახორციელა 2018 წლის სექტემბერ-ოქტომბერში წვდომა სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცულ ბავშვის მონაცემებზე, სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად მინიჭებული საჯარო რეესტრის ელექტრონული პროგრამების მომხმარებლების მეშვეობით. საჯარო რეესტრმა ასევე მიუთითა, რომ ინსპექტორის აპარატისგან ინფორმაციის მიღებისთანავე დაიწყო დისციპლინური საქმისწარმოება, რომლის ფარგლებში დადგინდა, რომ მ.ს.-მ სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, არასამსახურებრივი მიზნითა და პირადი ინტერესებით განახორციელა ბავშვის მონაცემებზე წვდომა. ჩატარებული დისციპლინური წარმოებისა და შემოწმების ფარგლებში, მ.ს.-მ განაცხადა, რომ ელექტრონულ პროგრამაში ბავშვის ფოტოსურათს ფოტო გადაუღო საკუთარი მობილური ტელეფონით და სოციალური ქსელით, ე.წ. „მესენჯერით“

გაუგზავნა მის ნათესავს - ბავშვის მამიდას. საჯარო რეესტრის მიერ ჩატარებული დისციპლინარული წარმოების შედეგად მ.ს.-ს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შეეფარდა სასტიკი საყვედური.

შემონმების ფარგლებში შესწავლილ იქნა საჯარო რეესტრის მიერ მონაცემთა უსაფრთხოებისთვის მიღებული ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები. დადგინდა, რომ საჯარო რეესტრს შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციები/პოლიტიკები, რომლებიც მის თანამშრომლებს ავალდებულებს დაიცვან მონაცემთა კონფიდენციალურობა, მათ შორის სამსახურის დატოვების შემდეგ, ხოლო სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას მოპოვებული მონაცემები გამოიყენონ მხოლოდ სამსახურეობრივი მიზნებისთვის. შესაბამისი სახელმძღვანელო ინსტრუქციები თანამშრომლებს მიეწოდებათ რეგულარულად, მათ შორის ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმით. საჯარო რეესტრმა ასევე განმარტა, რომ სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაზე არასამსახურეობრივი მიზნით შესაძლო წვდომების კონტროლი ხორციელდება სპორადულად, შემოსული შეტყობინების/პრეტენზიის ან საჩივრების საფუძველზე. მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიმდინარეობს მომხმარებელთა მიერ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვა (ე.წ. „ლოგირება“). ყველა დასაქმებული სარგებლობს უნიკალური მომხმარებლის სახელითა და პაროლით, ხოლო მონაცემებზე წვდომის მინიჭება ხდება სამუშაო აღწერილობისა და ფუნქციების საფუძველზე. ამასთან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2009 წლის 20 იანვრის №235/ს ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შრომის შინაგანაწესის“ 33-ე მუხლის თანახმად, საჯარო რეესტრის საქმიანობის სპეციალური მარეგულირებელი კანონმდებლობის ან სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დარღვევა, ქმედება, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საჯარო რეესტრის ნორმალურ ფუნქციონირებას ან/და რეპუტაციას, ასევე კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება, წარმოადგენს დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების საფუძველს.

მ.ს.-მ დაადასტურა, რომ მისთვის ცნობილი იყო საჯარო რეესტრში მოქმედი წესები და ვალდებულებები, სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას მოპოვებული მონაცემების მკაცრად სამსახურეობრივი მიზნებისთვის გამოყენების შესახებ.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში, ვალდებულია, არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე, მას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურეობრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცული მონაცემების დამუშავების კანონიერების შეფასების თვალსაზრისით ინსპექტორმა გაითვალისწინა მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათ შორის საჯარო რეესტრის თანამშრომლების მხრიდან მათი სამსა-

ხურებრივი მოვალეობების შესრულებისას სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებულ მონაცემებზე უკანონო/არასანქცირებული წვდომის, მათი გავრცელების ან ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენების პრევენციის მიზნით, საჯარო რეესტრის მიერ გატარებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები; ასევე, საჯარო რეესტრის მიერ სავარაუდო დარღვევის შეტყობინებისთანავე დისციპლინური წარმოების დაწყებისა და მ.ს.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად სასტიკი საყვედურის შეფარდების ფაქტი.

განხილვის ფარგლებში მ.ს.-მ დაადასტურა, რომ იგი ინფორმირებული იყო მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით საჯარო რეესტრში მოქმედი რეგულაციების შესახებ, თუმცა დადგენილი წესების უგულებელყოფით დაამუშავა ბავშვის მონაცემები. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცული ბავშვის მონაცემების დამუშავების ნაწილში არ გამოიკვეთა საჯარო რეესტრის ბრალეულობა. რაც შეეხება მ.ს.-ს, ინსპექტორმა მიიჩნია, რომ იგი სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცული ბავშვის მონაცემების დამუშავებით გასცდა საჯარო რეესტრის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს, რაც თავის მხრივ წარმოადგენდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

მიუხედავად იმისა, რომ მ.ს.-ს მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევა გამოიკვეთა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების ორთვიანი ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით, მ.ს.-ს ვერ დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

მონაცემთა დამუშავებელი ორგანიზაციის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელსაც სამსახურის მიერ მინიჭებული აქვს წვდომა პერსონალურ მონაცემებზე, ვალდებულია მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებით და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად განახორციელოს მონაცემების დამუშავება და მკაცრად დაიცვას მათი კონფიდენციალურობა.

თავის მხრივ, მონაცემთა დამუშავებელმა ორგანიზაციებმა დასაქმებულების მხრიდან მონაცემებზე არასამსახურებრივი მიზნით წვდომის პრევენციისთვის, სათანადოდ უნდა შეაფასონ ე.წ. ინსაიდერული რისკები, დანერგონ შიდა პოლიტიკის დოკუმენტი, თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების პროგრამები, პროაქტიულად და რეგულარულად გამოავლინონ მონაცემთა ბაზებზე არასანქცირებული წვდომის შემთხვევები და დაადგინონ მკაფიო და ადეკვატური პასუხისმგებლობის ზომები დასაქმებულთა მიერ მონაცემებზე არასანქცირებული წვდომის შემთხვევებში.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი - <https://personaldata.ge/ka/legislation>.



ბავშვის სხეულზე არსებული დაზიანების შესახებ ინფორმაციის მედიასაშუალებით გავრცელება



ფაქტობრივი გარემოებები

2019 წლის აპრილში ერთ-ერთმა არაკომერციულმა ორგანიზაციამ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს შეატყობინა, რომ ერთ-ერთი საინფორმაციო პორტალის მიერ გამოქვეყნებული სტატიით გამჟღავნდა არასრულწლოვანი ნ.მ.-ს პერსონალური მონაცემები. შეტყობინების ავტორი მიუთითებდა, რომ ჟურნალისტმა ბავშვთან დაკავშირებული მონაცემები მოიპოვა სისხლის სამართლის საქმის პროკურორისგან, რის დასტურადაც წარმოადგინა ზემოაღნიშნული სტატია, რომელშიც მითითება კეთდებოდა პროკურორის განცხადებაზე - ბავშვის სხეულზე დაზიანებების არსებობის და დანიშნული ექსპერტიზის შესახებ.

2019 წლის აპრილ-ივნისში ჩატარებული შემონმების ფარგლებში საქართველოს პროკურატურამ (შემდგომში - პროკურატურა) განმარტა, რომ სავარაუდოდ ოჯახში ძალადობის შედეგად, ბავშვის სხეულზე არსებულ დაზიანებებთან დაკავშირებით არცერთ მედიასაშუალებას და საინფორმაციო სააგენტოს პროკურატურისთვის ოფიციალურად არ მიუმართავს. შესაბამისად, ნ.მ.-სთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება არ მომხდარა არც საინფორმაციო პორტალისთვის. სასამართლოში ერთ-ერთი ჟურნალისტის მიერ ნ.მ.-სთან დაკავშირებით დასმული კითხვის პასუხად პროკურორმა განმარტა, რომ ნ.მ.-ს დაზიანებებთან დაკავშირებით კონკრეტული პირის პასუხისმგებლობის საკითხი ამ ეტაპზე გამოძიებით არ იყო გამოკვეთილი. აღნიშნული განმარტების მიზანს წარმოადგენდა მხოლოდ ჟურნალისტის კითხვაზე პასუხის გაცემა და სტატიაში ნ.მ.-სთან დაკავშირებით მითითებული ინფორმაცია პროკურორს ჟურნალისტისთვის არ მიუწოდებია.

საქმის გარემოებების დაზუსტების მიზნით, ინსპექტორის აპარატი დაუკავშირდა სტატიის ავტორს, რომელმაც ვერ გაიხსენა კონკრეტულად რა ფორმით მოიპოვა პროკურორისგან ინფორმაცია, ისევე როგორც ვერ შეძლო დაეზუსტებინა განახორციელა თუ არა ინტერვიუს აუდიოჩანწერა. ინსპექტორის აპარატმა შეისწავლა ნ.მ.-სთან დაკავშირებით სხვა მედიასაშუალებებისა და საინფორმაციო სააგენტოების მეშვეობით გავრცელებული ინფორმაცია და სიუჟეტები, რომელთა საფუძველზე დადგინდა, რომ პროკურორმა ჟურნალისტებს მხოლოდ ის განუცხადა, რომ ნ.მ.-ს დაზიანებებთან დაკავშირებით კონკრეტული პირის პასუხისმგებლობის საკითხი ამ ეტაპზე გამოძიებით არ იყო გამოკვეთილი და გრძელდებოდა საქმეზე გამოძიება. ამასთან, ყველა სიუჟეტში მოცემული იყო ჟურნალისტის კონკრეტულ კითხვაზე პროკურორის პასუხი.

სამართლებრივი შეფასება

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით განსაზღვრული პირადი ცხოვრების უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების

ჩარევა დაუშვებელია, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას უზრუნველყოფს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესების დასაცავად.

მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის განმარტებისას ინსპექტორმა იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკითა და ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტოს „მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელოთი“, რომლის თანახმადაც, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვა მიზანშეწონილად არის მიჩნეული ისეთ შემთხვევებში, რა დროსაც სახეზეა ინდივიდის მიერ ინფორმაციის მიღების უფლება, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ხელისუფლების საქმიანობის გამჭვირვალობასა და აღნიშნულიდან გამომდინარე დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებასთან. თუმცა, იმ დათქმით, რომ მითითებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება უფლებაში ჩარევის პროპორციული საშუალებით. ანალოგიური სტანდარტი წესდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, რომლის მიხედვითაც, უფლებაში ჩარევა შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ლეგიტიმურად იმ შემთხვევაში, თუ უფლების შეზღუდვა ემსახურება მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი დისკუსიის პროვოცირებას და ამასთან, წარმოადგენს მიზნის მიღწევის ადეკვატურ და პროპორციულ საშუალებას.

მსჯელობისას ინსპექტორმა ასევე მიუთითა „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის მე-6 მუხლი განსაზღვრავს ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმებს, რაც მათ შორის მოიცავს ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მოძალადის პასუხისმგებლობის, მსხვერპლის უფლებების და ამ უფლებების დაცვის გარანტიების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და ხელმისაწვდომობას. ამავე კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ამ კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფენ სხვადასხვა საჯარო უწყებები, მათ შორის საქართველოს პროკურატურის ორგანოები.

ინსპექტორმა მიიჩნია, რომ რამდენადაც ნ.მ. წარმოადგენდა სავარაუდოდ ოჯახში ძალადობის მსხვერპლს, არსებობდა მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებაზე სახელმწიფოს რეაგირების ფორმებთან და მეთოდებთან დაკავშირებით. ინსპექტორმა მიუთითა, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის არსებობისა, პერსონალური მონაცემების დამუშავების გზით ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევის ლეგიტიმურობის შეფასებისას, აუცილებელია იმის დადგენაც, უფლებაში ჩარევა რამდენად განხორციელდა პროპორციულობის პრინციპის დაცვით.

განსახილველ შემთხვევაში, პროკურორის მიერ ნ.მ.-სთან დაკავშირებული ზემოთ მითითებული ინფორმაციის გამჟღავნებამდე მედიასაშუალებებისა და საინფორმაციო სააგენტოების მეშვეობით უკვე გავრცელებული იყო ინფორმაცია ბავშვის დაზიანებებთან დაკავშირებით. ამასთან, პროკურორმა ინფორმაცია გაამჟღავნა უშუალოდ ჟურნალისტის მიერ დასმული კითხვის პასუხად, რაც დადასტურდა შემოწმების ფარგლებში შესწავლილი მტკიცებულებებით. მხედველობაში იქნა მიღებული ის ფაქტიც, რომ პროკურორმა მედიასაშუალებებს და საინფორმაციო სააგენტოებს მიანოდა მხოლოდ მინიმალური მოცულობის ინფორმაცია მითითებულ შემთხვევასთან დაკავშირებით გამოძიების მიმდინარეობისა და იმის შესახებ, რომ კონკრეტული პირის პასუხისმგებლობის საკითხი ჯერ არ იყო გამოკვეთილი. შესაბამისად, საზოგადოების ინფორმირება არასრულწლოვანი პირის მიმართ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებაზე გამოძიების მიმდინარეობაზე მიჩნეულ იქნა ლეგიტიმურად. შემოწმების ფარგლებში ვერ იქნა მოპოვებული სხვა უტყუარი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა პროკურატურის ან/და პროკურორის მიერ საინფორმაციო პორტალისთვის სტატიაში მითითებული ინფორმაციის მინოდების ფაქტს.

ინსპექტორის გადანყვეტილება

პროკურატურის მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის, მათ შორის საინფორმაციო პორტალის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში ნ.მ.-სთან დაკავშირებით მითითებული ინფორმაციის გამჟღავნების ფაქტი არ დადგინდა.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

კანონით განსაზღვრული მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის საფუძველზე არასრულწლოვანის მიმართ სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებაზე სახელმწიფოს რეაგირების ფორმებთან და მეთოდებთან დაკავშირებით, მათ შორის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, საზოგადოების ინფორმირება შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს ლეგიტიმურად. თუმცა, არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებითა და იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ სახელმწიფო დაწესებულების/მისი წარმომადგენლის მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადება მანამდე არაოფიციალური ფორმით გავრცელებული ინფორმაციის ნამდვილობის დადასტურებას ახდენს, მნიშვნელოვანია, სენსიტიური ხასიათის ინფორმაციის მინოდება მოხდეს ბავშვის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, მხოლოდ მინიმალური მოცულობით და პროპორციულობის პრინციპის განუხრელი დაცვით.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-5 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტოს „მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო“ - https://fra.europa.eu/sites/default/files/fra_uploads/fra-coe-edps-2018-handbook-data-protection_ka.pdf.
3. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2018)7 რეკომენდაცია ციფრულ ეპოქაში ბავშვთა უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფის შესახებ - <https://rm.coe.int/guidelines-to-respect-protect-and-fulfil-the-rights-of-the-child-in-th/16808d881a>.

ვიდეოთვალთვალი საჯარო სკოლის საპირფარეშოებში



ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი 2019 წლის 31 მაისს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს აცნობა, რომ ერთ-ერთი საჯარო სკოლის ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში ხორციელდებოდა ვიდეოთვალთვალი.

შემონების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის შენობის ჰიგიენისთვის განკუთვნილ ოთახებში (4 ოთახი) 2019 წლის 3 ივლისამდე განთავსებული იყო თითო ვიდეოსათვალთვალო კამერა და ხორციელდებოდა ვიდეოთვალთვალი. აღნიშნულ ოთახებში კედლით იყო გამიჯნული ხელსაბანისა და საპირფარეშოსთვის გამოყოფილი სივრცეები და კამერების ხედვის არეალი მოიცავდა მხოლოდ ხელსაბან სივრცეს (3 ივლისს სკოლამ მოახდინა ვიდეოსათვალთვალო კამერების დემონტაჟი). ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზნად სკოლამ მიუთითა უფროსი კლასის მოსწავლეთა მიერ უმცროს კლასელებზე ბულინგის თავიდან არიდება, ჰიგიენური საშუალებების არამიზნობრივი ხარჯვის, ონკანებისა და ნიჟარების დაზიანების პრევენცია.

შემონებისას დადგინდა, რომ ჰიგიენისთვის განკუთვნილ სივრცეებში დამონტაჟებულ ოთხივე კამერას გააჩნდა ღამის ხედვის და დაკვირვების ობიექტის გადიდების ფუნქცია (ე.წ. zoom). კამერები დაკავშირებული იყო სკოლის მანდატურების სამუშაო ოთახში განთავსებულ ვიდეოჩანაწერების შემნახველ მოწყობილობასთან. ვიდეოთვალთვალის სისტემას გააჩნდა მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი, სადაც აღირიცხებოდა ვიდეოჩანაწერების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება (ე.წ. ლოგები). ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა დამოკიდებული იყო სისტემის მეხსიერების მყარი დისკის მოცულობაზე და ჩანაწერები ინახებოდა საშუალოდ 2 კვირის ვადით. სისტემაზე წვდომა ჰქონდათ მხოლოდ სკოლის მანდატურებს.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი ადგენს საჯარო და კერძო დაწესებულებათა შენობების ვიდეოთვალთვალის სპეციალურ წესს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების თანახმად, საჯარო და კერძო დაწესებულებებს შესაბამისი მონიტორინგის განხორციელების მიზნით შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი შენობების ვიდეოთვალთვალი, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისგან დაცვის, საიდუმლო ინფორმაციის დაცვის და გამოცდის/ტესტირების მიზნებისათვის. ვიდეოთვალთვალის განხორციელება დაუშვებელია გამოსაცვლელ ოთახებსა და ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილებში.

ინსპექტორის განმარტებით, ჰიგიენისთვის განკუთვნილი ადგილი, რომელიც მოიპოვებს როგორც უშუალოდ საპირფარეშოს კაბინებს, ასევე ხელსაბანს, მისი ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე, განსაკუთრებით პრივატული სივრცეა და ამ სივრცეში მონაცემთა სუბიექტის მონიტორინგი ნებისმიერი მიზნით გაუმართლებელია, ასეთი მონაცემების უკანონო გამოყენება ან გამჟღავნება კი მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი შეიძლება იყოს მონაცემთა სუბიექტისთვის. პირის უფლება, გარეშე პირთა დაკვირვების გარეშე, თავისუფლად ისარგებლოს აღნიშნული სივრცეებით, წარმოადგენს მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის რეალიზების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტს. საკითხის შეფასებისას მნიშვნელოვანი ფაქტორია პირადი სივრცის დაცულობის გონივრული მოლოდინი. კერძოდ, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, გარკვეულ გარემოებებში და სივრცეში ადამიანს აქვს (და უნდა ჰქონდეს) მისი პირადი ცხოვრების დაცულობის და პატივისცემის ლეგიტიმური მოლოდინი (*Von Hannover v. Germany* 59320/00). ინსპექტორმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით მონაცემთა დამუშავება იძლეოდა მონაცემების მარტივად მოპოვების, ქცევის პირდაპირი კონტროლის შესაძლებლობას, ამასთან, მონაცემები იმართებოდა და ინახებოდა პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, რაც ინფორმაციაზე შემდგომ მარტივად წვდომის და არასასურველი მიზნით გამოყენების შესაძლებლობას იძლეოდა.

ინსპექტორმა ასევე ხაზი გაუსვა სკოლის მომეტებულ პასუხისმგებლობას არასრულწლოვანი მოსწავლეების მონაცემების დამუშავებისას. სკოლა ვალდებულია დაიცვას ბავშვის უფლებები, მათ შორის, მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის გზით, რათა ზიანი არ მიადგეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს, აგრეთვე მათ გაერთიანებებს უფლება აქვთ, თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლონ ამ თავით დაცული და სკოლის მიერ აღიარებული ყველა უფლებითა და თავისუფლებით. ამავე კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის, მე-20 მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად, მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია. პირის უსაფრთხოების დაცვისა და მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვნის დაცვის მიზნით უნდა განხორციელდეს ვიდეოსათვალთვალი სკოლის გარე და შიდა პერიმეტრზე. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის და პირობების 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, დაუშვებელია ვიდეოსათვალთვალის განხორციელება სკოლის საპირფარეშოში, გამოსაცვლელ ოთახებში, საკლასო ოთახში და სამასწავლებლოში.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წესის დარღვევის გამო, სკოლა ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად ამავე კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა. მას ასევე დაევალა ჰიგიენისთვის განკუთვნილი ადგილების ვიდეოსათვალთვალის შედეგად მოპოვებული ჩანაწერების წაშლა.


რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

არასრულწლოვნების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის თვალსაზრისით სკოლებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ, როგორც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით. დაუშვებელია ჰიგიენისთვის განკუთვნილი სივრცეების ვიდეოთვალთვალი, როგორც ამ სივრცეების ფუნქციური დატვირთვის, ასევე ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით მოპოვებულ მონაცემებზე წვდომის რისკების გათვალისწინებით. ბულინგის პრევენციისა და არასრულწლოვანთა უსაფრთხოების დაცვის მიზნებით სკოლამ უნდა გამოიყენოს ისეთი ზომები, რომლებიც გამორიცხავს ბავშვების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში უხეშ ჩარევას.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციები ვიდეოთვალთვალის განხორციელების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.



ბავშვზე თავდასხმის აუდიო-ვიდეოჩანაწერის სოციალური ქსელით გავრცელება



ფაქტობრივი გარემოებები

2019 წლის აგვისტოში ერთ-ერთმა კომპანიამ სოციალური ქსელით - „Facebook“ გავრცელა მისი სავაჭრო ობიექტის გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოსათვალთვალო კამერის ჩანაწერი შესაბამისი სათაურით, რომელიც ასახავდა ბავშვზე თავდასხმისა და მისი ჯანმრთელობის (სხეულის) დაზიანების ფაქტს. იგი იძლეოდა კამერის ხედვის არეალში მოხვედრილ პირთა იდენტიფიცირებისა და ქუჩაში გამვლელთა საუბრის გარჩევის შესაძლებლობას.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ინიციატივით ჩატარებული შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ სავაჭრო ობიექტის გარე პერიმეტრზე, შესასვლელ კართან, განთავსებული იყო ღამის ხედვისა და აუდიოჩანაწერის ფუნქციის მქონე, ჩანაწერების შემნახველ მოწყობილობასთან დაკავშირებული 2 კამერა. მათი ხედვის არეალში ექცეოდა სავაჭრო ობიექტში შესასვლელი სივრცე და ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი ტროტუარი. შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით განხორციელებული ჩანაწერები ვიდეოგამოსახულებასთან ერთად შეიცავდა ობიექტის შესასვლელ სივრცესთან გამვლელ პირთა საუბარს.

კომპანიამ განმარტა, რომ სავაჭრო ობიექტის გარე პერიმეტრზე ვიდეოსათვალთვალის მიზანს საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენდა. ვინაიდან კამერებს გააჩნდა აუდიოჩანაწერის ფუნქცია, თავისთავად ხდებოდა ხმის ჩანერაც და კომპანიას არ ჰქონია აუდიოჩანაწერის მიზანი ან საჭიროება. შემოწმებისას დადგინდა, რომ სავაჭრო ობიექტის გარე პერიმეტრზე არ იყო განთავსებული ვიდეოსათვალთვალის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშანი.

ვიდეოსათვალთვალო სისტემაში არსებული 4 მომხმარებელიდან, კომპანიის განმარტებით, სისტემაზე წვდომისას იყენებდა მხოლოდ ერთ მომხმარებელს, რომელსაც გააჩნდა წვდომის სრული უფლებები (მათ შორის, ვიდეოჩანაწერზე პირდაპირ (უნყვეტ) რეჟიმში წვდომის, ჩანაწერების დათვალიერების და ე.წ. „ექსპორტის“), დანარჩენი 3 მომხმარებელი კი შექმნილი იყო სატესტოდ. ვიდეოსათვალთვალო სისტემაზე წვდომა გააჩნდა კომპანიაში დასაქმებულ სამ პირს, რომლებიც სისტემაზე წვდომისას იყენებდნენ ერთსა და იმავე მომხმარებელს და პაროლს. ვიდეოსათვალთვალო სისტემაზე გააჩნდა მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი, სადაც აღრიცხებოდა მომხმარებლის მიერ სისტემაში შესვლის და ვიდეოჩანაწერების მიმართ შესრულებული მოქმედებები. სისტემაში შესრულებული მოქმედებები ინახებოდა მხოლოდ 6 დღის ვადით, მაშინ როდესაც აუდიო-ვიდეო ჩანაწერები ინახებოდა უფრო მეტი დროით.

აუდიო-ვიდეო ჩანაწერის სოციალურ ქსელში საჯაროდ გავრცელებასთან დაკავშირებით, თავდაპირველად კომპანიამ ვერ მიუთითა სამართლებრივი საფუძველი და მიზანი, განმარტა, რომ ვინაიდან ჩანაწერი ასახავდა ბავშვის ჯანმრთელობის (სხეულის) დაზიანების ფაქტს, ჩანაწერის გავრცელება მოხდა ემოციურ ნიადაგზე და რამდენიმე დღეში კომპანიამ იგი თავად წაშალა სოციალური ქსელიდან. მოგვიანებით კომპანიამ მიუთითა, რომ სწორედ აღნიშნული ჩანაწერით შეძლეს სამართალდამცველებმა დამნაშავეს ამოცნობა, ამიტომ ჩანაწერის სოციალურ ქსელში განთავსება ემსახურებოდა კანონიერ მიზნებს და საჯარო ინტერესს.

სამართლებრივი შეფასება

საჯარო და კერძო დაწესებულებათა შენობების ვიდეოთვალთვალის წესი განსაზღვრულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-12 მუხლით, რომლის თანახმადაც, საჯარო და კერძო დაწესებულებებს შესაბამისი მონიტორინგის განხორციელების მიზნით შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი შენობების ვიდეოთვალთვალი, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისაგან დაცვის, საიდუმლო ინფორმაციის დაცვის და გამოცდის/ტესტირების მიზნებისათვის. ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით შესაძლებელია მხოლოდ შენობის გარე პერიმეტრისა და შესასვლელის მონიტორინგის განხორციელება. მონაცემთა დამუშავებული ვალდებულია თვალსაჩინო ადგილას განათავსოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი. ამ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტი მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე ინფორმირებულად ითვლება.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის მიერ ვიდეოთვალთვალის განხორციელება საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით მიჩნეული იქნა კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მიზნებთან შესაბამისად, დარღვევად შეფასდა გარე პერიმეტრზე ვიდეოთვალთვალის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნის არარსებობა. ინსპექტორმა განმარტა, რომ ვიდეოთვალთვალის არეალში მოხვედრილი პირების მონაცემების დამუშავება არ არის დამოკიდებული მონაცემთა სუბიექტის ნებაზე. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონი მკაცრად განსაზღვრავს გამაფრთხილებელი ნიშნის განთავსების ვალდებულებას, რათა ამგვარი ინფორმირების გზით უზრუნველყოს მოქალაქეთა უფლებების პატივისცემა და დაცვა.

კანონის მე-4 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, მონაცემთა დამუშავებული ვალდებულია მონაცემები დაამუშაოს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი. შემონების ფარგლებში კი დადგინდა, რომ კომპანიის მიერ ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით განხორციელებული ჩანაწერები ვიდეოგამოსახულებასთან ერთად მოიცავდა აუდიოჩანაწერს, ისე რომ ამ გზით მონაცემების დამუშავების საჭიროება და მიზანი კომპანიას არ გააჩნდა და ეწინააღმდეგებოდა მონაცემთა დამუშავების პრინციპებს.

სოციალური ქსელით გავრცელებულ აუდიო-ვიდეო ჩანაწერთან დაკავშირებით ინსპექტორმა მიუთითა, რომ ჩანაწერის გასაჯაროებისთვის საჭირო იყო კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრული ერთ-ერთი სამართლებრივი საფუძვლის არსებობა, როგორცაა მონაცემთა დამუშავების ან მესამე პირის აღმატებული კანონიერი ინტერესების დაცვა, კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი

საჯარო ინტერესის დაცვა და ა.შ. ინსპექტორმა არ გაიზიარა კომპანიის მიერ მოგვიანებით დასახელებული საჯარო ინტერესის დაცვის მიზანი და კომპანიის განმარტება, რომ სწორედ ჩანაწერის გასაჯაროების შემდგომ შეძლეს სამართალდამცველებმა დამნაშავის ამოცნობა. ინსპექტორმა მიუთითა, რომ საჯარო ინტერესი, ცალკე აღებული, შეიძლება წარმოადგენდეს მონაცემთა დამუშავების საფუძველს, თუმცა, განსახილველ შემთხვევაში კომპანიამ ვერ დაასაბუთა, თუ რა სახის ურთიერთკავშირი იყო ჩანაწერში ასახული პირების მონაცემების იდენტიფიცირებული ფორმით საჯაროდ გავრცელებასა და საჯარო ინტერესს შორის. ინსპექტორმა აღნიშნა, რომ ჯანმრთელობის (სხეულის) დაზიანების ფაქტების გამოვლენა და მათზე სათანადო რეაგირება ევალებათ საამისოდ უფლებამოსილ პირებს/ხელისუფლების ორგანოებს. კომპანია არ იყო უფლებამოსილი, მსგავსი ქმედების ჩამდენი პირების გამოვლენის მიზნით, ყველასთვის ხელმისაწვდომი ფორმით განეთავსებინა საკუთარი ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით განხორციელებული აუდიო-ვიდეო ჩანაწერი. ამასთან, კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად კომპანიას შეეძლო შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდებინა საამისოდ უფლებამოსილი ორგანოებისთვის. შემონმების ფარგლებში არ გამოვლინდა აუდიო-ვიდეო ჩანაწერის გასაჯაროების სხვა სამართლებრივი საფუძველიც.

კანონის მე-17 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა.

ინსპექტორმა მიუთითა, რომ ვიდეოსათვალთვალო სისტემაზე წვდომისთვის 3 დასაქმებულის მიერ ერთი და იმავე მომხმარებლის და პაროლის გამოყენება არ შეესაბამებოდა კანონის მე-17 მუხლის მოთხოვნებს, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მიერ აღრიცხებოდა მომხმარებლის სახელით შესრულებული მოქმედებები, შეუძლებელი ხდებოდა იმის დადგენა, კონკრეტულად რომელმა პირმა განახორციელა მონაცემების დამუშავება. ამასთან, ინსპექტორის შეფასებით, ვიდეოსათვალთვალო სისტემაში არსებული ჩანაწერების მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის მონაცემების შენახვა იმაზე ნაკლები ვადით, ვიდრე თავად ჩანაწერები ინახება, არაავტორიზებული დამუშავების შემთხვევაში შეუძლებელს ხდიდა იმის იდენტიფიცირებას, თუ ვის მიერ განხორციელდა წვდომა, რომელ მონაცემებზე, როდის, რა მოქმედება შესრულდა და ა.შ.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-5, მე-12 და მე-17 მუხლების დარღვევის გამო კომპანია ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად ამავე კანონის 43-ე, 44-ე, 46-ე და 48-ე მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდა გაფრთხილება. კომპანიას დაევალა შენობის გარე პერიმეტრზე ვიდეოსათვალთვალის მიმდინარეობის შესახებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნის თვალსაჩინო ადგილას განთავსება; აუდიომონიტორინგის განხორციელების შეწყვეტა და აუდიომონიტორინგის წარმოების შედეგად მოპოვებული მასალის სრულად განადგურება; ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღება, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა მონაცემთა მიმართ შესრულებულ

მოქმედებაზე პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირება; ასევე მიეცა რეკომენდაცია მიეღო ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლის მეშვეობითაც მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების შესახებ ინფორმაციის შენახვის ვადა არ იქნებოდა ვიდეოჩანაწერის შენახვის არსებულ ვადაზე ნაკლები.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

საჯარო სივრცეში, მათ შორის ქუჩის მონაკვეთსა და ტროტუარზე ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას აუცილებელია ვიდეოთვალთვალის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება. ზოგადად საჯარო სივრცეში აუდიომონიტორინგი დაუშვებელია. გამონაკლისის სახით, სათანადო დასაბუთებით, კანონიერების, სამართლიანობის და პროპორციულობის პრინციპების დაცვით აუდიომონიტორინგის განხორციელებისას, აუცილებელია შესაბამისი გამაფრთხილებელი წარწერის ან მარტივად აღქმადი გამოსახულების განთავსება, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის ეფექტური მექანიზმების, ასევე აუდიოჩანაწერებზე წვდომის, მათი შენახვისა და განადგურების წესისა და პირობების წინასწარი განსაზღვრა.

თუ ვიდეოსათვალთვალო სისტემამ დააფიქსირა შესაძლო დანაშაული, ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს სამართალდამცავ ორგანოებს. დაუშვებელია დეპერსონალიზაციის გარეშე ჩანაწერების საჯარო გავრცელება, განსაკუთრებით თუ სახეზეა არასრულწლოვნის მონაცემების შემცველი ჩანაწერი.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-5, მე-12 და მე-17 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციები ვიდეოთვალთვალის განხორციელების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.

კერძო სკოლაში მიმდინარე ვიდეოთვალთვალი და ჩანაწერების სამართალდამცავი ორგანოსთვის გადაცემა



ფაქტობრივი გარემოებები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა 2019 წლის დეკემბერში ერთ-ერთი კერძო სკოლის მიერ ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერება შეისწავლა. შემონშების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში განთავსებული იყო 106 ვიდეოსათვალთვალო კამერა. მათი ხედვის არეალი მოიცავდა სკოლის გარე პერიმეტრს, სკოლის შესასვლელ სივრცეს, დერეფნებს, სამასწავლებლო ოთახს, საკლასო ოთახებს, სააქტო ოთახს, საბავშვო ბაღისთვის არსებულ ოთახებს, სასადილოს, კაფეს, ჰიგიენისთვის განკუთვნილ 6 ადგილს. შესაბამისად, კამერების ხედვის არეალში ექცეოდა მათ შორის სკოლაში დასაქმებულ პირთა (მასწავლებლების, კაფეში, სასადილოში დასაქმებული პირების, სკოლის შესასვლელში მომუშავე პერსონალისა და საბავშვო ბაღში დასაქმებული პირების) სამუშაო ადგილებიც. ჰიგიენისთვის განკუთვნილი სივრცეები შედგებოდა საერთო შესასვლელის მქონე ორი ოთახისგან. კერძოდ, ხელსაბანისთვის განკუთვნილი შესასვლელი ოთახისგან, სადაც განთავსებული იყო ვიდეოსათვალთვალო კამერა და საპირფარეშოსთვის გამოყოფილი ოთახისგან, რომელშიც განთავსებული იყო კაბინები. ვიდეოსათვალთვალო კამერები ხელსაბანისთვის გამოყოფილ ოთახებში განთავსებული იყო ისე, რომ მათი ხედვის არეალში ხვდებოდა მხოლოდ ხელსაბანი და საპირფარეშოსთვის გამოყოფილი ოთახის შესასვლელი სივრცე (რომელიც სკოლის განმარტებით არ მოიცავდა იმ ოთახებს, სადაც განთავსებული იყო უშუალოდ კაბინები).

ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზნად სკოლამ დაასახელა საკუთრების, პირის უსაფრთხოებისა და არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისგან დაცვა. სკოლის გარე და შიდა პერიმეტრზე ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი არ იყო განთავსებული, გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ სამასწავლებლო ოთახი. სკოლაში დასაქმებული პირები მათ სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის განხორციელებისა და მათი უფლებების შესახებ წერილობით არ იყვნენ ინფორმირებულნი. სკოლამ განმარტა, რომ როგორც არასრულწლოვნები და მათი კანონიერი წარმომადგენლები, ისე სკოლაში დასაქმებული პირები, ზეპირსიტყვიერად იყვნენ ინფორმირებულნი ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის თაობაზე. ყველა კამერა ვიზუალურად იყო აღქმადი, შესაბამისად, დამატებით სკოლის მხრიდან მონაცემთა სუბიექტების ინფორმირებას ადგილი არ ჰქონია.

შემონშების დროს დადგინდა, რომ 2019 წლის 13 დეკემბერს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს, მათი ზეპირსიტყვიერი მოთხოვნის საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, გადაეცათ სკოლის ვიდეოთვალთვალის სისტემით განხორციელებული ჩანაწერები. სკოლას არ მოუხდენია ინფორმაციის რეგისტრაცია, თუ ვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძველით გადაეცა შესაბამისი ვიდეოჩანაწერები.

ვიდეოთვალთვალი ხორციელდებოდა ყოველდღე, 24 საათის განმავლობაში. 106-ივე კამერას ჰქონდა ღამის ხედვისა და დაკვირვების ობიექტის გადიდების ფუნქცია, თუმცა, არ გააჩნდა აუდიოჩანერის და მანევრირების ფუნქცია. ვიდეოსათვალთვალო კამერები უკავშირდებოდა 9 ვიდეოჩანერ მონყობილობას. ვიდეოთვალთვალის სისტემას ჰქონდა მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი (ე.წ. „ლოგირება“), სადაც აღირიცხებოდა მომხმარებლის მიერ სისტემაში შესვლა და ვიდეოჩანანერების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება. ვიდეოჩანანერების შენახვის ვადა დამოკიდებული იყო ვიდეოსათვალთვალო სისტემის მუხსიერების მყარი დისკის მოცულობაზე. რამდენიმე მონყობილობაში ვიდეოჩანანერები ინახებოდა უფრო მეტი დროით, ვიდრე ამავე სისტემაში არსებული ვიდეოჩანანერების მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის მონაცემები.

ვიდეოთვალთვალის სისტემებზე წვდომა ჰქონდათ სკოლის დირექტორს, უსაფრთხოების მენეჯერს და დაცვის სამსახურის 4 თანამშრომელს. ვიდეოსათვალთვალო სისტემებში შექმნილი იყო 3 მომხმარებელი, აქედან მხოლოდ 1 ფუნქციონირებდა და სისტემაზე წვდომის უფლების მქონე ექვსივე პირი სარგებლობდა საერთო მომხმარებლით („Admin“), რომელიც არ იყო დაცული პაროლით, გარდა ერთი ვიდეოჩანერის მონყობილობისა.

სამართლებრივი შეფასება

საჯარო და კერძო დაწესებულებების შენობების ვიდეოთვალთვალის წესი განსაზღვრულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-12 მუხლით. აღნიშნული მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, საჯარო და კერძო დაწესებულებებს შესაბამისი მონიტორინგის განხორციელების მიზნით შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი შენობების ვიდეოთვალთვალი, მათ შორის, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისაგან დაცვის მიზნებისათვის. ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით მონიტორინგის განხორციელებისას მონაცემთა დამუშავებული ვალდებულია თვალსაჩინო ადგილას განათავსოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი. ასეთ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტი მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე ინფორმირებულად ითვლება. ამავე მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტების თანახმად, სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის სისტემის დაყენება შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, მათ შორის, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, ასევე, საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის და თუ ამ მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია. სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის სისტემის გამოყენებისას შესაბამის დაწესებულებაში დასაქმებული ყველა პირი წერილობითი ფორმით უნდა იყოს ინფორმირებული ვიდეოთვალთვალის განხორციელებისა და მისი უფლებების შესახებ.

სკოლის განმარტება იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვნები, მათი კანონიერი წარმომადგენლები და სკოლაში დასაქმებული პირები ზეპირსიტყვიერად იყვნენ ინფორმირებულნი ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის თაობაზე, არ იქნა გაზიარებული. ინსპექტორმა განმარტა, რომ ვიდეოთვალთვალის შესახებ თვალსაჩინო ადგილას გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსების ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ვიდეოთვალთვალის ქვეშ, მათი ნების მიუხედავად, ექცევიან სხვადასხვა პირები, რომელთაც უფლება აქვთ შეიტყონ ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის თაობაზე, რათა აკონტროლონ საკუთარი ქცევა, ისარგებლონ მონაცემთა სუბიექტის უფლებებით და სხვა.

საკლასო ოთახებში და სამასწავლებლოში ვიდეოთვალთვალის მიზნების ზოგადი განმარტება არ იქნა მიჩნეული ვიდეოთვალთვალის განხორციელების კანონიერების წინაპირობად, ინსპექტორმა აღნიშნა, რომ ვიდეოთვალთვალის კანონიერებისთვის აუცილებელია არამხოლოდ კანონით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნის არსებობა, არამედ შესაბამისი მყარი არგუმენტაცია, რომ პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზანი სხვა საშუალებებით ვერ მიიღწევა. ასევე დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებული პირები წერილობითი ფორმით არ იყვნენ ინფორმირებულნი სამუშაო ადგილზე ვიდეომონიტორინგის განხორციელებისა და მათი უფლებების შესახებ, მაშინ როდესაც კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის განხორციელებას კანონი დასაშვებად მიიჩნევს ყველა დასაქმებულის წერილობითი ინფორმირების შემდგომ.

კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ვიდეოთვალთვალის განხორციელება დაუშვებელია გამოსაცვლელ ოთახებსა და ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილებში. ამასთან, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/6 ბრძანებით დამტკიცებული წესის და პირობების 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია ვიდეოთვალთვალის განხორციელება სკოლის საპირფარეშოში, გამოსაცვლელ ოთახებში, საკლასო ოთახებში და სამასწავლებლოში.

ინსპექტორმა აღნიშნა, რომ ჰიგიენისთვის განკუთვნილი სივრცე არ შეიძლება განიმარტოს იმდენად ვიწროდ, რომ მსგავს სივრცედ მიჩნეული იქნეს უშუალოდ საპირფარეშოს კაბინების შიდა პერიმეტრი. აღნიშნული მთლიანობაში, იქნება ეს სივრცე, სადაც განთავსებულია ხელსაბანები და შესასვლელი ნაწილი, თუ უშუალოდ საპირფარეშო კაბინების შიდა პერიმეტრი, ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე განკუთვნილია ჰიგიენური მიზნებისთვის და მსგავს სივრცეში სუბიექტის მონიტორინგი ნებისმიერი მიზნით გაუმართლებელია. ინსპექტორმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ საქმე შეეხებოდა არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავებას და შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილებულიყო არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე, რამდენადაც მსგავსი სივრცით სარგებლობისას მოპოვებული ინფორმაციის თუნდაც შემთხვევითმა გამჟღავნებამ არასრულწლოვანს შესაძლოა მიაყენოს მნიშვნელოვანი ზიანი.

სკოლის მიერ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებისთვის ვიდეოჩანაწერების გადაცემასთან დაკავშირებით ინსპექტორმა აღნიშნა, რომ კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით. სკოლის მიერ სისხლის სამართლის საქმის მიზნებისთვის ვიდეოჩანაწერების გადაცემისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (შემდგომში - კოდექსი) დადგენილი წესები, კერძოდ, კოდექსის მე-3 მუხლის 27-ე და 28-ე ნაწილები, 136-ე და 143³-ე მუხლები, რომელთა თანახმად, ვიდეოჩანაწერის (კომპიუტერული მონაცემის) გადაცემა უნდა განხორციელდებულიყო მხოლოდ მოსამართლის განჩინების ან გადაუდებელი აუცილებლობისას, პროკურორის მოტივირებული დადგენილების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში სკოლის მიერ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებისთვის ვიდეოჩანაწერების გადაცემა მოხდა კანონით დადგენილი წესის გვერდის ავლით, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

კანონის მე-17 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. ამავე კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად კი, მონაცემთა გამჟღავნებისას მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს ინფორმაციის რეგისტრაცია: რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით. ეს ინფორმაცია უნდა ინახებოდეს მონაცემთა სუბიექტის შესახებ მონაცემებთან ერთად მათი შენახვის ვადის განმავლობაში.

ინსპექტორმა კანონდარღვევად მიიჩნია ვიდეოსათვალთვალო სისტემაზე წვდომის უფლების მქონე პირთა მხრიდან პერსონიფიცირებული მომხმარებლის სახელის და ასევე, პაროლის გარეშე სისტემაზე წვდომა, რაც შეუძლებელს ხდიდა იმის დადგენას, თუ რომელმა პირმა განახორციელა მონაცემების დამუშავება. ამასთან, ინსპექტორმა აღნიშნა, რომ სისტემაში არსებული ვიდეოჩანაწერების მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის მონაცემების იმაზე ნაკლები ვადით შენახვა, ვიდრე თავად ჩანაწერები ინახებოდა, არ წარმოადგენდა რისკების ადეკვატურ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ზომას, რამდენადაც ვერ უზრუნველყოფდა იმის დადგენას, ვის მიერ განხორციელდა წვდომა, რომელ მონაცემებზე, როდის, რა მოქმედება შესრულდა და ა.შ. ასევე, სკოლა ვიდეოჩანაწერების გამჟღავნებასთან დაკავშირებით ცალკე არ აწარმოებდა რაიმე სახის ელექტრონულ ან/და მატერიალურ დოკუმენტს, რომლის მეშვეობითაც, წესის შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნებოდა ინფორმაციის რეგისტრაცია, რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით.

ინსპექტორის გადანყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, მე-12 და მე-17 მუხლების დარღვევით მონაცემთა დამმუშავების გამო, სკოლა ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად ამავე კანონის 43-ე, 46-ე და 48-ე მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენაში და სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა. ამასთან, სკოლას დაევალა ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში, საკლასო ოთახებში და სამასწავლებლოში ვიდეოთვალთვალის განხორციელების შეწყვეტა და აღნიშნულ სივრცეებში მოპოვებული ჩანაწერების სრულად წაშლა/განადგურება, ხოლო, სხვა სივრცეებში ვიდეოთვალთვალის განხორციელება კანონის შესაბამისად; წესის შემუშავება მონაცემთა გამჟღავნებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების რეგისტრაციის უზრუნველყოფისთვის და ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღება მონაცემთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შემოწმების ფარგლებში გამოვლენილი დარღვევების და ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

ვინაიდან ვიდეოთვალთვალი პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევის საკმაოდ ინტენსიური ფორმაა, მნიშვნელოვანია, რომ ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა, მათ შორის სკოლებმა, ჯეროვნად შეასრულონ კანონის მოთხოვნები, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გაანალიზონ ვიდეოთვალთვალის მიზნები, საჭიროება და შეაფასონ, ხომ არ არის, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, კანონიერი მიზნების მიღწევა შესაძლებელი სხვა

ნაკლებ შემზღუდავი საშუალებების გამოყენებით ან/და ნაკლები მოცულობითა და ინტენსივობით მონაცემთა დამუშავებით. სკოლები განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდონ სამუშაო ადგილას და სასწავლო სივრცეებში (კლასებში, აუდიტორიებში) ვიდეოთვალთვალს და ეს საშუალება გამოიყენონ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და დასაქმებულთა წერილობითი ინფორმირების ვალდებულების ჯეროვანი შესრულებით. ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში აკრძალულია ვიდეოთვალთვალი. ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას აუცილებელია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება, ამასთან, რისკების ადეკვატური ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება როგორც ვიდეოსათვალთვალ სისტემაში მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად, ასევე მონაცემთა შემთხვევითი ან უკანონო გამჟღავნების ან სხვა ფორმით უკანონო დამუშავების შემთხვევაში ბრალეული პირების მარტივად იდენტიფიცირებისთვის.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, მე-12, მე-17 და მე-18 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციები ვიდეოთვალთვალის განხორციელების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.
3. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციები სკოლებისთვის - სკოლებში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე ანტონოვიჩი და მირკოვიჩი მონტენეგროს წინააღმდეგ - <http://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-178904>.

განრიდების პროცესში არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავება



ფაქტობრივი გარემოებები

არასრულწლოვანთა განრიდების მიზნით პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლისთვის, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ინიციატივით 2019 წლის სექტემბერ-დეკემბერში განხორციელდა საქართველოს გენერალური პროკურატურის (შემდგომში - პროკურატურა) შემონმება.

შემონმება მოიცავდა განრიდების პროცესში არასრულწლოვანთა პერსონალური (მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის) მონაცემების დამუშავების სრულ პროცესს, მათ შორის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის - პრობაციის ეროვნული სააგენტოსთვის (შემდგომში - პრობაციის ეროვნული სააგენტო) და „დანაშაულის პრევენციის ცენტრისთვის“ მონაცემთა გადაცემის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „სმართლოჯიქს“ მიერ საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის ადმინისტრირების, პროკურატურის მიერ ე.წ. „განრიდების ბაზისა“ და ე.წ. „მონიტორინგზე სამუშაო ბაზის“ წარმოების გზით მონაცემთა დამუშავებას.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი (შემდგომში - კანონი) განსაზღვრავს პერსონალურ, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის, მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს. კერძოდ, კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით ან/და მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად, ხოლო კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით ან კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევების არსებობისას. კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ითვალისწინებს გამონაკლისს, რომლის მიხედვითაც, ამ კანონის მე-6 მუხლის მოქმედება არ ვრცელდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და დანაშაულის გამოძიების მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე, თუ საკითხი პირდაპირ და სპეციალურად რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ან „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით ან სხვა სპეციალური კანონით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (შემდგომში - კოდექსი) ადგენს არასრულწლოვნის ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, არასრულწლოვნის მონაწილეობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების და სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებებს, სასჯელისა და სხვა ზომების აღსრულების სპეციალურ წესებს. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისთვის არასრულწლოვნად მიიჩნევა პირი,

რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი. კოდექსით განსაზღვრული განრიდებასთან დაკავშირებული ნორმები ასევე ვრცელდება 18 წლიდან 21 წლამდე პირზე, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე დანაშაული ან მძიმე დანაშაული. კოდექსის მე-3, მე-8, 27-ე, 38-ე, 39-ე, 41-ე და 48-ე მუხლების თანახმად, განრიდება განი-მარტება როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ფორმა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომლის მიზანია არასრულწლოვ-ნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. განრიდება შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი ითვალის-წინებს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებს, მის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათსა და სიმძიმეს, არასრულწლოვანის ასაკს, ბრალეულობის ხარისხს, მოსალოდნელ სასჯელს, არა-სრულწლოვანის მიერ მიყენებულ ზიანს, სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციულ გავ-ლენას, დანაშაულის შემდგომ ქცევას, არასრულწლოვანის მიერ წარსულში ჩადენილ დანაშაულს და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს, რომლის მომზადებასაც უზრუნველყოფს პრობაციის ეროვნული სააგენტო.

განრიდება შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომად-გენელს და ადვოკატს უნდა მიენოდოთ დეტალური ინფორმაცია განრიდებას არსის, გამოყენების წესის, ხანგრძლივობის, შესაძლო პირობების და განრიდებას ღონისძიებების შეუსრულებლობის შედეგების და განრიდებაზე თანხმობის ნებაყოფლობითობის შესახებ. განრიდება შესახებ გადა-წყვეტილების მიღების შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია არასრულწლოვანთან გააფორ-მოს ხელშეკრულება განრიდებას, ან განრიდებასა და მედიაციის შესახებ. განრიდებას ღონისძი-ების შესრულებას ზედამხედველობს პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი.

კოდექსის 39-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის №120 ბრძანებით დამტკიცებულია „არასრულწლოვანის მიმართ განრიდებას/განრიდებასა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესი და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობები“ (შემდგომში - მინისტრის №120 ბრძანება). ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი კი დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ერთობლივი 2016 წლის 15 მარტის №132/№95/ №23 ბრძანების (შემდგომში - ერთობლივი ბრძანება) დანართი №1-ით, რომლის გამოცემის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს კოდექსის 27-ე მუხლი. ერთობლივი ბრძანების თანახმად, ინდივიდუალური შეფასებისთვის პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი უფლებამოსილია დაუბრკოლებლად შეხვდეს არასრულწლოვან ბრალდებულს და ინდივიდუალური შეფასებისთვის საჭირო ინფორმაცია მიიღოს ყველა ფიზიკური პირისაგან, სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებისგან. ინდივიდუალური შეფასება ხორციელდება არასრულწლოვანთან, მისი ოჯახის წევრებსა და მასთან დაკავშირებული სოციუმის სხვა წარმომადგენლებთან ინტერვიუების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში, არასრულწლოვანსა და მის ოჯახთან შეთანხმებით, სოციალურ მუშაკს შეუძლია შეფასების პროცესში ჩართოს სხვადასხვა დარგის პროფესიონალები (პედაგოგი, ფსიქოლოგი, ექიმი, ფსიქიატრი და სხვა).

ერთობლივი ბრძანების №1.1 დანართით დამტკიცებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის ფორმა მოიცავს: ზოგად ინფორმაციას არასრულწლოვანის შესახებ; მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ; ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; ემო-ციური, კოგნიტური განვითარების და ქცევითი თავისებურებების შესახებ და სხვა.

ინდივიდუალური შეფასების დასრულების შემდეგ სოციალური მუშაკი დასკვნის სახით განსაზღვრავს არასრულწლოვნის საჭიროებებს, უნარებსა და დანაშაულის ჩადენის რისკებს, ადგენს რეკომენდირებულ ღონისძიებათა ჩამონათვალს. პროკურორი სოციალური მუშაკის რეკომენდაციების გათვალისწინებით და მასთან კონსულტაციების შედეგად ადგენს ხელშეკრულების პირობებს და მოქმედების ვადას. თუ დაზარალებული თანახმაა მედიაციაში მონაწილეობაზე ან დაზარალებული არ არის არასრულწლოვნისადმი მკვეთრად ნეგატიურად განწყობილი, შესაძლებელია მომზადდეს განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება. განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების აღსრულების პროცესში მონაწილეობენ არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი და ოჯახის სხვა წევრები.

განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულების შესახებ ანგარიშს სოციალური მუშაკი თვეში ერთხელ წარუდგენს პროკურორს. ანგარიშის ფორმა დამტკიცებულია ერთობლივი ბრძანების №1.2 დანართით და შეიცავს მონაცემებს არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების შესახებ ხელშეკრულების თითოეული პუნქტის მიხედვით, ხოლო ხელშეკრულების რომელიმე პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში – შესაბამის მიზეზებსა და განმარტებას. მხარეთა თანხმობით ხელშეკრულებაში შესაძლებელია ცვლილებების შეტანა. ხელშეკრულების მოქმედების დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში სოციალური მუშაკი პროკურორს წარუდგენს საბოლოო ანგარიშს, რომელშიც საერთო პროგრესის გარდა, აღინიშნება, რამდენად აღმოიფხვრა არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის განმეორების რისკი.

შემონმების ფარგლებში არასრულწლოვანთა განრიდების მიზნით შედგენილი დოკუმენტაციის შესწავლამ და ამავე საკითხზე მოპოვებული ინფორმაციის ანალიზმა ცხადყო, რომ პროკურატურის მიერ არასრულწლოვანთა განრიდების მიზნით პრაქტიკაში განხორციელებული პროცედურული ეტაპები (არასრულწლოვანთან და მის კანონიერ/საპროცესო წარმომადგენელთან გასაუბრება, დაზარალებულთან გასაუბრება, განრიდების პროცესის დაწყება და აღნიშნულის თაობაზე დანაშაულის პრევენციის ცენტრისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინფორმირება, სოციალური მუშაკის მიერ შედგენილი ინდივიდუალური შეფასების, შეფასების საფუძველზე შემუშავებული დასკვნისა და ხელშეკრულების სარეკომენდაციო პირობების განხილვა, სოციალური მუშაკისა და მედიატორის ჩართულობით განრიდება/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების მომზადება, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის/დაწყებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, სოციალური მუშაკის მიერ შედგენილი გეგმიური/არაგეგმიური და საბოლოო ანგარიშების განხილვა და გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება) და შედგენილი დოკუმენტაცია (არასრულწლოვანთან კონსულტაციის ოქმი, დაზარალებულთან კონსულტაციის ოქმი, დადგენილება, მიმართვა პრობაციის ეროვნულ სააგენტოსა და დანაშაულის პრევენციის ცენტრს, განრიდება/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება, „სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის/დაწყებაზე უარის თქმის შესახებ“ დადგენილება, „გამოძიების შეწყვეტის შესახებ“ დადგენილება) შეესაბამებოდა კოდექსით, ერთობლივი ბრძანებითა და მინისტრის №120 ბრძანებით გათვალისწინებულ რეგულირებას. შესაბამისად, ინსპექტორმა მიიჩნია, რომ განრიდების მიზნით პროკურატურის მიერ არასრულწლოვანთა პერსონალური, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის, მონაცემების დამუშავება პირდაპირ და სპეციალურად რეგულირდებოდა კანონით/მის საფუძველზე გამოცემული აქტებით ან/და გამომდინარეობდა კანონმდებლობით პროკურატურისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულების საჭიროებიდან.

შემონმების შედეგად ასევე დადგინდა, რომ პროკურატურის ანალიტიკური სამმართველო საქმისწარმოების სისტემაში არსებული მონაცემების ნაწილს ასევე აღრიცხავდა ე.წ. ექსელის ფაილებში შემდეგი სახელწოდებებით: ე.წ. „განრიდების ბაზა“ და ე.წ. „მონიტორინგზე სამუშაო ბაზა“. აღნიშნული ბაზების არსებობას განაპირობებდა კოდექსის მე-40 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების (არასრულწლოვანი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა) უტყუარად დადგენის მიზანი. დადგინდა, რომ პროკურატურას განსაზღვრული არ ჰქონდა მითითებულ ბაზებში აღრიცხული მონაცემების შენახვის კონკრეტული ვადა. პროკურატურის მითითებით, მიმდინარეობდა ვადის დადგენის საკითხზე მუშაობა განრიდებული პირის მაქსიმალური ასაკის (21 წელი) და მძიმე კატეგორიის დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის (10 წელი) გათვალისწინებით.

კანონის მე-4 მუხლის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტების თანახმად, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით. აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონის მე-4 მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ინსპექტორმა მნიშვნელოვნად მიიჩნია, პროკურატურის მიერ შემონმების ფარგლებში დასახელებული მიზნების მისაღწევად საჭირო, ე.წ. „განრიდების ბაზასა“ და ე.წ. „მონიტორინგზე სამუშაო ბაზაში“ აღრიცხულ მონაცემთა შენახვის კონკრეტული ვადის განსაზღვრა.

ინსპექტორის გადანყვეტილება

შემონმების შედეგად პროკურატურის მიერ არასრულწლოვანთა განრიდების მიზნით პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას კანონის მოთხოვნების დარღვევის ფაქტი არ დადგინდა. პროკურატურას დაევალა დასახელებული მიზნის მისაღწევად საჭირო, ე.წ. „განრიდების ბაზასა“ და ე.წ. „მონიტორინგზე სამუშაო ბაზაში“ აღრიცხულ მონაცემთა შენახვის კონკრეტული ვადის განსაზღვრა და ისეთი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება, რომ განსაზღვრული კონკრეტული ვადის გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ წაიშალოს, განადგურდეს ან პირთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით იქნას შენახული ე.წ. „განრიდების ბაზასა“ და ე.წ. „მონიტორინგზე სამუშაო ბაზაში“ აღრიცხული პერსონალური მონაცემები.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

მონაცემთა დამუშავების ნებისმიერ პროცესში, განსაკუთრებით თუ საქმე არასრულწლოვნის მონაცემებს ეხება, აუცილებლად უნდა იქნას განსაზღვრული მონაცემთა შენახვის ვადა მონაცემთა დამუშავების კანონიერი მიზნებისა და არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. განსაზღვრული ვადის მიღწევის შემდეგ კი მონაცემები დაუყოვნებლივ უნდა წაიშალოს ან განადგურდეს. ალტერნატივის სახით შესაძლებელია დეპერსონალიზებული ფორმით მონაცემთა უფრო ხანგრძლივი ვადით შენახვაც, რამდენადაც სათანადოდ დეპერსონალიზებული ინფორმაცია არ მიიჩნევა პერსონალურ მონაცემად.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.



პოლიკლინიკის მიერ არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავება



ფაქტობრივი გარემოებები

ბავშვების პირადი ცხოვრების და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების მნიშვნელობის, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) ფარგლებში აღრიცხვაზე მყოფ არასრულწლოვან ბენეფიციართა რაოდენობის და მათი მონაცემების კანონდარღვევით დამუშავების რისკების გათვალისწინებით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ინიციატივით 2019 წლის ოქტომბრიდან 2020 წლის მარტის ჩათვლით განხორციელდა ერთ-ერთი პოლიკლინიკის შემოწმება.

პოლიკლინიკა ამუშავებდა პროგრამის ფარგლებში აღრიცხვაზე მყოფ არასრულწლოვან ბენეფიციართა (შემდგომში - არასრულწლოვანი ბენეფიციარები) მოცულობით პერსონალურ მონაცემებს. კერძოდ, ბავშვებისა და მათი მშობლების საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემებს, ინფორმაციას ბავშვის ქცევის, კვებითი რეჟიმის, გეგმიური იმუნიზაციის, ფსიქომოტორული განვითარების, შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის, სისხლის ჯგუფისა და რეზუს ფაქტორის, ქირურგიული ჩარევების, გადატანილი ინფექციური დაავადებების, ქრონიკული დაავადებების, ანამნეზის, დიაგნოზის, კლინიკურ დიაგნოსტიკური გამოკვლევის შედეგების, დანიშნულებისა და ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

პოლიკლინიკის განმარტებით, მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს წარმოადგენდა არასრულწლოვნის მშობლის ან მეურვის/მზრუნველის/კანონიერი წარმომადგენლის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებები, მათ შორის, 2014 წლის 17 მარტის №01-19/ნ ბრძანება „ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმის, მისი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/ნ ბრძანება „ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“, 2019 წლის 16 სექტემბრის №01-60/ნ ბრძანება „პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის, იმ ინფექციური დაავადებების სიის, რომელთათვისაც სავალდებულოა პროფილაქტიკური აცრები და პროფილაქტიკური აცრების ჩატარების ასაკობრივი მაჩვენებლების, ვადებისა და იმუნიზაციის მართვის წესების დამტკიცების შესახებ“, 2019 წლის 3 იანვრის №01-1/ნ ბრძანება „ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემის (EHR) ფუნქციონირებისა და წარმოების წესის განსაზღვრის შესახებ“ და სხვა.

მონაცემთა დამუშავება ხორციელდებოდა შემდეგი სამედიცინო ფორმების, ჟურნალებისა თუ ელექტრონული სისტემების მეშვეობით: საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში გეგმიური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე

მოსარგებლის თანხმობის ფორმა; ამბულატორიული პაციენტის ვიზიტების და ბინაზე/ადგილზე გამოძახების რეგისტრაციის ჟურნალი; ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათი; იმუნიზაციის ელექტრონული მოდული; აცრების ყოველთვიური დაგეგმვისა და აღრიცხვის ჟურნალი (ფორმა 1.4); აცრების რეგისტრაციის ჟურნალი (ანგარიში ჩატარებული პროფილაქტიკური აცრების შესახებ) (ფორმა 1.8); ბავშვთა აღრიცხვის ჟურნალი დაბადების წლის მიხედვით ფორმა #1.1.; პროფილაქტიკური აცრების ბარათი ფორმა #01; პროფილაქტიკური აცრების ბარათი (ფორმა #063); პირის მიერ პროფილაქტიკურ აცრაზე დაუსაბუთებელი უარის თქმის ფორმა (დანართი #2) და ფორმა 1.5. ერთ თვეზე მეტი მძიმე მუდმივი უკუჩვენებების და უარებზე აღრიცხვის ჟურნალი; ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა IV-100/ა) და ფორმა IV-100/ა-ს რეგისტრაციის ჟურნალი; რეცეპტის ბლანკი ფორმა #3; EHR პროგრამა; სტატისტიკური ფორმა (ფორმა #025); სტატისტიკური ფორმა (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში ანგარიშების ნაწილი); პოლიკლინიკის შიდა ელექტრონული პროგრამა.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიკლინიკა თავად არ აწარმოებდა ლაბორატორიულ კვლევებს, მას ჰყავდა კონტრაქტორი ლაბორატორია, სადაც პაციენტები იგზავნებოდნენ ანალიზების ჩასატარებლად. შესაბამისად, სამედიცინო ფორმას - ლაბორატორიული გამოკვლევების ჟურნალს აწარმოებდა ლაბორატორია და საჭიროების შემთხვევაში ანალიზების შედეგებს უგზავნიდა პოლიკლინიკის ოჯახის ექიმებს, რომლებიც თავის მხრივ დოკუმენტებს ინახავდნენ პოლიკლინიკის ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათებში. პოლიკლინიკასა და ლაბორატორიას შორის 2015 წლის 9 ნოემბერს დადებული ხელშეკრულების ვადა ამოიწურა 2019 წლის 31 დეკემბერს, თუმცა 2020 წელს პოლიკლინიკა კვლავ განაგრძობდა ლაბორატორიასთან თანამშრომლობას წერილობითი ხელშეკრულების გარეშე.

შემონმების ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ასევე გამოიკვლია არასრულწლოვან ბენეფიციართა მონაცემთა შენახვის ვადები, მატერიალურ და ელექტრონულ მონაცემებზე წვდომის მინიჭების საკითხები, მონაცემთა უსაფრთხოებისთვის მიღებული ტექნიკური თუ ორგანიზაციული ზომები.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით ან ამავე პუნქტით განსაზღვრულ საგამონაკლისო შემთხვევებში. მაგალითად, როდესაც მონაცემები მუშავდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის ან დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე თუ ეს აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისათვის ან ფუნქციონირებისათვის.

რამდენადაც პოლიკლინიკის მიერ არასრულწლოვან ბენეფიციართა პერსონალური მონაცემები სამედიცინო ფორმების მეშვეობით გროვდებოდა და ინახებოდა მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე, სამედიცინო საქმიანობის განხორციელებისა და სამედიცინო მომსახურების გაწევის მიზნით, ინსპექტორმა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისად მიიჩნია პოლიკლინიკის მიერ მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები. თუმცა, შემონმების პროცესში დადგინდა,

რომ პოლიკლინიკა ანალიზის ჩატარების მიზნით, მათ შორის, არასრულწლოვან ბენეფიციართა შესაბამის პერსონალურ მონაცემებს ამუშავებდა უფლებამოსილი პირის მეშვეობით კანონის მე-16 მუხლით დადგენილი წესების დარღვევით. კერძოდ, პოლიკლინიკასა და ლაბორატორიას შორის დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის 2019 წლის 31 დეკემბერს ამონურვის შემდგომ, მხარეთა თანამშრომლობა გაგრძელდა ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, მაშინ როდესაც კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უფლებამოსილმა პირმა შეიძლება დაამუშაოს მონაცემები სამართლებრივი აქტის ან მონაცემთა დამუშავებელთან დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებს და უნდა ითვალისწინებდეს ამ კანონით დადგენილ წესებსა და აკრძალვებს.

კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. განსახილველ შემთხვევაში კი დადგინდა, რომ პოლიკლინიკის შიდა ელექტრონულ პროგრამაში არ აღირიცხებოდა მონაცემთა მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება - კერძოდ, მონაცემების ნახვა, დათვალიერება და ცვლილების შინაარსი.

ინსპექტორის გადანყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 და მე-17 მუხლებით გათვალისწინებული წესების დარღვევისთვის, პოლიკლინიკა ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე და 51-ე მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენაში და სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა. პოლიკლინიკას დაევალა უზრუნველყო იმგვარი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღება, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. მას ასევე დაევალა პროგრამის ფარგლებში აღრიცხვაზე მყოფი არასრულწლოვანი ბენეფიციარების პერსონალური მონაცემების უფლებამოსილი პირის მეშვეობით დამუშავების შემთხვევაში უფლებამოსილ პირთან დადებული ხელშეკრულების ფორმისა და შინაარსის კანონის მე-16 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

ელექტრონული ფორმით დაცული მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათზე წვდომის ადვილად ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერ ელექტრონულ პროგრამას ჰქონდეს მონაცემთა მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვის, მათ შორის მონაცემებზე წვდომის, მათი დათვალიერების, ცვლილების, ნაშლისა და ექსპორტის აღრიცხვის შესაძლებლობა.

უფლებამოსილი პირის მონაწილეობით მონაცემთა დამუშავების შემთხვევაში, აუცილებელია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და დაცვასთან დაკავშირებული საკითხები და მხარეთა უფლება-მოვალეობები რეგულირდებოდეს სამართლებრივი აქტით ან წერილობითი ხელშეკრულებით. მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ორგანიზაციულ-

ტექნიკური ზომების განსაზღვრისას მონაცემთა დამმუშავებელმა და უფლებამოსილმა პირმა უნდა გაითვალისწინონ მონაცემთა კატეგორიები, მოცულობა, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევის შესაძლო საფრთხეები და უფლებამოსილი პირის მიერ ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6, მე-16 და მე-17 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაცია ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.



სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მშობელთა კრებაზე განხილვა



ფაქტობრივი გარემოებები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს (შემდგომში - სამსახური) 2020 წლის იანვარში განცხადებით მიმართა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის (შემდგომში - სსსმ მოსწავლე) წარმომადგენელმა ბავშვის პერსონალური მონაცემების, მათ შორის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის უკანონო გასაჯაროების ფაქტზე რეაგირების მოთხოვნით.

განცხადებისა და სსსმ მოსწავლის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი სკოლისგან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე დგინდებოდა, რომ ბავშვი სწავლობდა ერთ-ერთი საჯარო სკოლის მე-7 კლასში. 2019 წლის დეკემბერში სსსმ მოსწავლესთან დაკავშირებული შემთხვევის შესახებ სკოლის მანდატურმა აცნობა პოლიციას. ინციდენტის მეორე დღეს კი სკოლის დირექტორმა, ფსიქოლოგთან და კლასის დამრიგებელთან ერთად ჩაატარა მე-7 კლასის მშობელთა კრება, რომელსაც არ დასწრებიან სსსმ მოსწავლის მშობლები. განცხადების თანახმად, მშობელთა კრების შესახებ მათ ინფორმაცია მიაწოდა სკოლის დირექტორმა, თუმცა, სსსმ მოსწავლის მშობლებს თანხმობა მათი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დეკემბერში მომხდარი შემთხვევის შესახებ ინფორმაციის კრებაზე მესამე პირებისთვის გამჟღავნებაზე არ გაუციათ.

სსსმ მოსწავლის წარმომადგენლის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის საპასუხოდ სკოლა განმარტავდა, რომ კლასის დამრიგებლის გადმოცემით, დეკემბერში ერთ-ერთ გაკვეთილზე სსსმ მოსწავლე გაღიზიანდა, დამრიგებელმა ვერ შეძლო მისი დაწყნარება და სთხოვა სხვა მოსწავლეებს სკოლის ფსიქოლოგის კლასში ამოყვანა. მოსწავლეებმა ფსიქოლოგს უთხრეს - სსსმ მოსწავლე ამბობს, რომ უნდა გადახტეს. ინფორმაციის მიღებისთანავე, ფსიქოლოგი, სპეცმასწავლებლები, მანდატური და სკოლის დირექტორი შევიდნენ კლასში. ფსიქოლოგის ჩარევის შემდეგ, რამდენიმე წუთში, ბავშვი დაწყნარდა. ინფორმაციის მიღებისთანავე, სკოლის მანდატურმა მართლწესრიგის ოფიცერს სატელეფონო შეტყობინება (გადაუმონმებელი ინფორმაცია) გაუგზავნა სსსმ მოსწავლის გადახტომის განზრახვის შესახებ. ინციდენტის დღესვე სკოლის დირექტორი და პოლიციელები შეხვდნენ სსსმ მოსწავლის მშობლებს. ინციდენტის მეორე დღეს კი სკოლის ფსიქოლოგთან და კლასის დამრიგებელთან ერთად სკოლის დირექტორი შეხვდა კლასის მოსწავლეთა მშობლებს, რომლებიც შეწუხებულნი იყვნენ იმ ფაქტით, რომ სსსმ მოსწავლის მშობლები თანაკლასელებს ადანაშაულებდნენ აგრესიაში. ინციდენტიდან მესამე დღეს სკოლის დირექტორი შეხვდა კლასის მოსწავლეებსაც და ესაუბრა კლასში არსებულ სიტუაციაზე.

სამსახურმა შეისწავლა სკოლაში ბავშვის შესახებ დაცული ინფორმაცია, მათ შორის სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის

სხდომის ოქმები, კლასის დამრიგებლის ახსნა-განმარტება დეკემბერში მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით, დეკემბერში ჩატარებული მე-7 კლასის მშობელთა კრების ოქმი; სსსმ მოსწავლის შესახებ სკოლის ფსიქოლოგის მიერ მომზადებული ანგარიშები; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების ფორმები. დოკუმენტებით დადგინდა, რომ ბავშვი შეფასდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლედ და მისი სწავლება მიმდინარეობდა მისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად. სკოლის განმარტებით, მათ შორის, მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ მონაცემების დამუშავება ხდებოდა მოსწავლის ძირითადი უფლების - განათლების ხელმისაწვდომობის მიზნითა და აუცილებელი ფარგლებით. სსსმ მოსწავლეს პირველივე კლასიდან აღნიშნებოდა რთული ქცევა.

2019 წლის დეკემბერში კლასში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით სკოლამ სამსახურს იგივე ინფორმაცია მიაწოდა, რაც მანამდე სსსმ მოსწავლის წარმომადგენელს და დამატებით განმარტა, სკოლაში ინციდენტის დღესვე გამოცხადდნენ პოლიციის წარმომადგენლები, რომლებიც გაესაუბრნენ სსსმ მოსწავლის მშობლებს. თავდაპირველად იგეგმებოდა სხვა თანაკლასელებთან გასაუბრებაც, თუმცა მოსწავლეთა გამოკითხვა პოლიციის წარმომადგენლებმა საჭიროდ არ ჩათვალეს, რასაც მოჰყვა სსსმ მოსწავლის მშობლების გაღიზიანება და მათ შეიტანეს განცხადება მოსწავლეების მიერ მათი შვილის მიმართ ბულინგის ბრალდებით. აღნიშნულმა ფაქტმა შეაწუხა სხვა მოსწავლეთა მშობლები, რადგან მათ შვილებს უყენებდნენ არასასიამოვნო ბრალდებას.

სკოლა მიუთითებდა, რომ მშობელთა კრების გამართვის შესახებ ინფორმაცია მე-7 კლასის მოსწავლეთა სხვა მშობლებთან ერთად ასევე მიეწოდა სსსმ ბავშვის მშობლებსაც. სსსმ მოსწავლის ერთ-ერთმა მშობელმა სკოლის დირექტორს უთხრა, რომ შეხვედრა ჰქონდათ პოლიციის წარმომადგენლებთან და მიზანშეწონილად არ მიიჩნევდნენ მშობელთა კრებაზე დასწრებას და სთხოვა, კრებაზე დამსწრე მშობლებისთვის გადაეცა, რომ კლასს უნდა გაეგრძელებინა თანაცხოვრება.

სამსახურისთვის წარმოდგენილი სსსმ მოსწავლის ერთ-ერთი მშობლის ახსნა-განმარტების თანახმად, მომხდარი ფაქტის თაობაზე პოლიციას სურდა ბავშვის თანაკლასელების გამოკითხვა, თუმცა, მშობელმა შემდგომ აცნობა დირექტორს, რომ პოლიციაში საქმის შესწავლა სუიციდის მცდელობის ფაქტზე არ გაგრძელდებოდა და არც თანაკლასელთა გამოკითხვა მოხდებოდა. სკოლის დირექტორმა მას შეატყობინა, რომ უკვე დაბარებული ჰყავდა თანაკლასელების მშობლები და ჰკითხა, თუ რა ინფორმაცია გადაეცა მათთვის. სსსმ მოსწავლის მშობელმა დირექტორს აუხსნა, რომ შესაძლო დაძაბულობის თავიდან ასარიდებლად, იგი კრებაზე არ მივიდოდა და სთხოვა, კრებაზე მშობლებისთვის მისი სახელით გადაეცა, რომ სავარაუდო სუიციდის მცდელობას ადგილი არ ჰქონია, სურდა ბავშვებს კარგი დამოკიდებულება ჰქონოდათ, თითოეულ მშობელს თავად ესაუბრა საკუთარ შვილთან მათი ქცევის დასარეგულირებლად.

სკოლის მიერ კრებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის თანახმად, კრებაზე სსსმ მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დეტალებზე საუბარი არ ყოფილა. კრებაზე დამსწრეებმა მოისმინეს ინფორმაცია კლასში წინა დღეს მომხდარი ფაქტის და გაკვეთილის ჩაშლის შესახებ. კრებაზე ისაუბრეს მხოლოდ თანაკლასელებს შორის

ურთიერთობის დარეგულირების გზებსა და სსსმ მოსწავლის ზოგად მდგომარეობაზე (სპეციალურ საჭიროებაზე), რაც იმთავითვე ცნობილი გარემოება იყო კლასის მოსწავლეების და მათი მშობლებისთვის. სკოლის განმარტებით, კრებაზე გაჟღერებულ ინფორმაციაზე სკოლას ჰქონდა ბავშვის მშობლის თანხმობა, რადგან წინა დღეს სწორედ სსსმ მოსწავლის ერთ-ერთმა მშობელმა სთხოვა დირექტორს კონკრეტული ინფორმაცია გადაეცა სხვა მშობლებისთვის. სკოლა ასევე მიუთითებდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „კ“ ქვეპუნქტებზე.

კრების ოქმის თანახმად, სკოლის ფსიქოლოგმა ისაუბრა ინკლუზიური განათლების მნიშვნელობაზე და გასცა რეკომენდაციები სსსმ მოსწავლის მიმართ სხვა მოსწავლეების ქცევის საკითხზე. კრებაზე აზრი გამოთქვეს სსსმ მოსწავლის კლასელების მშობლებმაც, ერთ-ერთმა აღნიშნა, რომ სსსმ მოსწავლე ხშირად ეჩხუბება მის შვილს, მეორე მშობელმა კი მიუთითა, რომ სსსმ მოსწავლე მის შვილსაც ხშირად ურტყამდა. კლასში შექმნილი ვითარების დარეგულირების მიზნით გადაიდგა მყისიერი ნაბიჯი - დაიგეგმა სხვადასხვა აქტივობები და ღონისძიებები.

განცხადების განხილვის ფარგლებში წარმოდგენილი განმარტებით, კრებაზე დამსწრე თანაკლასელების მშობლებმა არ დაადასტურეს კრებაზე სსსმ მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაციის გამჟღავნება. ყველა მათგანმა აღნიშნა, რომ კრებაზე საუბარი იყო სსსმ მოსწავლის სპეციალურ საჭიროებებსა და ქცევაზე, რის შესახებაც კრებაზე დამსწრე პირები ისედაც ინფორმირებულნი იყვნენ, რადგან მათი შვილები ერთად სწავლობდნენ.

საქმის განხილვისას სსსმ მოსწავლის მშობლებმა დამატებით განმარტეს, რომ კრებაზე გამართული საუბრების შესახებ ინფორმაცია მათთვის მხოლოდ კრების ოქმით და კრებაზე დამსწრე სხვა მშობლებისგან ზოგადი ინფორმაციის მიღებით გახდა ცნობილი. კრებაზე მათი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების საკითხი კი დირექტორთან არ განუხილავთ. ამასთან, ბავშვის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ მშობელთა კრებაზე სსსმ მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ ცნობების გამჟღავნებამდე, სკოლას წერილობითი თანხმობა უნდა მიეღო მშობლ(ებ)ისაგან. თანხმობის შემთხვევაშიც, სკოლას უნდა ეხელმძღვანელა ბავშვის საუკეთესო ინტერესით და შეეფასებინა ბავშვის შემდგომი სტიგმატიზაციისა და ჩაგვრის რისკი, იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვის მშობლები მიუთითებდნენ თანაკლასელების მხრიდან ბულინგზე.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის დამუშავება დასაშვებია მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით, ან თუ მონაცემები მუშავდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების რეალიზების მიზნით.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ჩ² ქვეპუნქტის შესაბამისად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე არის პირი, რომელსაც სწავლასთან დაკავშირებული სირთულები აქვს, ვერ ასრულებს შესაბამისი კლასისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს ან/და საჭიროებს ეროვნული სასწავლო

გეგმის ადაპტაციას/გაფართოებას, გარემოს ადაპტაციას, ალტერნატიულ სასწავლო გეგმას ან/და სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს: ფიზიკური შეზღუდვა; ინტელექტუალური განვითარების, სწავლის უნარის, სენსორული განვითარების (სმენის და/ან მხედველობის), მეტყველების განვითარების, ქცევითი და ემოციური დარღვევა; გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება; სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები სწავლაში.

განცხადების განხილვის ფარგლებში შესწავლილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ მშობელთა კრებაზე სკოლის მხრიდან საუბარი შეეხებოდა სსსმ მოსწავლის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, მის განსხვავებულ აღქმას და რთულ ქცევას, ზოგჯერ აგრესიულობას. მშობლებს ასევე მიეწოდათ ინფორმაცია ინკლუზიური განათლების, სსსმ მოსწავლეების სოციალიზაციისა და მათი საზოგადოებაში ინტეგრირების მნიშვნელობის შესახებ. გარდა ამისა, კრებაზე გამჟღავნდა ინფორმაცია დეკემბერში მომხდარი შემთხვევის შესახებ, რამაც ჩაშალა გაკვეთილის მიმდინარეობა.

სკოლამ უარყო სსსმ მოსწავლის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების კრებაზე გამჟღავნების ფაქტი და სსსმ მოსწავლესთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავების საფუძვლად მიუთითა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „კ“ ქვეპუნქტები (*მონაცემთა დამუშავება დასაშვებია თუ მონაცემთა სუბიექტმა საჯარო გახადა მის შესახებ მონაცემები მათი გამოყენების ამკარა აკრძალვის გარეშე; მონაცემები მუშავდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების რეალიზების მიზნით*).

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მონაცემთა დამუშავების კანონიერებისთვის მონაცემთა დამუშავების საფუძველთან ერთად დაცული უნდა იყოს მონაცემების დამუშავების ამავე კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პრინციპები. აღნიშნული მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნებისათვის, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად.

სკოლის მიერ სსსმ მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მშობელთა კრებაზე განხილვის კანონიერი მიზნის და გამჟღავნებული მონაცემების მოცულობის შეფასებისას, ინსპექტორმა იხელმძღვანელა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წლის 20 ნოემბერს მიღებული „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 23-ე მუხლით, საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მე-7, მე-10 და 35-ე მუხლებით, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-3, მე-9 და მე-13 მუხლებით, რომლებიც ეხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების უფლებებისა და ინტერესების რეალიზებას, მათ შორის სოციალურ ცხოვრებაში მათი სრულად ჩართვის ხელშეწყობას, ინკლუზიურ განათლებას, ზოგადი განათლების

მიღების თანაბარ უფლებას, მოსწავლის უფლებას დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან, სკოლის ვალდებულებებს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოსა და მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების ჯეროვანი დაცვის შესახებ და სხვა. ამასთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარების და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის“ 23-ე მუხლის შესაბამისად, სპეციალური მასწავლებლის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს სსსმ მოსწავლესა და მის თანაკლასელებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობა, რომლის მისაღწევად, სხვა მეთოდებთან ერთად, გამოიყენება მოსწავლის თანაკლასელებთან ინტერვიუს ჩატარება.

აღნიშნულ სამართლებრივ ნორმათა ანალიზის საფუძველზე, ინსპექტორმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სსსმ მოსწავლის განათლების უფლების ეფექტიანი რეალიზაციის ერთ-ერთ ძირითად ასპექტს წარმოადგენს მისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ადაპტირება და სასწავლო პროცესში სრულფასოვნად ჩართვა, რისი მიღწევაც შეუძლებელია ამ პროცესის სხვა მონაწილეების - მისი თანაკლასელების მონაწილეობის გარეშე, რადგან მათ ყოველდღიური შეხება აქვთ სსსმ მოსწავლესთან და რიგ შემთხვევაში, პირდაპირ ან ირიბად ეხებათ მისი რთული ქცევა და პირიქით, თანაკლასელების ქცევა გავლენას ახდენს სსსმ მოსწავლეზე. ინკლუზიური განათლების ეფექტიანად განხორციელებისთვის, უმნიშვნელოვანესია სსსმ მოსწავლის ქცევის მიმართ მისი თანაკლასელების სწორი მიდგომისა და ადეკვატური დამოკიდებულების უზრუნველყოფა, რათა თავიდან იქნეს აცილებული როგორც სსსმ მოსწავლის, ასევე მისი თანაკლასელების კანონიერი უფლებების შელახვა ან მათი რაიმე ფორმით დისკრიმინაცია. ინსპექტორის განმარტებით, აღნიშნული მიზნის მისაღწევად და თანაკლასელების მხრიდან სსსმ მოსწავლესთან პოზიტიური ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია, საჭიროების ფარგლებში, ისინი ინფორმირებული იყვნენ სსსმ მოსწავლის ქცევის თავისებურების შესახებ, რაც ემსახურება არა მარტო სსსმ მოსწავლის განათლების უფლების რეალიზების ინტერესებს, არამედ უკავშირდება სასწავლო პროცესში ჩართული სხვა მოსწავლეების ინტერესების დაცვასაც. ამასთან, სკოლას ეკისრება ვალდებულება მიიღოს ყველა გონივრული ზომა მოსწავლის უფლებებისა და თავისუფლებების ჯეროვანი დაცვის, დარღვევის თავიდან აცილების ან აღკვეთის მიზნით.

სკოლის ქმედების შეფასებისას, ინსპექტორმა მხედველობაში მიიღო დეკემბერში მომხდარი ფაქტი და სსსმ მოსწავლის მიმართ ზოგიერთი თანაკლასელის მშობლის მხრიდან ზემოაღნიშნულ ფაქტამდე არსებული პრეტენზიები. მხედველობაში იქნა მიღებული ასევე ის ფაქტიც, რომ სსსმ მოსწავლის ერთ-ერთმა მშობელმა სკოლის დირექტორს სთხოვა მისი სახელით კრებაზე დამსწრე მშობლებისთვის გადაეცა, რომ სსსმ მოსწავლის მხრიდან სავარაუდო სუიციდის მცდელობას ადგილი არ ჰქონია.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ სასკოლო-საგანმანათლებლო პროცესის უშუალო სუბიექტები არიან მოსწავლე, მასწავლებელი და სასწავლო პროცესში ჩართული სკოლის სხვა თანამშრომლები, მოსწავლის მშობელი არ არის დისტანცირებული აღნიშნული პროცესისგან, ვინაიდან მშობელი, როგორც

მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი, წარმომადგენს მოსწავლეს სამართლებრივ ურთიერთობაში. მშობელი უფლებამოსილია იცოდეს, რამდენად უსაფრთხოა გარემო, რომელშიც სწავლობს მისი შვილი, როგორი ქცევა ახასიათებს მას თანაკლასელების მიმართ და როგორ ეპყრობიან მას მასწავლებლები და სხვა მოსწავლეები, რა ინვესტს კლასში საგანმანათლებლო პროცესის შეფერხებას/ჩაშლას. დეკემბერში მომხდარი ფაქტი, შემდგომ განვითარებული მოვლენები და კლასელებს შორის ურთიერთობა ეხებოდა არამართო სსსმ მოსწავლეს, არამედ უკავშირდებოდა კრებაზე დამსწრე მშობლების არასრულწლოვანი შვილების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. შესაბამისად, ერთი მხრივ, მშობლების ინტერესი, მიეღოთ ინფორმაცია და მეორე მხრივ, სკოლის ინტერესი - მშობლებისთვის განემარტა რა გახდა საგანმანათლებლო პროცესის ჩაშლის, პოლიციის მოსალოდნელი ჩართულობის და მოსწავლეებს შორის დაძაბული ურთიერთობის მიზეზი, ლეგიტიმურად იქნა მიჩნეული.

ინსპექტორის შეფასებით, მშობელთა კრების გამართვამდე შექმნილი სიტუაცია მოითხოვდა სკოლის მხრიდან მოსწავლეების მშობლებთან კომუნიკაციის დამყარებასა და მომხდარის შესახებ გარკვეული ინფორმაციის მიწოდებას, შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის, მსგავსი ინციდენტების მომავალში თავიდან აცილებისა და თანაკლასელებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბების მიზნით. კრებაზე გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნება ემსახურებოდა როგორც სსსმ მოსწავლის, ასევე მისი თანაკლასელების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვას. კრებაზე გაჟღერებული მონაცემები (მათ შორის მონაცემები, რომელიც დაკავშირებულია სსსმ მოსწავლის თავისებური ქცევის გამომწვევ მიზეზებთან) კი შეესაბამებოდა გამჟღავნების მიზანს.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

სკოლის მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევა არ დადგინდა.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის


სკოლა უფლებამოსილია, მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროცესში დაადგინოს და გაატაროს გონივრული, სამართლიანი, არადისკრიმინაციული და კანონმდებლობის შესაბამისი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებებისა და თავისუფლებების თანაბარ დაცვას. სკოლამ საკითხები უნდა დაარეგულიროს ლეგიტიმური მიზნების შესაბამისი ყველაზე ადეკვატური, სწორი, თანაბომიერი და ეფექტური საშუალებებით, იმისათვის, რომ სსსმ მოსწავლის ქცევის თავისებურება სხვა მოსწავლეთა მხრიდან ადეკვატურად იქნეს აღქმული, მათმა დამოკიდებულებამ არ შეაფერხოს მისი განათლების უფლების სრულფასოვანი რეალიზება და ამავე დროს აღნიშნულ პროცესში არ შეიღახოს სხვა მოსწავლეების კანონიერი ინტერესები.

სკოლის მხრიდან დაინტერესებული პირებისთვის სსსმ მოსწავლის თავისებური ქცევის გამომწვევ მიზეზებზე ინფორმაციის გამჟღავნება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კონკრეტული და მკაფიო მიზნით და აღნიშნული მიზნის შესატყვისი მოცულობით. სკოლამ უნდა უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსის დაცვა სსსმ მოსწავლის მონაცემების გამჟღავნების აუცილებლობასა და სხვა მოსწავლეების კანონიერ უფლებებს შორის.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-6 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მე-7, მე-10 და 35-ე მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
3. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-3, მე-9 და მე-13 მუხლები - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=85>.



აღნიშნული დოკუმენტი მომზადდა კონსულტანტის თამარ ქალდანის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) პროექტის ფარგლებში.

დოკუმენტში გამოთქმული შეხედულებები არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

